

კვირის პალიტრა



ქეთი ფარესაშვილი:



ჩემი შეყვარებული
გაცდილებით ღაბაზია!

N39(68) 27/IX.-3/X.2001. ფასი 60 თ.

ღვთისმშობლის
აკლესიასთან
ორი ახალგაზრდა
მოკლავს

1168
2001



ვისი ყმა გახდა ბატონი ვახუშტი
ვახუშტი კობეზიშვილი და
მისი 29 წლით უმცროსი ცოლი



83.11

დავით კიკელიძე:

— ჩემი მეუღლე ხელოვნებათმცოდნეა.

ჯერჯერობით არსად არ მუშაობს.

— რატომ, უჭვიახი ქმარი ხომ არ ჰყავს?

— არა, ვაჭვიანი არ ვარ. პირიქით...

მინიატურები

კონსპირაციულად
ჩასვრილ-ჩასვლელბულები 3

მოხელე

ჯამალ ბასოკიძე: „ბასულ გაფხულს
მთელი ბაგარი კვირინება წაქეპა“ 4

იარაღი

ამერიკული წარმოშობის
თუჩქული საჩუქარი 7

თანამშავეული

რა სთხოვა არკინბაჰ
დიანა ღურჩაიას 8

გამოქანული

ჩემი შეყვარებული
ბაცილებით ლამაზია! 10

კოლეგა

„რუსთავი 2“-ის წამყვანი ღათო
კიკალიშვილი ტელევიზიაში
სიღებრა „მოანყო“ 11

ტყვილი

„ჩვენს ხელისუფალი ვერს
წარმოუღბენიათ, რა ხლებოდა
იმ საშინელ ღღეს“ 14

პერსონა

პანუბში კობეტიშვილი და
მისი 29 წლით უმცროსი,
რიბით მესამე ცოლი 16

კრიმინალი

„შვილი მომიკლა და
მამის შეშვბრალა...“ 19

გვარები

რა მისის ისტორიაჰ
გვერდწითელების გვარბე?! 22

განყოშილება

- „სოტა „გავბულავლა“,
რა, სხვა რა შემრჩება
ცსოვრებაში?!“ 23

- არ შეიძლება „ორთა უფალთა
მონება: მამონისა და ღვთისა!“ 24

ანტიღვარსაწი

ინფორმაციულ-შეშენებაითი
კოლეგა ბოტა ღვალის
უბის წიგნაკიდან 26

სტუმარი

„პართველი მებოგარი
ბოგონა მყავს და ვიცი,
რომ კალიან ვუყვარვარ“ 26

აღაშინი

ღენინბრალელი ასკირანტი
საკუთარ ღიხურში
ნისილ ვაჭრობს 28

ნაშვილი აგაში

აჰა აგაში ჩხეური „ღუსტრისა“ 30

ფსიქოლოგიური თაგაჰი

შეამონწებით თქვენ
მხედველობითი მახსიერება 31

სამყარი

ოთახის მბენარეუბი ოღახის
სიშვშიღეს მისავენ 32

**„ჩვენს ხელისუფალი ვერს წარმოუღბენიათ,
რა ხლებოდა იმ საშინელ ღღეს“**




შორიახლოს დავინახე 12 წლის
ვოგონა, რომელიც გააფთრებით
ჩიჩქნიდა მიწას. მივეახლოვდი და
კითხუ: შვილო, რა გინდა მანდ, რას
ეძებ-მეთქი? ზღუქუნით მომიგო:
აჰ ცოცხლად დამარხეს მამაჩემი
და მის ირგვლივ ბევრი სხვაე არის
ცოცხლად ჩაფლულიო.

14


**პანუბში კობეტიშვილი და მისი 29
წლით უმცროსი, რიბით მესამე ცოლი**

...ცოტა ხნის შემდეგ დაინგე-
რესდა, ვათხოვილი ვიყავი თუ არა.
ვათხოვილი ვიყავი-მეთქი, ვუპა-
სუხუე. აშკარად ესამოვნა... ისეე
გააგრძელა ლექციის კითხვა და...
ისეე მკითხა: შვილი გყავს? ისეთი
სასაცილო სიგუაცია შეიქმნა, რომ
ჯგუფელებმა თავი ვეღარ შეიკავეს
და გაიცინეს.



16

**„შვილი მომიკლა და
მამის შეშვბრალა...“**



„არ შემიძლია ამ ადვილას გა-
ვიარო და ის უბედურება არ გამ-
ახსენდეს, რაც აჰ დაგრიალდა.
სწორედ იჰ, სადაც ის ქვაა, ორი
ულამაზესი ვაჰკაცი სრულიად
უმიგეზოდ, არაფრის გამო, მუხ-
ანათურად მოკლა ერთმა გარე-
წარმა.“

19

**რა სთხოვა არკინბაჰ
დიანა ღურჩაიას**

ღღეს დიანას გაშითა და ცრემ-
ლებით ხვდება რუსი მსმენელი და
არა მარგო რუსი: ამერიკაში ალა
პუგაჩოვასთან, ფილიპ კირკო-
როვთან და იგორ ნიკოლაევითან
ერთად ჩასულს, მას წამოუდგა
ფეხზე მსმენელი და სიმღერა
„თბილისოს“ შემდეგ, დიღხანს არ
უშვებდა სცენიდან.



8

წმინდანები

- ღირსი აბაბა იოსებ ალავერდელი 34
- წმინდა ისააკი და იოსები კარნუ-ქალაქში წამებულნი 35

სასარგებლო ანკები

- ავტორიგებების ენციკლოპედია 35

საბანური

- ხახულის ღვთისმშობლის ხატის კარელი 36

პარსკლავი

- თეა ლონეს ურყევი ოჯახი ტანტრული საქმის ბაკვეთილზე ჩაისახა 38

სხალი წარტილი

- ამერიკული სამხედრო მანქანის სამიგნა 40

საშინაო დავალება

- თერთმეტი ფუთი სიმიანი 43

რომანი

- თინა ღალაქიშვილი, ლალო ნაიბელი, გვარამი (ბაბრქელება) 44

უსიყვანი

- უსუენსი ქართველი კომპოზიტორი, რომელსაც პიანინო სახელოვანმა რუბინშტეინმა უსახსოვრა 47

შაჰრონით თქვენი ხოლცა

- ტესტი ერუდინიაზე 49

ჯანმრთელობა

- რა არის ავადმყოფობა 52
- ფილოსოფიის კუთხე 52
- ლოცვა თავის ტკივილისას 52
- სამკურნალო მინერალური წყლები 53
- რჩევები 54
- ღიასახლისის კუთხე 54
- კითხვა-პასუხი 55

ენისწარმოცვალი

- დემოგრაფიული მესანბრა 56

უსწოვი ნახროვი

- ნაციონალისტი აბაკი 59

საწმინდო

- 61

პროსკოვი

- კვირის (1-7 ოქტომბერი) ასტროლოგიური პროგნოზი 62

ტესტი

- როგორია თქვენი ჩემპარიტი შინაგანი ბუნება 63

კალიფორსკოვი

- ზრელ-ზრელი ამბები 60; 64

გარემანვა: გიორგი შოკოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურნალი „გზა“ გაშლის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით გავით „კვირის კალიტრის“ დამატება შურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს. მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე რედაქტორი: გონა ტყეშელაშვილი მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32 შურნალი იბეჭდება გამოცემლობა „კოლორში“

„რუსთავი 2“-ის წამყვანი, ღათო კიკელიძე ბელორუსი სიღაღრა „მოანგო“



მახსენდება პირველი გადაცემა, რომლის ჩასაწერადაც 46 დუბლი დამჭირდა (!). ირაკლი ღლონტმა, რომელიც იმ დროს ოპერატორის მისიას ასრულებდა, მუშაობის დროს ჯერ პიჯაკი გაიხადა, მერე ხალათი, მერე მაისური...

11

ზანბი „ელექტრიკი“ ქართველ მეუღლეზე ოცნებობს

— სომეხი უფრო შავია და რადანხიანი სიარულის მანერა აქვს. ქართველებს ხელებით ლაპარაკი უყვართ და ტუნწები არ არიან. ინგლისურად უკვე ქართული აქცენტით ვლაპარაკობ. ქართულად პირველად. გინება ვისწავლე, მერე ყველაფერი. ყველაზე მეტად მომწონს სიტყვა „დაქოქე“.



26

თეა ლონეს ურყევი ოჯახი ტანტრული საქმის ბაკვეთილზე ჩაისახა



...მეორე ვერსიის თანახმად, თეა წვეულებაზე დევიდთან მივიდა, სიყვარულში გამოუგყდა და განუცხადა, რომ მზად იყო მაშინვე დანებებოდა. ამის შემდეგ ისინი ახლომდებარე სასტუმროსკენ გაემართნენ და იქიდან ერთი კვირის შემდეგ გამოვიდნენ...

38


გვანდრევი

— ასე? — მიუგრიალდა ფუნჯის წმენდით გართულ ქმარს. — არა. იცი, როგორ მინდა დაგხატო? განსაცმლის გარეშე — შიშვლები. იაკო ძუძუს უნდა წოვდეს.



44

კონსპირაციულად ჩასვრილ-ჩასველებული



საქართველო იუსტიციის მინისტრის გარეშე დარჩა! ამასაც მოვესწარი!

მიხეილ სააკაშვილი გადადგა. ისე, ესეც მისი გონიერების მაჩვენებელია – სჯობს თვითონ გადადგე, ვიდრე უფროსებმა გადააყენონ. ყველანი ასე არ ვიყავით ბავშვობაში? – თუ დროზე გადაგვაყენებდნენ, სუფთად ვივლიდით. თუ თვითონვე გავაკეთებდით ამ საქმეს და უფროსებს არ შეგაწუხებდით, მაშინ მთლად კარგი – სუფთებიც ვიქნებოდით და ჭკვიანი ბავშვის სახელსაც დავიგდებდით...

ყველაზე ცუდი ვარიანტი ის იყო, როდესაც ვერც თვითონ ხვდებოდა ბავშვი, რა უნდა ექნა და არც „გადამყენებელი“ იყო ყურადღებით – ჰოდა, დადიოდა ჩასვრილ-ჩასველებული...

„ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ“ – დიდი სენტ-ეგზიუპერის ეს უკვდავი ფრაზა დღესაც ჭეშმარიტებაა და, სხვათა შორის, ჩვენი ყველა მინისტრიც (რამდენად წარმოუდგენელიც არ უნდა იყოს), ერთ დროს ბავშვი იყო. ბავშვობა კი ზოგს ლალი და მხიარული აქვს, ზოგს კი მძიმე და დუხჭირი...

ალბათ მძიმე ბავშვობა ჰქონდა იმ, უკაცრავად პასუხია და – მთავრობის ზოგიერთ წევრს, რომელიც კარგა ხანია „გადასაყენებელია“, მაგრამ რადგან დედოკოს (მამიკოს („ბაბუკოს“)) ცნოსვა აქვს დაკარგული, მისი „ჩასვრა-ჩასველება“ სულ არ აწუხებს, ანდა პირიქით – ხედავს და ჯერ არაფერს ამბობს, რათა როცა დასჭირდება, მისატყუები მიზეზი ჰქონდეს... თვითონ?! თვითონ უკვე მიეჩვივნენ ასე სიარულს და პირიქით – დაცინიან კიდევ სუფთად ჩაცმულ და პირდაპირ ბავშვებს – „დედოკოს ბიჭებს“ ემახიან...



ქვემაფსიგებზე (უარესი რომ არ ვთქვათ) საუბარი გაგვიგრძელდა. ისევ ყოფილ იუსტიციის მინისტრს დავუბრუნდით, რომელიც, თუ ინტუიცია არ მღალატობს, ბევრზე გადაურჩა მიტყუებას – მას პოლიტიკაში დაბრუნება კვლავ პარლამენტობით სურს და ვაკის საარჩევნო ბატალიებში ჩაება... ბოლო ორი კვირაა ყურადღებით ვაკვირდები არჩევნებში მონაწილე დეპუტატების გამოსვლებს პრესასა და ტელევიზიაში და ორი რამ აღმოვაჩინე: ერთი, რომ ყველა კანდიდატი ოპოზიციონერია (!) და მეორე – როგორ მომნატრებია არჩევნები!

საერთოდ, ეს ადამიანის თვისებაა: როდესაც რაიმე სიკეთე (მატერიალური იქნება ეს თუ – სულიერი) ბევრი აქვს, არ აფასებს, მერე კი, როდესაც ყველაფერს დაკარგავს, მოენატრება, მაგრამ... არჩევნები და საარჩევნო რიტუალებიც ასეა – მეც სხვებთან ერთად გავყვიროდი, ამოვიდა ყელში ამდენი არჩევნები, დაპირებები, ტყუილი და მამაძაღლობა-მეთქი, მაგრამ აგერ უკვე მეორე წელია უარჩევნებოდ ვცხოვრობთ – ე.ი. უდემოკრატიოდ, უ-სანაზაობოდ, უ-გართობოდ და საერთოდ – რაღა ჩვენ და რაღა ერაყი. სულზე მოგვისწრო ვაკის არჩევნებმა!

რაც შეეხება ყველა კანდიდატის ოპოზიციონერობას: ორი-ოდე დღის წინ, ერთ-ერთი მათგანის გამოსვლა ვნახე ტელევიზიით და დიდი სიამოვნებაც მივიღე, რადგანაც მისი გამოსვლა წვეთი წყალივით ჰგავდა დანარჩენებისას. დაახლოებით გადმოცემით მის შინაარსს და თავადაც მიხვდებით, რომ მიუხედავად დამკვი-

დრებული აზრისა, სააკაშვილს არავითარი შანსი არა აქვს ასეთ ხალხთან პაექრობისას:

მეო, მთელმა საქართველომ იცის, როგორი პიონერულ-კომკავშირული წარსული მქონდაო, შემდეგ მოქალაქეთა კავშირის ერთ-ერთი დამაარსებელიც ვიყავი და ამის გამო თქვენ ქვეყნის დამტყვევი და ამომდებელი გგონივართ, მაგრამ რეალურად ყველაფერი სხვაგვარად იყო: ათი წლის ვიყავი, როდესაც ჩემს მეგობრებთან ერთად ეროვნულ-პატრიოტული იატაკქვეშა ორგანიზაცია ჩამოვყალიბე და პიონერულ ორგანიზაციაში ძირგამომთხრელი საქმიანობა წამოვიწყეო. ეჭვი რომ არ აეღოთ, აქტიური პიონერი ვიყავი, კომკავშირშიც პირველი შევედი და შემდეგ, სტუდენტობისას, როდესაც ჩემი „სხვანაირად მოაზროვნე“ თანაკურსელების დასჯა-გარიცხვის საკითხი დგებოდა, ამის ინიციატორიც მე ვიყავიო, მაგრამო, ეს ყველაფერი კონსპირაციის მიზნით კეთდებოდა, მართალია, მიმძიმდა, როდესაც ჩემს თანატოლებს ცხოვრებას ვუმახინჯებდი, მაგრამ ვიცოდი, რომ დიდ საქმეს ვაკეთებდით... კონსპირაცია კი ისეთ ღონეზე გვექონდა აყვანილი, რომ შემდგომში მომიხებულ სუკის არქივებშიც კი მათ აგენტად მოვიხსენიებო.

ახლა იმიტომ ავხადე ფარდა ყველაფერს, რომ ბავშვობიდან დასახული დიადი მიზანი – მოქალაქეთა კავშირის დაშლა თითქმის მიღწეულია და მეც უკვე ღიად შემოდია სამშობლოსთვის ვიდვარო და ა.შ. და ა.შ.

ახლა თქვენ თავად განსაჯეთ, აქვს თუ არა რაიმე შანსი ან სააკაშვილს და თუნდაც სარიშვილს ასეთ ადამიანებთან კონკურენციისას?! ჰოდა, რა გამოვიდა – სააკაშვილი ტყუილად გადადგა, დეპუტატი ერთ-ერთი ასეთი „შტირილიცი“ გახდება, იქ – პარლამენტშიც თავისნაირები დახვდება და ზემოთ რომ ვახსენეთ – იმ ჩასვრილ-ჩასველებულ მინისტრებს ისევ თავიანთ ადგილებზე დატოვებენ (ცხადია, კონსპირაციის მიზნით).

ჩვენ კი – ქვეყანა, ხალხი, კონსპირაციის მიზნით ვიშმშილვებთ, შუქი არ გვექნება (ან გვექნება და არ ავანთებთ), ხელფასებს ვერ მივიღებთ მთავრობისგან და კონსპირაციის მიზნით, იმავე მთავრობას მიტინგებს მოვუწყობთ გაუცემელი ხელფასების გამო... ასე რომ არ გავაკეთოთ, რუსეთი გაიგებს, რომ საჭმელიც გვაქვს, სასმელიც, დენიც, გაზიც, ხელფასიც, ბინაც, მანქანაც და საყვარელიც, შემურდება ჩვენი და დაგვიპყრობს, იმიტომ, რომ ის ჯარისმავარი, რაც გვყავს, მართლა კონსპირაციის მიზნით გვყავს!

P.S. შესაძლოა, არც ღირდა ერთი კინკილა დეპუტატის არჩევაზე ამხელა ყურადღების გამახვილება, მაგრამ ჯერ ერთი – ვაკე ვაკეა, მეორეც – მართლა მომენატრა „თოქ-შოუ“ სახელად – „არჩევნები“ და მესამე – ძალიან გამიხარდა, რომ ყველა, ვინც აქამდე ცუდი კაცი და „კავებუნიკი“ მეგონა, სინამდვილეში იქ შეპარული „კოლს-შტირილიციები“ ყოფილან.

პრომოკატორი

სანამ ძალოვან სისტემაში ჯემალ გახოკიდის კარიერა შედგებოდა, მანამ, ბავშვობაში, ის თურმე ველოსიპედზე და ფეხბურთზე გიჟდებოდა. პატარა ჯემალი იმდენად დაჰკანკალებდა თავის ველოსიპედს (100 მანეთად ღირებულ „ორლიონოვს“), რომ ღამით სახლში ინახავდა (თუმცა საკუთარი ეზო ჰქონდა): აქოდა, ავჭალელმა ონაფრებმა არ მომტაცონო. უკვე იმ დროს, მისი ნათლია — ისიდორე სურმავა, სულ ჩასჩინებდა — იურისპრუდენცია ისწავლეო. როგორც ჩანს, ისიდორეს შეგონებებმა, ბოლოს და ბოლოს, გაჭრა: დღეს უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე ჯემალ გახოკიძე მთელი ცხოვრება სამართალდამცავ სტრუქტურებში მუშაობს: ბოლო წლებში შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ, უშიშროების მინისტრის მოადგილედ, შემდეგ — უშიშროების მინისტრად.



ჯემალ გახოკიძე: გასულ ზაფხულს მთელი

ბაზარი ჰერონმა წაღო

ქეთი ბერეკაშვილი

— ბატონო ჯემალ, ახლახან 51 წელი შეგისრულდათ და როგორც ვიცი, დაბადების დღე აგარაკზე, არმაზში გადაგიხდიათ. რომ მიიღონ კანონი დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის შესახებ, თქვენს აგარაკს საფრთხე ხომ არ დაემუქრება?

— ამ კანონის მიღების ოდნავადაც არ მეშინია.

— რატომ, აგარაკი სიდედრის სახელზეა?

— ყოველგვარი წესის დაცვით ჩემს სახელზეა გაფორმებული. ის 1983 წელს შევიძინეთ, 90-იანი წლებიდან კი უფრო ინტენსიურად ჩავლივარ ოჯახით. საერთოდ კი, ზემოხსენებული კანონის მიღების საჭიროება არ იქნებოდა, რამდენიმე წლის წინ სისხლის სამართლის კოდექსიდან კონფისკაციის მუხლი რომ არ ამოეღოთ. საერთოდ ამ „განმაურებულ“ კანონპროექტს პრინციპში მხარს ვუჭერ.

— თქვენს საქმიანობაზე გადავიდეთ. ბატონო ჯემალ, რა ინფორმაციას ფლობთ საქართველოში მოქმედი უცხო ქვეყნების აგენტურის შესახებ? ამბობენ, ამ მხრივ ნამდვილი შემოსევებია.

— დავიწყოთ იქიდან, რომ საბჭოთა კავშირს ძლიერი აგენტურა ჰყავდა, არა მარტო საზღვრებს გარეთ, არამედ საკუთარ ქვეყნებში და ეს კავშირები დღემდე შემორჩენილია. თუმცა, ვერ გეტყვით, რომ მათი ქმედება დღეს ისევე შენობულია, როგორც ადრე იყო. მაგალითად, კაცი რომ გამოდის პარლამენტში და გაჰყვრის, რუსეთთან ანლო ურთიერთობა საჭიროო, ეს უკვე საშიში არ არის. სხვა საქმეა, თუ ის ფარულად იბარებს ხალხს, რაღაცაზე აქეზებს და ა.შ. ეს უკვე უშიშროების სამინისტროს სფეროში გადადის. ბუნებრივია, ჩვენც ურთიერთობა გვაქვს სხსენებულ სამინისტროსთან. მე ვერ ვიტყვი, რომ კატასტროფული მდგომარეობა გვაქვს. ჩვენ არ გვქონია ზესაიდუმლოს გაცემის — ჯაშუშობის ერთი შემთხვევაც კი. ჯაშუშობა კი მძიმე დანაშაულია.

— ასეთი ბრალდებით ბოლო წლებში ვინმე თუ გასამართლებულა?

— არა, არავინ. რა საიდუმლო უნდა გასცენ? ჩვენ არა ვართ ისეთი ძლიერი ეკონომიკის, მრეწველობის ქვეყანა, რომ ვინმე ჩვენი ობიექტებით, სტრატეგიული სამხედრო საწარმოებით და ა.შ. დაინტერესდეს. როგორც ჩანს, ასეთი დროც მოვა საქართველოსთვის.

— მაგრამ ალბათ ვერ გამოფრცხავთ რუსეთის და ამე-

რიკის წვრილფეხა აგენტურის არსებობას.

— ალბათ... უფრო სწორად — რა თქმა უნდა.

— ახლახან უზენაეს სასამართლოში აკაკი ელიაშვილს საქმე განიხილეს. როგორ შეაფასებდით დღეს მის ამბოხს? ეს იყო ერთი კაცის გამოსდომა თუ პროვოცირებული იყო სხვების მიერ?

— არა, ეს არ იყო ელიაშვილი, როგორც ერთი კაცის პრეტენზია, რატომღაც, ყოველთვის ჩრდილში რჩება რევოლუციონერის სენაკის სამხედრო ბრიგადის მეთაურის მოადგილე იყო. ფაქტობრივად, ის იყო იმ გამოსვლის ხელმძღვანელი. ელიაშვილმა წინა პლანზე იმიტომ წამოიწია, რომ მას უყვარდა პირველობა, თავის წარმოჩენა. ის კარგად გამოიყენეს იმ ძალებმა, რომლებიც საქართველოდან გადახვეწილი იყვნენ იმ დროისთვის — რევოლუციონერული, სოსო ლავგილაძე და სხვები. თუმცა, 19 ოქტომბრის ამბოხი ხელისუფლებამ მათ აპატია, მათი საქმიდან სენაკის ეპიზოდი მთლიანად ამოვარდა.

— თქვენთვის კი ელიაშვილი მაინც საბედისწერო აღმოჩნდა.

— დიას, მაშინ მე დავწერე განცხადება გადადგომის თაობაზე. ამ ნაბიჯს დღემდე არ ვნანობ. მეორე დღეს პრეზიდენტმა

განცხადებას ხელი მოაწერა. სხვათა შორის, ელიავას 19 ოქტომბრამდე არაერთხელ უთქვამს ჩემთვის – მე ისინი ვეღარ გამომიყენებენ, ეყოფა სამეგრელოს ომიო. ამ დროს კი თურმე სხვა ძალები არწმუნებდნენ – კაკო, შენ დაგიჭერენ, კაკო, შენ იმათ უნდა დაასწორო... ელიავას პროვოკაცია მოუწყვეს, რომელზეც სამწუხაროდ წამოეგო. არადა, ჩემი და პრეზიდენტის დამოკიდებულება იყო ცალსახა – არავითარი რეპრესია მის მიმართ. ანუ მას ეპატია 1998 წლის 19 ოქტომბრამდე ჩადენილი ქმედებანი. ახლა კი, რასაც გეტყვით, პრესის ფურცლებზე პირველად ვამბობ: ისინი, ვინც ელიავას დაპატიმრებას მიკაიფინებდნენ, მერე, ისევ ელიავას ძმაკაცებად გაუხდნენ. მისი განიარაღება კი 19 ოქტომბრის (სენაკის ამბოხის) მერეც, ვერ მოხერხდა. სამართალდამცავთა ძალისხმევის მიუხედავად, იგი სამეგრელოში დაუბრკოლებლად მოძრაობდა. რაც შეეხება ჩემს წასვლას ხონში, ყოველთვის ვთვლიდი და ახლაც ვთვლი, რომ ეს მაშინ ერთადერთი, სწორი გადაწყვეტილება იყო. ამაში კიდევ უფრო დავრწმუნდით, როცა პრეზიდენტი თვითონ წავიდა მუხროვანში ამბოხებულებთან.

— არ შეიძლებოდა ელიავას სიკვდილის თავიდან აცილება?

— იცით, როცა ტარდება საგანგებო ოპერაცია, შემსრულებლებს მიზნად ვერ დაუსახავ, რომ დამნაშავე ცოცხალი გადარჩეს. როგორც წესი, ამ დროს მთავარი – მძევლების სიცოცხლეა. როგორც იცით, ელიავას რამდენიმე კაცი ჰყავდა მძევლად.

— მუხროვანის ამბოხზე რას გვეტყვით? ოფიციალური ვერსიით, პრეტენზია კვების პრობლემები იყო, რის რეალობაშიც, მე პირადად, ეჭვი მეპარება.

— რა თქმა უნდა, თავის დროზე ეს ამბოხი ცოტა შელამაზებულად გადმოიკა. ასე იყო მაშინ საჭირო. მუხროვანის საქმეზე ძიება მალე შეწყდა. როგორც იცით, იქ ადგილი ჰქონდა დაუმორჩილებლობას. სამხედრო პირს, რომელსაც ხელთ აქვს სამხედრო ტექნიკა, არ შეუძლია თვითნებურად გადაადგილდეს. მე პირადად კარგად ვიცნობ კობა ნათუნაძეს და ასეთ ქმედებას მისგან არ მოველოდი. არა მგონია, მას მიზნად ჰქონოდა ხელისუფლების სამხედრო გზით გადატრიალება. ეს ძალიან ძნელი დასაჯერებელია.

— რა ცნობებს გვანვდის


უშიშროების საბჭო ნარკობიზნის შესახებ? წელან თქვენ ტელეფონზე საუბრისას საინტერესო ციფრები ახსენეთ.

— ჩვენი გათვლით, დაახლოებით ერთი მილიარდი ლარი ტრიალებს შავ ბაზარზე ნარკოტიკების შესაძენად. ე.ი. ქართველი ნარკომანები ერთი მილიარდი ლარის ნარკოტიკს მოიხმარენ. ეს ქვეყნის ბიუჯეტია. ერთი მილიარდიც – საშუალო გაანგარიშებით მივიღეთ. ნარკომანთა რაოდენობას რაც შეეხება, ოფიციალურად აღრიცხვაზე 12 ათასია აყვანილი, თუმცა, რეალური ციფრი – 100000-ის ფარგლებში მერყეობს.

— რატომ ვერ ხდება პანკისიდან ნარკოტიკების შემოტანის აღკვეთა?

— აქ ბოლო პერიოდში მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. გასულ ზაფხულს კი საშინელება იყო, მთელი ბაზარი ჰეროინმა წააღწია. მან ბაზრიდან განდევნა ოპიუმი, ჰაშიში... ჰეროინის ფასი შავ ბაზარზე 200-დან 300 დოლარამდე ჯდება. თავიდან 500 დოლარიც ღირდა. ჩვენი მონაცემებით, საქართველო დაახლოებით ერთ ტონა ჰეროინს მოიხმარს. რა

ცოლ-ქმარი გასოკიძეები ბარსელონაში



თქმა უნდა, პანკისში ნარკოტიკების ასეთი შემოდინება არ იქნება, რომ არა ბევრი სამსრეებიანი ჩინოვნიკის მხარდაჭერა, ამის უარყოფა არ შეიძლება.

— ბატონო ჯემალ, თუ იცით რაიმე პანკისში ნარკოტიკების გადამამუშავებელი ქარხნის არსებობის შესახებ?

— ასეთი ინფორმაცია გაჩნდა, მაგრამ არ დადასტურდა. წარმოიდგინეთ, რა არის ჰეროინის ქარხანა? მის მისაღებად დიდი რაოდენობით ოპიუმი საჭირო. ქარხნის არსებობას მაშინ ექნება გამართლება, ყაყაჩოს დიდი პლანტაციები რომ გვქონდეს. ერთადერთი, შეიძლება იყოს დასაფასოებელი საწარმო. ესეც, არ დასტურდება.

— რატომ არ მონტაჟდება სასაზღვრო პუნქტზე ნარკოტიკების ამოსაცნობი დეტექტორი? ამბობენ, ეს მავანთა ინტერესში არ ზისო.

— დეტექტორი ძალიან ძვირი ჯდება. სამი წლის წინ მე დავინტერესდი და მითხრეს, რომ ერთი ასეთი ტერმინალი 3 მლნ დოლარი ჯდება. ახლა უფრო გაიფდა. საბედნიეროდ, გაერო სპეციალური პროგრამის გათვალისწინებით შეგვიპირდა, რომ ასეთ ტერმინალს შეიძენენ ჩვენთვის და დაახლოებით ერთ წელიწადში ჩამოიტანენ. უკვე გადაწყვეტილია, რომ ერთი წითელ ხილზე დაიდგება, მეორე – ფოთის პორტში. ჩემი აზრით კი, პირველ რიგში სარფის საბაჟოზე უნდა დაიდგას. აქედან გადის გზა თურქეთში... ლოგიკურად, თუ გატანის საშუალება არ იქნება, ტრანზიტიც არ იქნება.

— თუ არსებობს ინფორმაცია, რა რაოდენობის ნარკოტიკი გადის ტრანზიტით ჩვენს ტერიტორიაზე?

— ამის ზუსტი ციფრი არ არსებობს. მე მახსოვს, 1998 წელს მივიღეთ ინფორმაცია, რომ ჩვენს ტერიტორიას ჰეროინის დიდი პარტია გაივილიდა. აქ გვინდოდა ოპერაციის ჩატარება, მაგრამ თურქეთმა არ დაგვანება. 10 კაციანი ჯგუფი სტამბოლში დაპატიმრეს, მათ შორის იყო კურნაზი – ასეთი გვარის ცნობილი ნარკოსინდიკატი იყო თურქეთში. მას ერთი ტონა ჰეროინი მიჰქონდა. თავად დაასკვნით, ასეთი რამდენი ტონა გადის ტრანზიტით. საერთოდ კი ამოღებული ჰეროინის რაოდენობა ყოველწლიურად ჩვენთან დაახლოებით 20 კგ-ს არ აღემატება. ეს არც ისე კარგი მაჩვენებელია. საერთოდ შემოსული ნარკოტიკების 10%-



ცოლთან და უმცროს შვილთან – გოგასთან ერთად საზღვარგარეთ მოგზაურობისას

ის ამოღებას თუ ახერხებს შესაბამისი სამსახური, კარგ მარეგულაციას ითვლება.

— **თუმცა, მაინც ამბობენ, რომ საქართველო პოლიციური ქვეყანა გახდა, შსს-მ კი უშიშროებას ფუნქციები წაართვაო.**

— ვერ დაგეთანხმებით, რომ უშიშროებამ თავისი როლი დაკარგა, მას აქვს თავისი ფუნქცია, თავისი კანონი... შსს-ს წყალივით ესაჭიროება რეფორმა, ამის შემდეგ ყველაფერი თავის ადგილზე დადგება. დაზუსტდება, რამდენი პოლიციელი სჭირდება ქვეყანას, ვინ რაზე იქნება პასუხისმგებელი. მაგალითად, ავილოთ კონტრაბანდის ბრძოლა: საგანგებო ლეგიონი, უშიშროების სამინისტრო, საზღვრის დაცვის დეპარტამენტი, შსს – ყველანი კონტრაბანდზე არიან პასუხისმგებელნი. რეფორმა პარალელურად მოსპობს, რაც, თავის მხრივ, ურთიერთდაბრალების მომენტებსაც აღმოფხვრის.

— **ბატონო ჯემალ, თქვენი საგამომიებო პრაქტიკიდან, რომელიმე დამინაშავე თუ დაგამასსოვრდათ რაიმე ნიშნის გამო?**

— იყო ასეთი პატიმარი ტყუფური გოგოლაშვილი. მამამისი მსახიობი შალვა ხონელი იყო. არ არსებობდა წიგნი, გამოცემა ნაპოლეონზე, რომელიც მას არ წაეკითხა. ჭორი, მართალი, ტყუილი – ყველაფერი იცოდა ნაპოლეონზე. სახლში ჰქონდა უამრავი მისი სურათი, ნახატი, ბიუსტი. აღმერთებდა ნაპოლეონს. ტყუფრის წყალტუბოში საამქრო ჰქონდა და „მარცხენა“ საქონლის გამოშვებისთვის იყო დაჭერილი.

აგრეთვე, მასსოვს, ნულა ბაკაშვილის, ცნობილი მეღვინის საქმეს ვიძიებდი. ნულას სახელმწიფო ქონების დიდი ოდენობით დატაცება ედებოდა ბრალად. იმ დროს ღვინის ტექნოლოგია ხუთზე შევისწავლე. მივიღეთ ინფორმაცია, რომ მოსკოვში საქმის ჩასაწყობად ნულას მეუღლეს – მავრას მილიონი მანეთი მიჰქონდა. ნახევარი ფული იყო, ნახევარი – ობლიგაციები, ორივე ჩემოდანში იყო. ჩვენ მოსკოვში დავხვდით ამ ქალბატონს. მან თოკშემოხვეული ჩემოდანი ბარგში ჩააბარა. მოკლედ, ავიყვანეთ ფულის ჩამოტანაც და ავიღეთ ფულიც. დაითვალეს ეს ფული მოსკოველმა სამართალდამცავმა გოგონებმა და აღმოჩნდა, რომ მილიონს 16 000 აკლდა. არადა, ის ქალბატონი თავს იკლავდა, მილიონი იყო. ბოლოს აღმოჩნდა, რომ მოსკოველ გოგონებს ეცულებოდათ, სამი დღე ითვლიდნენ. ნულას ცოლს დაკითხვაზე თავი ძალიან ღირსეულად ეჭირა, სულიერად ძალიან ძლიერი ქალი იყო. ნულას მილიონი თბილისში მე ჩამოვიტანე და ეროვნულ ბანკში ჩავაბარე. ნულა კი სამი წლის მერე დავაკავეთ, მისი დაკავება ძალზედ კურორტულად მოხდა. მთელი კავშირი მას ეძებდა, ერთ მშვენიერ დღეს კი თავისით გამოცხადდა: რკინიგზის სადგურთან, მილიციაში მოვიდა წვერმოშვებული კაცი, რომელიც მაწანწალას ჰკავდა. მას თან ჰქონდა დიდი ჩანთა, რომელშიც ბიბლია და ხატები იყო. ჰოდა, ამ კაცმა განაცხადა, ნულა ვარო. მორიგე არ დაუჯერა და გარეთ გააგლო, ის კი არ მიდიოდა. ბოლოს, ერთმა ოფიცერმა საბუთები მოსთხ-

ოვა. ნულას საბუთები არ ჰქონდა. უთხრა ოფიცერს ჩემს ძმასთან დამარეკვინეთ და ის დაგიდასტურებთ, რომ ნულა ვარო. მართლაც დარეკეს ძმასთან, რომელმაც ძმის ხმა იმწამსვე იცნო. ნულას 15 წელი მიუსაჯეს, მაგრამ მალე გამოვიდა ციხიდან. დღეს ის როგორც ვიცი, ბიზნესს ეწევა.

გავისხენებ კიდევ ერთ პატიმარს, რომლის გვარს და სახელს არ დავაკონკრეტებ. თავის დროზე ის შავი სამყაროს ცნობილი ავტორიტეტი იყო. ახლა ის სხვა საქმეებითაა დაკავებული. ამ კაცმა ბრწყინვალედ იცოდა მსოფლიო კლასიკოსები, მათი ნაწარმოები. ზედმიწევნით ფლობდა კლასიკოსთა ავტობიოგრაფიებს. იცოდა ლიტერატურული მიმდინარეობანი. ჩემთვის ეს კაცი პროფესორის რანგში იყო, ასეთი განათლებული ადამიანი, მერე აღარ შემხვედრია. სხვათა შორის, სულ პატარა, უმნიშვნელო საქმეზე მოხვდა ციხეში, მერე კი შავი სამყაროს ცნობილი წარმომადგენელი გახდა.

— **გაიხსენეთ კუროზი.**

— კუროზები ჩვენს პროფესიაში ნაკლებად ხდება. თუმცა, პირადი ცხოვრებიდან გავისხენებ იმ დღეს, როცა უშიშროების მინისტრობიდან გადავდექი: განცხადების დაწერის შემდეგ, საღამოს შინ რომ მივედი, მე და ჩემმა მეუღლემ დავრეკეთ ანლობლებთან და საქეიფოდ დავპატიჟეთ. ასე, 25-მა კაცმა მოვიყარეთ თავი. წავედით რესტორან „ვეროპაში“ და გათენებამდე მოვიღხინეთ...

— **თქვენს ოჯახზეც გვითხარით ორიოდე სიტყვა?**

— მეუღლე – ციცილო გეგეჭკორი გაეროს პროგრამაში მუშაობს. ჯერ პედაგოგიური დაამთავრა, მერე – იურიდიული, ჩემი ხათრით. უფროსი ვაჟი ტრაგიკულად დამეღუპა, უმცროსი – გოგა საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობს. ძალიან მინდა, მყავდეს რძალი, შვილიშვილები, მაგრამ გოგა სულაც არ ჩქარობს დაოჯახებას. სხვათა შორის, წუნიაც გახლავთ.

P.S. კაბინეტში, სადაც ეს ინტერვიუ შედგა, უამრავი საინტერესო ნივთი დევს, ჩემი ყურადღება „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემებმა მიიპყრო, როგორც რესპონდენტმა მითხრა, მას რუსთაველის 100-მდე, 17 ენაზე თარგმნილი გამოცემა აქვს. მათგან ყველაზე ძველი 1923 წლის გამოცემაა, უახლესი კი, ბასკურ ენაზე გამოცემული, ახლახან აჩუქეს.

ირაკლი ალაღაშვილი

დამოუკიდებლობა აღდგენილი საქართველოს სამხედრო ძალების შეიარაღებაში პირველად გაჩნდა არასაბჭოური წარმოების შვეულმფრენები.

ისეთი მთავორიანი რელიეფის ქვეყნისთვის, როგორსაც საქართველო წარმოადგენს, ვერტიკალურად დაჯდომა-აფრენის უნარის მქონე საფრენი აპარატის – შვეულმფრენის დიდი ოდენობა, საჭირო და აუცილებელიც არის. ამიტომაც, თავის დროზე საქართველოს ტერიტორიაზე საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს განთავსებული ჰყავდა ოთხი მძლავრი საშვეულმფრენო შენაერთი – სამი საავიაციო პოლკი თელავში (Ми-8МТ, Ми-6 და Ми-26 სამხედრო-სატრანსპორტო შვეულმფრენები), ხონში (Ми-6) და ცხინვალში (Ми-24 საბრძოლო შვეულმფრენების), ხოლო ზღვისპირა დაბა მერიაში სპეციალური ესკადრილია იღვა, რომლის შეიარაღებაში არსებულ Ми-14 ტიპის ამფიბია-შვეულმფრენებს პილრაკუსტიკური სადგურებით უნდა აღმოეჩინათ შავი ზღვის სანაპიროსთან (განსაკუთრებით ისეთი სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტებთან, როგორსაც ბათუმის და ფოთის საზღვაო პორტები წარმოადგენდა) უჩუმრად მოპარული თურქეთისა თუ აშშ-ის წყალქვეშა ნავები.

მას შემდეგ 10 წელი გავიდა და საქართველოს ცაში დღეს სულ ათიოდე შვეულმფრენი თუ დაფრინავს. 1991-92 წლებში რუსეთმა მთლიანად გაიყვანა ჩვენთან მდგომი შვეულმფრენების მთელი პარკი და ეროვნულმა გვარდიამ, კიტოვანის ბრძანებით, მხოლოდ ექვსი საბრძოლო Ми-24 შეისყიდა. „მხედრიონელთა“ ერთმა ჯგუფმა სატრანსპორტო Ми-8 სათავისოდ მონიღომა და ფული გადაუხადა მის რუს პილოტს, რომელმაც მანაც ეს მანქანა, თელავის აეროდრომის ნაცვლად, საგარეჯოს ერთ-ერთ სოფელში დასვა, სადაც იგი

ქართველი და თურქი ოფიციალური პირები საჩუქრის გადმოცემის ცერემონიაზე



ამერიკული წარმოების თურქული საჩუქარი

სასწრაფოდ თივით დაფარეს.

ცხინვალში გაჩაღებული შეტაკებისა და აფხაზეთის ომის პერიოდში ქართულმა არმიამ ათზე მეტი შვეულმფრენი დაკარგა, მათ შორის სამი საბრძოლო Ми-24. მოგვიანებით, საგარეჯოსთან თივამი გადაღებული მინაგანი ჯარების შვეულმფრენი გორთან ჩამოვარდა, ხოლო თავდაცვის სამინისტროს განკარგულებაში მყოფი 7 შვეულმფრენი უკვე მეორე წელია ამაოდ ელოდება კაპიტალურ რემონტს უკრაინაში – ქართულ მხარეს საჭირო თანხების გადახდა არ ძალუქს.

ასე რომ, ამ არცთუ ისე სახარბიელო სიტუაციის დროს, ბუნებრივია, დადებით მოვლენად აღიქმება ერთდროულად თორმეტი შვეულმფრენით „გამდიდრება“ – 10-ის მოცემას ამერიკელები მეორე წელია გვპირდებიან, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო, ამ საქმეს საშვეული არა და არ დაადგა: ისინი ჯერ კიდევ 12 სექტემბერს უნდა ჩამოეყვანათ, მაგრამ ამერიკაში მომხდარი ტერორისტული აქტების გამო, ეს 24 ოქტომბრამდე გადაიდო, თუმცა ვერც იმ დღეს დაეღვა გვირგვინი: სარწმუნო წყაროების თანახმად, ის სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავები, რომელსაც ამერიკული შვეულმფრენები თბილისში უნდა ჩამოეტანა, ავღანეთის

სიახლოვეს საბრძოლო დანაყოფების გადასასროლად გამოიყენეს.

სამაგიეროდ, ამ დღეებში თბილისში ჩამოფრინდა UH-1H ტიპის ორი შვეულმფრენი, რომელიც თურქეთის რესპუბლიკამ გვაჩუქა. ეს ამერიკული შვეულმფრენები თურქეთმა 70-იან წლებში შეიძინა, თითოეული მათგანი 2.424.848 დოლარად არის შეფასებული. თურქეთის მხარე უახლოესი 5 წლის განმავლობაში კისრულობს მათ ტექნიკურ მომსახურებას და თანაც 200 ტ საავიაციო ნავთსაც მოაყოლებს.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ამერიკული მსუბუქი სამხედრო-სატრანსპორტო შვეულმფრენები ერთდრავიანია (შესაბამისად, ნაკლებია მისი ფრენის უსაფრთხოება), სამაგიეროდ, საუცხოო მანევრირების უნარით გამოირჩევა და თანაც, ორი ფართო კარი აქვს ფიჭუნელაში, რაც მედესანტეების სწრაფ ჩამოსხმას უზრუნველყოფს.

ამერიკულ UH-1H-ს ხშირად, საბჭოთა წარმოების Ми-8 ტიპის შვეულმფრენებს ადარებენ, რაც არასწორია. „იროკეზი“ უფრო Ми-2-ს ჰგავს – სწორედ იმ პატარა საბჭოთა შვეულმფრენს, რომლითაც „მიმინოს“ თბილისიდან თელავში გადააქონდა გაყინული პოლანდიური ქათამები.

ჩვენი დონი	
სრული დასახელება:	UH-1H „იროკეზი“
წონა:	4,3 ტ
მაქსიმალური სიჩქარე:	204 კმ/სთ
ფრენის სიშორე:	512 კმ
ტევადობა:	14 მებრძოლი. ■

დიანა ღურჯაია – უსინათლო ქართველი გოგონა, რუსული ესტრადის ვარსკვლავია. ვარსკვლავი, რომელსაც ყველა ხედავს, მაგრამ თვითონ... თვითონ საკუთარი სამყარო აქვს შექმნილი – ლამაზი, კეთილი, ჯადოსნური სამყარო, რომელსაც სხვებსაც აზიარებს. სინამდვილეში ხომ ყველა ვარსკვლავი სინათლეს აფრქვევს.



რე სტუდენტ პრინსესა დიანა ღურჯაიას

ელისო გურბენიძე

გალიდან ჩამოსული პატარა გოგონა თბილისის უსინათლოთა სკოლაში მიიყვანეს. მისი ძმა აფხაზეთის ომში იბრძოდა. დამთავრდა ომი. რობერტმა (დიანას ძმამ) მშობლიური მიწა-წყლიდან აყრილი და სხვადასხვა კუთხეში მიმოფანტული ნათესავების ძებნა დაიწყო. ბუნებრივია, პირველად დას მიაკითხა – ერთადერთ ადამიანს, ვინც იცოდა, რომელი ახლობელი სად უნდა ეპოვა...

და-ძმა მოსკოვში გაემგზავრა, ქალაქში, სადაც ყველაფერი ბევრია – მსმენელიც, ფინანსებიც და საქართველოდან ჩასული კეთილი ადამიანიც... დღეს დიანას ტაშითა და ცრემლებით ხვდება რუსი მსმენელი და არა მარტო რუსი: ამერიკაში ალა პუგაჩოვასთან,

ფილიპ კირკოროვსა და იგორ ნიკოლაევთან ერთად ჩასულს, ფეხზე წამოუდგა მსმენელი და სიმღერა „თბილისოს“ შემდეგ, დიდხანს არ უშვებდა სცენიდან.

დიანას სტუმრობას დიდ პატივად თვლიან დსთ-ის ქვეყნების პრეზიდენტები, კერძოდ, ვლადიმირ პუტინი და ნურსულთან ნაზარბაევი. ის კი არა და, აფხაზეთის თვითმარქვია პრეზიდენტმა ვლადისლავ არძინბამაც სთხოვა მომღერალს სოხუმში კონცერტის ჩატარება და საფასურად, საკმაოდ დიდ თანხასაც სთავაზობდა, მაგრამ აფხაზეთიდან ლტოლვილმა ქალიშვილმა უარი განუცხადა. საქართველოს დედაქალაქს კი, დიანა ღურჯაია საკუთარი ხარჯებით ეწვია, რადგან მას უზომოდ უნდოდა თბილისში ემღერა. გამართული კონცერტისთვის აღებულ თანხასაც იმ უსინათლოთა სკოლას გადაურიცხავს, სადაც ბავშვების წლები გაატარა და წერა-კითხვა ისწავლა.

დაგეგმილი – მათ ხომ პირველი წაართვეს...

დაბინავებაც, დიანამ თავის სკოლასთან რაც შეიძლებოდა ახლოს მდებარე, პატარა სასტუმროში გადაწყვიტა. ჩვენი შეხვედრაც ამ სასტუმროს ფოიეში შედგა. კიბეზე ვარსკვლავი თავისი ანსამბლის ერთ-ერთი წევრის თანხლებით ჩამოდის. დიანა მიღიმის და ხელს მართმევს. ინტერვიუსთვის ძალიან ცოტა დრო აქვს ამჯერად და მეც ვჩქარობ.

— დიანა, ვარსკვლავად თუ გრძნობთ თავს?


— ვარსკვლავები ცაშია – მე ჯერჯერობით მიწაზე ვდგავარ.

— როგორ დაინწყეთ სიმღერა?

— ყველა ბავშვი ცდილობს, რაღაც წაიღიღინოს. მეც ვცდილობდი. სცენაზე პირველად კი, ირმა სოხაძემ გამიყვანა. მასთან ერთად ბავშვები ვასრულებდით სიმღერას „ჯერ ქალებს გვესროლეთ და მერე...“

— ყველა მომღერალს სჭირდება ხელშეწყობა. ვინ გუმარებოდათ რუსულ ესტრადაზე ადგილის დამკვიდრებაში?

— მოსკოვამდე „იალტა-მოსკოვის“ 1995 წლის კონკურსში მივიღე მონაწილეობა... რობერტი სად არის? ხომ შეიძლება, ზოგიერთ თქვენს კითხვაზე ჩემმა პროდიუსერმა გიპასუხოთ? ჩემი ძმა ჩემი პროდიუსერიც არის (დიანა რატომღაც დაძაბულია, მაგრამ ძმის გამოჩენამდე მაინც განაგრ-



ფილიპ კირკოროვსა და იგორ ნიკოლაევთან ერთად ჩასულს, ფეხზე წამოუდგა მსმენელი და სიმღერა „თბილისოს“ შემდეგ, დიდხანს არ უშვებდა სცენიდან.

ეს სკოლა ჩვენივეს მერე სახლია – გვითხრა საუბრისას რობერტმა. და-ძმას პირველი ვიზიტიც, ამ „მეორე სახლში“ ჰქონდა

დიანა მეგობართან ერთად

ძობს საუბარს. — ავტ.). შემდეგ შემხვდა ბევრი კეთილი ადამიანი... თუ ადამიანს რაღაცის მიღწევა უნდა, სწორედ ეს — სხვათა თანადგომა ყველაზე დიდი დამხმარე ძალა.

ამ დროს შემოვიდა რობერტი და დიანას გვერდით დაჯდა.

რობერტი:

— რა დაძაბულები ხართ? ბომბი ხომ არ აფეთქდა? ვხედავ, დიანაც ძალიან ღელავს და ამიტომ უჭირს საუბარი: ის ხომ პირველად იძლევა ინტერვიუს ქართულ ენაზე.

— რუსულად ხომ არ ვისაუბროთ?

— არა, დიანა მშვენივრად ლაპარაკობს ქართულად, უაქცენტოდ. თანაც, ხალხს ხომ არ ვათქმევინებთ, დიანა ღურწკაიამ რუსულად მისცა ინტერვიუ ქართულ პრესასო.

— დიანა, შიშის გრძნობა თუ გიპყრობთ ხოლმე, სცენაზე გასვლის წინ?

— სცენაზე გასვლის წინ ყოველთვის მაქვს შიშის გრძნობა, რადგან ახალ დარბაზს, ჯერ უცხო სცენასა და ხალხს უნდა შევხვედე. თითქოს პირველად, თავიდან ვიწყებ ყველაფერს. მაგრამ პირველი სიმღერის შემდეგ, შიშის გრძნობა მეხსნება. როცა ადამიანი საყვარელ საქმეს აკეთებს და წარმატებას აღწევს, მას აღარაფრის ეშინია.

— როგორ შეიგრძნობთ მსმენელს?

რობერტი:

— არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ დიანა სცენაზე ვერ მოძრაობს, ამიტომ თავიდან უჭირს ხოლმე დარბაზთან კონტაქტის დამყარება. მიუხედავად იმისა, რომ რუსები, ჩვენგან განსხვავებით, ნაკლებად ემოციური ხალხია, ბევრს ეშინია კიდევ მის კონცერტზე დასწრება: ერთი მტირალა მომღერალი, ტატინა ბულანოვაც გვეყოფათ — ამბობენ. მაგრამ დიანას 2-3 სიმღერაც საკმარისია, რომ ყველას დაავიწყდეს: მომღერალი, რომელსაც უსმენენ, ვერ ხედავს... კონცერტის შემდეგ გავდივარ

ხოლმე ხალხში და ვუსმენ, რას ლაპარაკობენ — მაინტერესებს, რა არ მოსწონთ, რა უნდა დავხვეწოთ. ხშირად გამიგონია ამის მსგავსი რამ: დიანას ვერ შევიბრალებთ — შეიძლება მას უფრო ებრალებოდეს თითოეული ჩვენგანიო...

— ამბობენ, დიანას ოპერაციის გაკეთებაც შესთავაზეს, რაც ნაწილობრივ მაინც აუხელდა თვალს, მაგრამ ამის შემდეგ, სიმღერას ვეღარ შეძლებდაო. ნუთუ ამხელა მნიშვნელობა აქვს მისთვის სიმღერას?!

— მომღერლებზე ყოველთვის ვრცელდება სხვადასხვაგვარი ჭორი. ადამიანს, რომელიც ასეთ ხმებს ავრცელებს, ალბათ კარგად არა აქვს წარმოდგენილი დიანას მდგომარეობა. ასეთი წინადადებით, დიდი ხნის წინ, რეი ჩარლზსა და სტივ უანდერს მიმართეს. უფრო ზუსტად, უთხრეს, რომ ცენტრალურ ნერვულ სისტემაში ჩაუნერგავდნენ აპარატს, რომელიც თავისუფლად, სხვების დახმარების გარეშე გადაადგილების საშუალებას მისცემდა. ამაზე რეი ჩარლზმა უპასუხა: მაცალეთ, ჩემს საპარაში ცხოვრებაო.

— დიანა, ვინ არის თქვენთვის ყველაზე ახლობელი ადამიანი?

— იცით, მე ბევრი ახლობელი მყავს და ყველა მიყვარს. მაგრამ ყველაზე ახლობელი ჩემთვის, ჩემი ძმაა. მისი დამსახურებაა, დღევანდელ დღეს რომ მოვესწარი...

— საყვარელი სიმღერა?

— ყველა სიმღერა, რომელსაც ვმღერო, ჩემი ცხოვრების ნაწილია, ჩემი ისტორიაა. ის არის, რაც მე განვიცადე და გამოვცადე, მაგრამ ყველაზე საყვარელი მაინც „დედის ნანა“.



ძმასთან, რობერტ ღურწკაიასთან ერთად

— ყველაზე დიდი პოპულარობა სიმღერამ — Ты здесь могиტიანათ. ამ სიმღერასაც აქვს კონკრეტული ისტორია?

— დიან (დიანას ელიძეა). იგორ ნიკოლაევი წერდა ჩემთვის სიმღერას — სხვა სიმღერას. ტექსტზე ერთად ვმუშაობდით. იგორი ოთახიდან გავიდა და ისე უჩუმრად დაბრუნდა უკან, რომ ამას ჩემს მეტი, ვერავინ გაიგებდა: მე ეს უბრალოდ, ვიგრძენი და მისკენ მივბრუნდი. შენ გრძნობ ადამიანების შემოსვლასო? — მკითხა. მე მგონი, ამას ყველა გრძნობს-მეთქი — ვუთხარი. — რას ეუბნები ადამიანს, როცა ხვდები, რომ ის შენს ახლოს არისო? Ты здесь-მეთქი — ვუპასუხე მოკლედ.

რობერტი:

— ამ ამბავს ცოტა განვაგრცობ. დიანას ამ სიტყვებს წინაისტორიაც აქვს. როცა უსინათლო

ოთახში შედის, ის ამბობს ხოლმე – „ოე“, რაც ნიშნავს – „აქ ვარ“. დიანას Ты здесь - უსინათლოთა სკოლაში ნასწავლი „ოეს“ პერიფრაზი, დიანას ცხოვრების წესის, მისი სულის ნაწილი იყო. Уходите, уходите, сейчас что-то получится, – გვითხრა იგორმა და ყველანი გაგვყარა ოთახიდან. რამდენიმე ხნის შემდეგ, აშშ-ში ჩასულ ნიკოლაევს, კომპოზიტორს, რომელიც ალა პუგაჩოვასაც უწერს სიმღერებს, სწორედ დიანასთვის დაწერილი სიმღერისთვის უკრავდნენ ტაშს.

— დიანა, რა საშუალებით ხვდები, როგორ ადამიანს ესაუბრები?

— ამას „მეექვსე გრძნობას“ ებიან. ეს რომ ბოლომდე გაიგო, ალბათ უნდა იცხოვრო სამყაროში, რომელშიც ვცხოვრობ და შეიგრძნო ის, რასაც მე ვგრძნობ და როგორც აღვიქვამ მოვლენებს. მე ვცხოვრობ ლამაზ, ჯადოსნურ სამყაროში – როგორც ზღაპარში...



ჩემი შეფხარებული გულის ლამაზია!

რედაქციაში ქეთი ფარესაშვილი დავკვიავშირდა და გვთხოვა – „გზის“ წინა ნომერში, გარეჯანზე დაბეჭდილი მისი ფოტოსურათის შესახებ კომენტარის გაკეთების საშუალება მიგვეცა მისთვის.



პოპულარული. თუ თვითონ მაინც მონღოლებს და ასე მოიქცევა, შემძლია ამის გამო სამუდამოდ დაგვარვო. მამაკაცს მსგავსი რაღაცები არ უნდა აღელვებდეს.

— აქედან გამომდინარე, ის ნაკლებად ცნობილი პიროვნებაა...

— ყოველ შემთხვევაში, მომღერალს და შოუმენს ნამდვილად არ შევიყვარებ. ჩემს რჩეულს მუსიკასთან არანაირი შეხება არ აქვს. მამაკაცს პროფესიაც კაცური უნდა ჰქონდეს. ჩემი შეყვარებულის შემთხვევაშიც ასეა...

რამო კაბანიშვილი



— ქეთი, რისი თქმა გსურთ?

— უბრალოდ, ამ ფოტომ ჩემ გარშემო მრავალი მითქმა-მოთქმა გამოიწვია: განსაკუთრებით დიდი გაურკვევლობა იმ მკითხველებში, ვისაც ინტერვიუ არ წაუკითხავთ, რაც ნაკლებად სასიამოვნო იყო ჩემთვის და ჩემი ახლობლებისთვის. მინდა ჩემს თაყვანისმცემლებს განვუმარტო, რომ ჩემი სიტყვები – „უცნოდ ვარ შეყვარებული“ – ფოტოზე გამოსახულ პიროვნებას არ ეხება. ისიც არ მინდა, ყველამ პირდაპირი მნიშვნელობით გაიგოს სიტყვა „უცნოდ“: უცნოდ კი არა, საკმაოდ აზრიანად მიყვარს.

რაც შეეხება ჩემი სიყვარულის ობიექტს – მასზე უბრალოდ, არ ვსაუბრობ და არც ვასახელებ, თუმცა ალბათ, როგორც შეყვარებულს, მეჩვენება, რომ ის გაცილებით ლამაზია, ვიდრე ფოტოზე გამოსახული პიროვნება. თუ საჭიროდ ჩავთვლი, მხოლოდ იმ შემთხვევაში გავაცნობ ფართო საზოგადოებას. ამ მხრივ კი, ბევრი მომღერლისაგან სრულიად განსხვავებული შეხედულება მაქვს – ჩემი რჩეულის აფიშირებას მსმელის საშუალებით არ ვაპირებ.

— რატომ?

— არ მინდა, ჩემი სიყვარულის ობიექტმა, უხეზად რომ ვთქვა, ჩემი სახელით „ისპეკულიროს“ და ამით გახდეს

ისწავლეთ ცეკვა და ხალხური საკრავები მინიმალურ დროში და მაქსიმალურად იდეალურ პირობაში



საგასტროლო, საკონცერტო, მოსამზადებელ და მოყვარულ ჯგუფებში (ასაკი 6 წლიდან)


ქართული ფოლკლორული ანსამბლი «აღვანური»

მის: უზნაძის ქ. 117, სამხმლრო აკადემია (სცმნაჟმ) ტ: 64-46-26; 77-30-03; 899-58-80-93

ნანა ქიბიშაური

„რუსთავი-2“-ში ვნება-თაღელვა არ ცხრება. საინფორმაციო სამსახურის ახალი ხელმძღვანელი ეკა სოფერია თანამშრომლებისგან ახალი რეჟიმის პირობებში მუშაობას მოითხოვს. გამოწონა ინფორმაციამ, რომ თიკო ფეიქრიშვილი და ნინო ორჯონიკიძე, რომელთაც თათბირზე სოფერიას რისხვა დაატყდათ თავს, სამსახურის დატოვებას აპირებენ. მათ სოლიდარობას რამდენიმე ტელეკომპერატორიც უცხადებს. „რუსთავი-2“-ის წამყვანის, დათო კიკალიშვილის აზრით, ყველაფერი ის, რაც მათ სამსახურში ხდება, ბუნებრივია და ამაში საგანგაშოს ვერაფერს ხედავს: „ეკა სოფერია მაქსიმალურად ფლობს სიტუაციას. აქვს ავტორიტეტი, საკუთარი ხელწერა და თავისი მოთხოვნები, რომლის შესაბამისადაც უნდა მუშაობდეს საინფორმაციო სამსახური“.

რაც შეეხება „რუსთავი-2“-ის ყოფილი გენერალური დირექტორის ეროსი კინმარიშვილის მომავალ მედია-მაგნატობაზე გავრცელებულ ხმებს, ესეც სინამდვილეს შეეფერება. კინმარიშვილი, ამ ბოლო დროს, საგაზეთო ბიზნესითაც დაინტერესებულა და შესაბამის პროექტზეც მუშაობს. „რუსთავი-2“-ის ეთერიდან პერიოდულად, კიდევ ერთ სიახლესთან შესვედრა გველის: ეს არის საგამოძიებო ჟურნალისტიკის პრინციპებით მომზადებული გადაცემა, რომელსაც ნინო ჯაფიაშვილი წაიყვანს. ნინოსთან ინტერვიუს მომავალში შემოგთავაზებთ. ამჯერად კი, ვესაუბრებით „კურიერ P.S.“-ის წამყვანს დათო კიკალიშვილს, რომლისთვისაც ტელევიზიაში მუშაობის დასაწყებად პროტექტორობა საკმაოდ მომხიბლავ სიდედრს გაუწევია.



„რუსთავი 2“-ის წამყვანი, დათო კიკალიშვილი, ტელევიზიაში სიდედრმა „მოანყო“

— დათო, თავად როგორ ხარუდგენდით მკითხველს საკუთარ თავს?

— მიმანია, რომ საკმაოდ შეუმჩნეველი აღამიანი ვარ და მთელი ჩემი უბედურებაც ამაშია. ბავშვობაშიც არაფრით გამოვიჩინე. მე-8 კლასამდე ვსწავლობდი 53-ე სკოლაში, შემდეგ გადავედი პროფტექნიკურ სასწავლებელში. არც იქ გამოვიჩინე მანკადამანკ აქტიურობით. დაგამთავრე რესტავრაციის ფაკულტეტი. შემდეგ ჩავირიცხე უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე. 5 წელი ვისწავლე, მაგრამ არ დამითავრება, რადგან ჟურნალისტიკამ გამიტაცა. ჩემი სიდედრის პროტექტორობის შედეგად, აღმოვჩნდი ტელევიზიაში — „მეორე არხზე“. ჯერ კორესპონდენტი, მერე გამომშვები რედაქტორი ვიყავი. „ინტერნიუსის“ მიერ გამოცხადებული კონკურსის შესახებ შემთხვევით შევიტყვე. კონკურსში „მეორე არხიდან“ მე და ნინო ჯაფიაშვილმა გავიმარჯვეთ და ასე აღმოვჩნდით ტელეგადაცემაში „კვირა“. ეს იყო საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა. გრანტის ვადის დამთავრების შემდეგ, იქ მომუშავე ჯგუფის ნაწილი „რუსთავი-2“-ში გადმოვიღეთ. ვფიქრობ, მათ სტილთანაც მოვახერხეთ ადაპტაცია და ჩვენი მუშაობის სტილიც შევინარჩუნეთ.

— გაიხსენეთ ვიდუოკამერასთან თქვენი, როგორც ჟურნალისტის პირველი კონტაქტი, პირველი სიუჟეტი, პირველი

პირდაპირი ეთერი...

— როგორც ჟურნალისტმა, „ინტერნიუსის“ სემინარებზე ბევრი რამ ვისწავლე. ახლა დაზუსტებით ვერ გეტყვით, რას განვიცდიდი პირველი სიუჟეტის გაკეთების დროს, მაგრამ „მეორეარხელებს“ დღემდე ახსოვთ, რომ პირველი სიუჟეტის გასაკეთებლად, ერთი კვირის განმავლობაში ტელეფონს არ მოვცილებივარ და განუწყვეტლივ სადღაც ვრეკავდი. ახლა მახსენდება პირველი გადაცემაც, რომლის ჩასაწერადაც 46 ლუბლი დამჭირდა (!). ირაკლი ლლონტმა, რომელიც იმ დროს ოპერატორის მისიას ასრულებდა მუშაობის დროს ჯერ პიჯაკი გაიხადა, მერე ხალათი, მერე მაისური... ბოლოს, როგორც იქნა, ჩავწერეთ და ჩემზე ბელნიერი არავინ იყო, ერთი კაცის გარდა: ის ერთი კაცი კი, ალბათ ხვლებით — ირაკლი იყო.

— ალბათ თქვენი ყველაზე აქტიური გულშემატკივრები, ისევე თქვენვე ოჯახის წევრები არიან — მეუღლე, შვილები?..

— რა თქმა უნდა. თუმცა, ჩემი შვილები ჯერ პატარები არიან, უმცროსი ბიჭი, გიორგი ეკრანზე ჩემი გამოჩენისთანავე ტელევიზორის უკან იხედება და კითხულობს: მამიკოს ფეხები სად აქვსო?

— ვინ არის თქვენი მეუღლე და რას საქმიანობს?

— ჩემი მეუღლე — თამუნა ციციშვილი ხელოვნებათმცოდნეა. ჯერჯერობით არსად არ მუშაობს.



ჩემი მეუღლე - თამუნა ციციშვილი

— რატომ, ეჭვიანი ქმარი ხომ არ ჰყავს?

— არა, ეჭვიანი არ ვარ. პირიქით, მინდა რაღაც შესაფერისი მონახოს. ყოველი ადამიანი უნდა ისწრაფოდეს თვითრეალიზებისკენ. ასეთი ადამიანი გვერდით მყოფისთვისაც უფრო საინტერესოა... თამუნა გალერეაში მუშაობდა, ექსპოზიციონერი იყო. მაგრამ გიორგის დაბადების შემდეგ მოსწყდა თავის საქმიანობას. საერთოდ, მიმანია, რომ ქალისთვისაც ისევე აუცილებელია, რომ მუშაობდეს, როგორც კაცისთვის.

— ჩვენს დროში, მგონი, ქალები უფრო მუშაობენ, ვიდრე მამაკაცები და უკვე დიდი ხანია, მარჩენლის ფუნქციაც იტვირთეს...

— მივესალმები ასეთ ქალებს! დიდი პატივისცემა და სითბო მაქვს იმ ქალების მიმართ, ქუჩაში რომ დადიან და ათას წვრილმანს ყიდიან. ისინი მუშაობენ და თავისი შვილებისა და ოჯახების გადსარჩენად იბრძვიან. საერთოდ, ირკვევა, რომ რთულ, სოციალურ პირობებში, ადაპტაციის უნარი ქალებს უფრო დიდი ჰქონიათ, ვიდრე მამაკაცებს. ისინი აქტიურები არიან, მოძრაობენ, არ ჩერდებიან და ყოველთვის პოულობენ გამოსავალს. ამ დროს მათი კაცები „ბირჟაზე“ დგანან და... დარდობენ... ამ მამაკაცებისაც მესმის, რადგან, ჩემი ოჯახისათვის უცხო არ არის ის პრობლემები, რაც საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს აწუხებს. მამაჩემი,

რომელიც მთელი ცხოვრება მუშაობდა, დღეს 12 ლარიანი პენსიის ამბრა ღარჩა. ჩემი ძმა მხატვარია, ოთხი შვილი ჰყავს, არ აქვს სამუშაო და ასე შემდეგ...

— კი მაგრამ თქვენ, როგორც ცნობილ ადამიანს, ხომ გყავთ გავლენიანი ნაცნობები. ოჯახის წევრებისთვის, მილიონ სამუშაო ადგილიდან, ერთის გამონახვაც ვერ მოახერხებთ?

— დღეს ვიღაცას რაღაც რომ სთხოვო, მერე ისიც მოგთხოვს რაღაცას და დაიწყება ჯაჭვური რეაქცია. აი, ამას გაგურბივარ. რეალურად თუ არ გააანალიზე რა სიტუაციაში იმყოფები, შეიძლება პოლიტიკოსთან ერთი ფინჯანი ყავის დაღვევა სერიოზულ პრობლემად გაქცას.

— მაინც რომელ პოლიტიკოსს დაეწვეოდით სიამოვნებით ფინჯან ყავაზე?

— ახლა ისეთ საინტერესო პერიოდში ვიმყოფებით, ისე მკაფიოდ იცვლება ყოველდღიურად მოვლენები, რომ ნებისმიერ პოლიტიკოსთან სიამოვნება ყავის დაღვევა. რა თქმა უნდა, იქ ახალ-ახალ ჭორებსაც მოვისმენდი. როგორც იცით, შეგარდნაძე მშობლიური პარტიიდან მოუცლელობის გამო წავიდა. პრინციპში, ეს დიდი ხნის წინ უნდა ექნა. მალე პრეზიდენტობიდანაც წავა. ეს იცის ყოველმა პოლიტიკურმა თუ ფინანსურმა დაჯგუფებამ. მათ წრეებში უკვე დაწყებულია სამზადისი ახალი პრეზიდენტის შესახვედრად... მოკლედ, ჟურნალისტებს მუშაობისთვის

ძალიან საინტერესო პერიოდი გვეწვება.

— საინტერესო ამბები არა მხოლოდ პოლიტიკაში ხდება. სწორედ, „კურთერ P.S.“-ის პროგრამაში გაკეთდა განცხადება, რომ პოლიციელებს ჟურნალისტებისგან ქურდები იცავენ.

— ასეთი განცხადება აკაკი გოგიჩაიშვილმა გააკეთა. მან და მისმა ჯგუფმა ბოლო გადაცემითაც დაამტკიცეს, რომ ნამდვილი პროფესიონალები არიან. ეს იყო მხილება, რომელსაც ნორმალურ ქვეყანაში შესაფერისი რეაგირებაც მოჰყვებოდა. მე იმას არ ვამბობ, რომ მთელი პოლიცია გაათხსინებულა, მაგრამ ფაქტია: ამ სფეროში მართლაც ბევრი პრობლემაა. ყველაფერი, რაც ხდება, დანაშაულებრივი სისტემის ბრალია, იმ ხელისუფლების ბრალი, რომელიც პოლიციელს ხელფასს არ აძლევს და ქუჩაში ყაჩაღად უშვებს. საერთოდ, სამართალდამცავ სისტემაში რა პროფესიონალებთანაც გვაქვს საქმე, გიორგი სანაიას მკვლელობის გამოძიებიდანაც ჩანს, რომელიც ისე უნათოდ დაიწყო, რომ მისი წარმატებით დასრულების იმედი უკვე აღარავის გვაქვს.

— რა შეიცვალა გიორგის შემდეგ „რუსთავი-2“-ში?

— შეიცვალა საქმისადმი, პროფესიონალიზმისადმი დამოკიდებულება. ჩემთვის ეს სიკვდილთან მერე შეხვედრა იყო: პირველი, მე და ნათია ზამბახიძემ, „მეორე არხზე“ მუშაობის დროს განვიცადეთ. — მაშინ, როცა დათო ბოლქვაძე დახვრიტეს... გიორგი სიკეთით სავსე ადამიანი იყო. ადამიანი-მაგნიტი, რომელიც თავის გარშემო იზიდავდა ყველას.

— არ გამოგია, რომ დათო კიკალიშვილი ზედმეტად თვალში



მოსვედროდეს ვინმეს. არ გიზიდავთ ბოჰემური ცხოვრება?

— არ მიზიდავს. თავისუფალი დრო, თუ ასეთი გამოჩნდა, მირჩევნია, ჩემს ოჯახთან ერთად გავატარო ან კარგი წიგნი წავიკითხო. თავდახრილი მივლივარ ჩემს გზაზე, რადგან მიმაჩნია, რომ ეს არ არის ქვეყანა, სადაც რომელიმე ჩვენგანმა ვარსკვლავის ცხოვრებით უნდა იცხოვროს. აქ სხვა განწყობაა. ჩვენ ეკრანიდან მშინერ ადამიანებს ველაპარაკებით. ამის შემდეგ, არანაირი სურვილი, არ მაქვს, სადმე წავიდე, რათა ჩემი პერსონა უფრო მკვეთრად წარმოვჩინო. თუმცა, ყოველ ადამიანს აქვს სურვილი იყოს ცნობილი და პოპულარული. ეტყობა, მე დასუსტებული ამბიციები მაქვს. ზოგჯერ ქუჩაშიც ვერ მცნობენ, არ ჩურჩულებენ: „აი ეს არის დათო კიკალიშვილი!“ მეც პრეტენზია არ მაქვს. მე ის არ ვარ — მე უბრალოდ ვგავარ მას!

— როგორც მაცურებელს, გამორჩეულად რომელი არხის გადაცემა მოგწონს?

— „რუსთავი-2“-ის ყველა გადაცემა მომწონს.

— სხვა არაფერი?

— სიმართლე გითხრათ, სხვა ტელეკომპანიების რამდენიმე გადაცემას სიამოვნებით ვუყურებ, მაგრამ არ დავასახელებ: სხვას რეკლამას არ გავუკეთებ.

— საკუთარი თავით კმაყოფილი ხართ?

— არა. როგორ შეიძლება, 33 წლის კაცი, რომელსაც საკუთარი სახლი არ აქვს, თავისი თავით კმაყოფილი იყო?! ეს არის ჩემი და თამუნას ოცნება. როდის ავისრულებთ, ამაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია.

— რატომ? თქვენ სომ დიდი ხელფასი გაქვთ?

— ამ ფონზე ითვლება, რომ დიდია, მაგრამ არა ასტრონომიული. როგორ გითხრათ? — ყველაფერი შეფარდებითია. ბავშვები ავად რომ გამიხდნენ, ჩემი ერთი თვის ხელფასი შეიძლება წამლები-სთვისაც არ იყოს საკმარისი.

— რაღაც სულ მშვიდად გამოიყურებით, სულ ილიმებით, წონასწორობას არაფერი გაკარგვინებთ?

— ცვდილობ, შევინარჩუნო სიმშვიდე. ადამიანს ემოციების მართვა უნდა შეეძლოს. მე ემოციებს თავისუფლად მხოლოდ ბავშვებთან გამოვხატავ. მათთან აბსოლუტურად უკომპლექსო ვარ. რაც

თავისუფალი დრო, თუ ასეთი გამოჩნდა, მირჩევნია, ჩემს ოჯახთან ერთად გავატარო

შეეხება ეკრანულ სახეს, ვფიქრობ, წამყვანმა პირადი ემოციები არ უნდა მოახვიოს თავს მაცურებელს. მე ვარ უბრალოდ წამყვანი, რომელიც მომხდარ ფაქტზე კომენტარს აკეთებინებს რომელიმე კომპეტენტურ პირს.

— და მაინც, გოგონები ალბათ სხვა თვალთ გიყურებენ და უცნობი თავგანისმცემლებიც გირეკავენ ხოლმე... თამუნა არ ეჭვიანობს?

— მე მგონი, არა, მაგრამ უფრო ზუსტად, თამუნა ვიპასუხებთ.

— რას გვეტყვით, თამუნა?

— მე საერთოდ არ ვიცი, რა არის ეჭვიანობა.

— დღეს ძალიან დაძაბული ცხოვრებაა, მოვლენები სწრაფად იცვლება.

ამ ფონზე, სომ არ გალიზიანებთ ხოლმე დათოს ოლიმპიური სიმშვიდე?

— არა. პირიქით, მე მომწონს მისი სიმშვიდე. ის გაწონასწორებული ადამიანია. არ უყვარს ხმაურიანი ცხოვრება.

— გაიხსენეთ თქვენი შეუღლების დღე.

— ჩვენ ერთმანეთი გამოცდების პერიოდში გავიცანით. რამდენიმე წლის შემდეგ კი, მცხეთაში დავიწერეთ ჯვარი. ძალიან ცუდად მახსოვს ის დღე: ახლაც არ ვიცი, ვინ ღარეკა დათოს მშობლებთან და ვინ უთხრა, რომ ავტოავარიაში მოვეყვით. შინ რომ დავბრუნდით, ისინი გორის საავადმყოფოში წასასვლელად იყვნენ გამზადებულნი. ანონიმის ინფორმაციით, ჩვენ იქ ვიმყოფებოდით.

— დათოს სიურპრიზების გაკეთება თუ უყვარს?

— სიურპრიზი ნიშნავს მეორე ადამიანის მოულოდნელად გახარებას. ყვაილებს, სუნამოსა და სერენადებს მე სხვა რამ მირჩევნია: ეს არის დათოს თვალბეჭდები ჩამდგარი სხივი. სხივი, რომელიც მე დაჭერილი მაქვს და მისი დანახვა დათოს თვალბეჭდებში, ჩემთვის კულმინაციური ბედნიერების ნიშანია...



ყურადღება!
თბილისელთათვის
თუ სურვილი გაქვთ მიიღოთ ესა თუ ის გაზეთი ან ჟურნალი (ქართული, რუსული ან უცხოური) გამოსვლისთანავე, დილით, თქვენთვის მოსახერხებელ ადგილზე (ბინაში, სამსახურში), — შეავსეთ ეს ქვითარი და გამოგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით, ან დარეკეთ 33-26-73

მსურს გამოვიწერო

კვირის პალიტრა

გზა

სიტყვა და საქმე

სხვა გაზეთი ან ჟურნალი

თქვენთვის სასურველი გამოცემა აღნიშნეთ ასე

თქვენი მისამართი, ტელეფონი _____

სახელი, გვარი _____

30 სექტემბრამდე „კვირის პალიტრისა“ და „გზის“ ერთდროულად 1 წლით გამოწერისას თქვენ მიიღებთ სანუშპარს რედაქციისგან.

„ჩვენს ხელისუფალთ პირს ნაჩუქრებთან, ნ ხლებთან იმ საშინელ დღეს“



მარინა ბაბუნაშვილი

სოხუმელი ეთერ ნაროშვილი:

— 27 სექტემბერი სხვა საშინელ დღეებს შორის უსაშინლესი იყო. ჩემი მეუღლე დაატყვევეს. ეს რომ უფროსმა ვაჟმა შეიტყო, თავისი ნაწილიდან შინ დაბრუნდა, რათა ჩემგან ზუსტად გაეგო ყველაფერი. იმ უბედურს საკუთარ ეზოში ელოდა თურმე სიკვდილი. ერთი უბედურებაა, შეიძლება რომ გიკლავენ და მჭირა ის ამაზრზეი ფიქრი, რომ მტრის მოსვლამდე საშუალოდ სამყოფელი მიუჩინო, და გააფრთხილებ ადამიანის სახიან მხეცს მისი წაბილწვის საშუალება არ მიეცეს... ამ ფიქრმა სხვა ყველაფერი დამავიწყდა და დავიწყე ჩემი ხელით მიწის თხრა.

მთელი დღე თავი არ ამიწვია. ისე ამოვთხარე საფლავი. ვაი-ვიშით დავმარხე ჩემი ბიჭი. ის-ის იყო, მიწა მივაყარე და აფხაზების ერთი ჯგუფიც მოადგა ჩემს სახლ-კარს. აქ რას აკეთებო? ჯიქურ შემომიბრია ერთ-ერთმა. ეტყობა, ხელმძღვანელი იყო, რადგან დანარჩენები ხმას არ იღებდნენ და მას უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ. გამშრალმა ვუბასუსე: — აი, სადამდე მიიყვანეთ საქმე, დღეს საკუთარი ხელით შეიღს მიწას აყრის-მეთქი... მერე, სად ასაფლავებო? — ჩემს საკუთარ ეზოში: იქნებ, ამის უფლებაც აღარ გვაქვს

ქართველებს-მეთქი? — კითხვა შევებურუნე. სულ ცოფები ყარა: ცოცხლები არ გინდომეთ და ახლა მკვდრები აგიტანოთ?! ეს შენი სახლი აღარ არის, ახლა ჩემიაო, — თქვა და თავისიანებს უბრძანა, ამოეთხარათ დამარხული და ზღვაში გადაეგდოთ... სულ ამერია ჭკუა-გონება, მაჯაში ვწვდი, ხელი ამიქნია და გვერდზე მიმაგლო. გამწარებული, კბილებით ჩავაფრინდი, სისხლის გემო რომ ვეგრძენი, მერეა გამოვფხიზლდი. ისევ მერა ხელი და კბიეზე მიმაგლო. ახლა მუხლებში ჩავუვარდი: ოღონდ ზღვაში არ გადამიგლო და მე თვითონ ამოეთხრი, სხვაგან წაიღებ და დავმარხავ-მეთქი... ამოვთხარე მე უბედურმა, ურიკა მოვაგორე, ძლივს ავაცოცე ზედ ჩემი საწყალი შვილი და ქალაქის კიდემდე ვიარე. ტყის პირას, შუალაქმდე ვთხრიდი მიწას. სიტყვა უძლოურია, იმის გადმოსაცემად, რას ვგრძნობდი, როცა ჩემს ბიჭს ხელმეორედ ვაყრიდი მიწას. დღესაც მიკვირს, რომ კიდევ შემრჩენოდა მოძრაობისა და რაღაცის კეთების უნარი.

გამოვედი ქალაქში, შუა ქუჩაში მივაბიჯე ერთადერთი სურვილით — იქნებ, მტრის ტყვია მეც მომიწვია და მოვშორებოდი ამ დაწყვეტილ ქვეყნიერებას... უცებ, გამიღვია: იმ აფხაზებთან ჭიდილის დროს, კენესა მომესმა (ეს მერე დავაფიქსირე). კვლავ ჩემი სახლისკენ წავიდი. აფხაზი მეომრები ისევ იქ იყვნენ. გამომენთნენ —

1993 წლის 27 სექტემბერი მოუშუშებელ ჭრილობად რჩება დღემდე. ამ ტრაგიკული დღის შემდეგ 8 წელიწადი გავიდა. თბილისში, ბევრ ადგილას მოკრავთ თვალს დროისა და უამინდობისგან გაცრეცილ ტრანსპარანტს: „გვახსოვდეს აფხაზეთი!“ მართალია, ტრანსპარანტები გაცვდა და აფხაზეთი ჯერაც დასაბრუნებელია, მაგრამ იმედი კვლავაც გაუხუნარია. იმედი, რომელიც დროდადრო კომმარულ მოგონებათა სურათებს ენაცვლება... ათასობით ლტოლვილის მესხიერებაში უამრავი ტრაგედიაა შემონახული. ამჯერად ორი ასეთი ადამიანის ნაამბობს გთავაზობთ.

შენ კიდევ მოხვედი, ძალიშვილო?! კბესთან მივვარდი, მაგრამ არ მივსულიყავი, ის სჯობდა: ნაწამები ქართველი კაცის ნეშტი (ცხვირმოტეხილი და თვალბედაჩიქნილი) ევლო. ქვითინი ამივარდა. აფხაზებს ვიხოვე: მომკალით, აღარ მინდა სიცოცხლე-მეთქი. „ვაუკაცურად“ გამოიღეს თავი — ქალებს არ ვერჩითო. ჭიშკრამდე მიმათრიეს და იქ დამაგდეს.

ლასლასით წამოვედი. გზის იქითა მხარეს რუსი ქალი დავინახე, დამიძახა — აქ მოდიო. ხელში ხანჯალი ეჭირა. ტირილი შეეწყვიტე: ჩემი შემინება არ გამოვივა, პირიქით — თუ მომკლავ, გამიხარდება-მეთქი, ვუთხარი. მოდი, მომეძმარეო. როცა მივედი, შემოთქენ მიმანიშნა. თავი ავწიე და რას ვხედავ? — 18-ოდე წლის ბიჭი ცალი ფეხით ეკიდა ხის ტოტზე და ზედ ეწერა: Продаётся грузинское мясо... რა ძალა მომეცა, არ ვიცი — ავბობდი ხეზე და ჩამოვსხენი. ყველა ჯიბე გაუჭრნიკე — იქნებ, მისი სახელი და გვარი დამეღვინა, მაგრამ ვერაფერი ვიპოვე. მე და იმ რუსმა ქალმა ამოვთხარეთ მიწა და დავმარხეთ ის უბედური.

ქუჩები გვამებით იყო სავსე. ყველას გაპატიოსნება და დამარხვა შეუძლებელი იყო. შორიანლოს დავინახე 12 წლის გოგონა, რომელიც გააფრთხილეს ჩიქნიდა მიწას. მიუჯანსაღი და კვითხე: შვილო, რა გინდა

მანდ, რას ეძებ-მეთქი? ზღუქუნით მომიგო: აქ ცოცხლად დამარხეს მამაჩემი და მის ირგვლივ ბევრი სხვაც არის ცოცხლად ჩაფლული. მასთან ერთად დავიწყე მიწის თხრა... გაგუღულები დაგვხვდნენ. ბავშვს შევეხვეყე — ჩემთან წამოდი, ქალაქიდან ერთად გავიღეთ და მერეც ერთად ვიყოთ-მეთქი. არაო, — თავი გამიქნია და სირბილით გაშორდა. რამდენიმე საათის შემდეგ გოგონა ქუჩაში დაგდებული ვნახე — ვილაც არაკაცს ტყვია უსვრია ბავშვისთვის...

27 სექტემბერი ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო, რომლის გასწვრივსაც ჩვენი ხელისუფალნი თავს არიდებენ — მათი უნიათობის დადასტურებაა და იმიტომ. მათ უძრავლესობას ვერც წარმოუდგენია, რა ხდებოდა იმ საშინელ დღეს. ჩვენ კი, მშობლიური კერიდან აყრილებს რა დაგვაიწყებს?!

გაგრელი ბორის ხეიბლიანი:

— ამას წინათ, აფხაზეთის ტელევიზიის პროგრამაში (საქართველოს ტელევიზიის არხით) აფხაზი ქალის ინტერვიუ ვნახე. თავის სასოწარკვეთილებას ვერ მალავდა და ამბობდა: ქართველებო, მოგვხედეთ, სულ მალე „წითელ წიგნში“ ვიქნებით შესაყვანი, რადგან აფხაზებიდან იმ ომში ბევრი დაიღუპა, ბევრმაც სისხლის დაღვრას თავი აარიდა და სხვადასხვა ქვეყანაში მიმოიფანტა, ხოლო ვინც დარჩა, ახალი სენი შეეყარა — ყაყაჩოს პლანტაციები გააშენა და ოპოუმით იქცევს თავსო... ის, რაც მოხდა, აფხაზებისა და ქართველების მტრის წაქეზებით მოხდა, თორემ ჩვენ ხომ საუკუნეების მანძილზე სიამტკბილობით ვცხოვრობდითო. ამ სიტყვების გაგონებისას, ვინ იცის, კიდევ მერამდენედ ჩამწყდა გული. იმ ქალმა ბოლოს

ისიც თქვა: ნუთუ, თქვენს მთავრობას არ უნდა აფხაზეთში ქართველების და-

ბრუნებაო? ხოლო თუ უნდა, რას აკეთებს ამისთვისო? არაფერს! — არც ახლა და არც ათწლეულების წინ! გავიხსენოთ, როგორ დაიწყო ყველაფერი. მე თვითონ ვარ ამის მომსწრე: 1978 წელს ერთმა აფხაზმა ლიხნელი ჩალაძე მოკლა. ყველა ქართველი ფეხზე დადგა. დაკავებული მკვლეელი ერთ კვირაში გარეთ გამოუშვეს და მან, ქართველთა გასაგონად, ხმამალა დაიტრაბახა: მაგნიარს კიდევ ბევრს გავისტუმრებ იმქვეყნადო (არადა, ყველა აფხაზი კი არ აზროვნებდა ასე)... გაგრის სტადიონზე შევიკრიბეთ და მაშინდელ პირველ მდივანს — გვარამიას მოვთხოვეთ, შევარდნაძისთვის შეეტყობინებინა ეს ამაზრზენი ამბავი. როცა ხალხის აღშფოთებამ და რისხვამ კულმინაციას მიაღწია, შევარდნაძემაც ინება გაგრაში ჩამობრძანება. კარგად მახსოვს, აღშფოთებული ხალხი ორად გაიყო, შევარდნაძემ მათ შორის გაიარა და ჯერ შავოსან, შვილმკვლარ დედას ეამბორა, მოუსამძიმრა — და მხოლოდ ამის მერე მოგვიბრუნდა იქ შეკრებილთ... მერე დიდხანს ილაპარაკა ქართველთა და აფხაზთა ურთიერთობაზე, ქართველთა უფლებების შელახვაზე, დაბოლოს, დაგვიბრდა — ყველაფერს ვიღონებ, რომ ქართველმა დამცირებულად აღარ იგრძნოს თავიო. წარმოიდგინეთ, ყველაზე გამწარებულმა ქართველმაც კი, ტაში დაუკრა. მოგვიანებით, იმავე დღეს, გაგრის „აქტივი“ ცალკე შეხვდით რესპუბლიკის მეთაურსა და მის „ამალას“. მე მას ყველაფერი დაწვრილებით ვუამბე. ვუთხარი, რომ სეპარატისტებმა ანტიქართული ორგანიზაცია ჩამოაყალიბეს და ამ დაჯგუფების წევრები საშინელი ლოზუნგებით გამოდიან: „სიკვდილი ქართველებს!“ „ჩვენ ქართველთა სისხლი გვწყურია!“... ვლაპარაკობ და ვხედავ — შევარდნაძის ზურგს უკან ხელს მიქნევს ალექსი ინაური („კაგებეს“ უფროსი. — ავტ.), მანიშნებს, გეყოფაო... მანც ბოლომდე ვთქვი ჩემი სათქმელი.

შევარდნაძე კი ისევ დაგვიბრდა: ის აფხაზიც დაისჯება და სხვა პრობლემებიც მოგვარდებაო. მერე წავიდა და წავიდა. დაპირება კი დაპირებად დარჩა... იცით, ეს ამბავი რატომ გავიხსენე? მაშინდელი და დღევანდელი მთავრობის პოლიტიკამ ქნა ის ყველაფერი, რაც დღეს ჩვენს თავსა დატეხილი. რაც შეეხება ომს, იგი მართლაც პროვოცირებული და წინდაწინ დაგეგმილი იყო. აფხაზეთის ომში ჯარი რომ არ ჯარობდა, ფაქტია! თუმცა ყველა მეომრის ერთ ტაფაში მოქცევა ისევე არ შეიძლება, როგორც ყველა აფხაზის ან იქაური მკვიდრი ქართველისა. ერთმა გულანამა აფხაზმა იცით, რა მითხრა? — აფხაზეთში მანამ არ დაგვბრუნდები, სანამ იქ ქართველები არ იქნებიან — ჩვენი ცალკე ყოფნა არ შეიძლება, ისევე ერთად უნდა ვიცხოვროთო.

არასოდეს დამევიწყება აფხაზეთის ომის ერთი ეპიზოდი: გაგრა უკვე დაცემული იყო. 5-6 ოქტომბერს განთიადთან მოვიყარეთ თავი. ვხედავ, ჩვენი შტაბის წინ დგას სეპარატისტობით განთქმული აფხაზი მეომარი (სხვათა შორის, მეგროული გვარი ჰქონდა, რომელიც ქართველთან ქართველობდა, აფხაზთან კი აფხაზობდა). „რომ დავინახე, რაცით ელაპარაკებოდა ვილაცას. მიეხვდი, აშკარად შემოგზავნილი იყო. თვალის დახამამებაში ავირბინე შტაბში, რათა უფროსობისთვის შემეტყობინებინა. ღერეფანში თვალი მოგკარი სამხედროფორმიან ნოდარ ნათაძეს, რომელსაც იარაღზე ჩამოყრდნობილს ეძინა. შემებრალა და არ გავაღვიძე. ყარყარაშვილთან არ შემიშვეს. მაშინ ერთ-ერთ გვარდიელს ზემოდან დავანახე ის კაცი და ვუთხარი — მოლაღატა-მეთქი. დამპირდა, „ზომებს“ მივიღებო. მეტი არაა ჩემი მტერი...

როცა მიეხვდი, არაფერსაც არ მოიმოქმედებდნენ, გადაწყვიტე, მე თვითონ მელონა რამე. მაგრამ ის თვალსა და ხელს შუა გაქრა...



ცხოვრებაში რა აღარ გადახდენია თავს, მაგრამ მთელი სიცოცხლე მაინც ბავშვად დარჩა... „ზოგს ბავშვობა ბავშვობაშიც არა აქვს, მე კი დღემდე ვერ „მომიშორებია“, — გვიმხელს ბატონი ვახუშტი კოტეტიშვილი, რომლისთვისაც, როგორც თვითონ ამბობს, ადამიანებთან ურთიერთობაში, მიუღებელია ყოველგვარი ტრაფარეტი და შაბლონი. მიმდობი ბუნების გამო, ბევრი სიმწარე მინახავს, მაგრამ სხვანაირად ცხოვრება მაინც არ შემძლია... და კიდევ — არასდროს ტრაბახობს, თუმცა არის ორი რამ, რის გამოც სული სძლევა და მაინც „ბაქბუქობს“ ხოლმე. ამის შესახებ — ცოტა ქვემოთ.



ვახუშტი კოტეტიშვილი 29 წლით უმცროსი, ჩიბით პასაჟ სოლი

ნინო ჯაპახიშვილი

— ერთხელ ჩემთან საუბრისას ბატონმა ალექსი ჭინჭარაულმა თქვა: ახალგაზრდობაში მე და ვახუშტი კოტეტიშვილი ლამის პამპულარობამდე პოპულარულები გავხდითო. მაინც რა იყო თქვენი ასეთი პოპულარობის მიზეზი?

— რა გითხრათ, პოპულარობისა თუ, როგორც ალექსის უთქვამს, პამპულარობის მიზეზი ალბათ უფრო ის გახდა, რომ ხალხი უბრალოდ მოწონებული იყო მართალ სიტყვასა და ჭეშმარიტ ნიჭიერებას. იმ დროს, მაკანთა და მაკანთა წყალობით, ნორმად იყო ქცეული ფსევდოხელოვნება და ფსევდოლიტერატურა. საერთოდ, ცხოვრება იყო ყალბი... აი, სწორედ მაშინ და, როგორც ჩანს, ძალიან დროულად, გამოვედით ასპარეზზე მე, ალექსი ჭინჭარაული და თენგიზ მირზაშვილი და მაშინ გაემართეთ ის საღამოები, რომელსაც არაჩვეულებრივი მოწონება ხვდა წილად მთელ საქართველოში. ალბათ ჩვენი უშუალოდ მათაც მოეხიბლეთ აუდიტორია: სცენაზე არასდროს არ ვთამაშობდით — ისეთები ვიყავით, როგორებიც ცხოვრებაში ვართ. ისე, კაცმა რომ თქვას, პოპულარობისთვის არასდროს მიბრძოლია, რაღაც თავისთავად მოვიდა ყველაფერი.

— როგორი იყო ახალგაზრდა ვახუშტი კოტეტიშვილი?

— ბავშვობაში მეტიმეტად მორცხვი ვყოფილვარ. ახალგაზრდობაშიც გადმომევა ეს სიმორცხვე. მეგობრების წრეში და სუფრასთან რა დამაკომპლექსებდა?

— ლამის ბავშვობიდან, შეუცვლელი თამადა ვიყავი, მაგრამ აი, პირველად ლექცია რომ უნდა წამეკითხა (ასპირანტურაში სწავლის დროს), მაშინ კი ელემენტარული მომივიდა. ისე ველავდი, რომ მასსოვს, „შპარგალკებიც“ კი ღაფწურე და წიგნების ქვეშ დავმალე. სცენაზე ლექსის კითხვას კი, პატარაობიდანვე ვიყავი მიჩვეული, მაგრამ ამდენი სტუდენტის წინაშე გამოსვლა და მსჯელობა რატომღაც მაფრთხობდა, თუმცა თანდათან ამასაც მივეჩვიე, უფრო თამამი გახდი. მერე კი, როცა სცენაზეც დავდი ფეხი, აღარც მინდოდა იქიდან ჩამოსვლა — სცენას თავისებური კაიფი აქვს... სასაცილო, იცით, რა არის? — ძალიან ხშირად მიწევს ხოლმე ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გამოსვლა. უნდა ნახოთ, როგორ ეჯავრებათ ეს სცენა ცნობილ, დამსახურებულ სახალხო არტისტებს. ზინა კვერენჩხილაძე მეუბნება ხოლმე: რა კქნა, ვერაფრით შევეგუე ამხელა სცენას, სულ მაკანკალებს, იქ რომ გამოვდივარო... მე კი, პირიქით მემართება — რადგან ფილარმონიის სცენაზე ავიდვი ფეხი, სხვა სცენები თითქოს მე-პატარავება კიდევ, ვერსად ვვლარ ვებტევი. თურმე ყველაფერი მიჩვევა...

— ალბათ კარგად გეხერხებათ სუფრის გაძღოლა?

— იცით, რა არის? საერთოდ, ტრაბახა კაცი არ ვარ და არასდროს მიბაქიბუქია, მაგრამ ვატყობ, რომ ორ რამეს მაინც ვტრაბახობ ხოლმე: ერთია თამალობა და მეორე — ბილიარდი. ახალგაზრდობაში მართლაც კარგად ვთამაშობდი ბილიარდს. კურორტზე, არაოფი-

ციალურ შეჯიბრებებში ყოველთვის გამარჯვებული გამოვდიოდი. რაც შეეხება თამალობას — იმის მიუხედავად, რომ ასაკისა და ჯანმრთელობის გამო, უკვე ძალიან მიჭირს სუფრასთან დიდხანს ჯდომა, მაინც მირჩევენია, მე თვითონ ვითამაშო (თუ, რასაკვირველია, ჩემზე უკეთესი კანდიდატურა არ არის, რაც იშვიათად ხდება ხოლმე), ვიდრე სხვების ბჟუტურს ვუსმინო... თამადამ ხალისი უნდა შემატოს სუფრას, პანაშვილად კი არ უნდა აქციოს ქეიფი. ამიტომ სუფრის „უფალი“ იუმორის ნიჭით უნდა იყოს დაჯილდოებული — ხალხის „დასამორჩილებლად“, უმთავრესი იარაღი მაინც იუმორია და ამიტომ.

— იუმორი და კიდევ — ორიგინალური, უჩვეულო სადღეგრძელოები, არა?

— ასეა! რაც უფრო ორიგინალურია სადღეგრძელო, მით უკეთესია. თამადა რომ სადღეგრძელოს თქმას დაიწყებს, ვერაფერ ვერ უნდა მიხვდეს, რის თქმას აპირებს... ერთხელ ასეთი რამ მითქვამს: ნისლიან ალბიონზე ერთადერთი ვაშლის ხე იდგა. იმავე ნისლიან ალბიონზე ერთადერთი ფიზიკოსი ცხოვრობდა — ისააკ ნიუტონი. მოხდა ისე, რომ როდესაც ეს ერთადერთი ფიზიკოსი იმ ერთადერთი ვაშლის ხის ქვეშ იდგა, ის ერთადერთი ვაშლი მოსწყდა და იმ ერთადერთს დაეცა თავში. აი, იმ დღის მერე, მთელი მსოფლიოს ბავშვები იტანჯებიან ნიუტონის კანონების სწავლით... აქ თურმე პაუზა გაეაკეთე და ისე გაეაგრძელე: ჩვენთან, გორის მაზრაში ვაშლის ტყეებია. ცვივა ვაშლები, ხვდებათ ამ

ტეტი ქართლებს, სულ კოპები აზით თავზე, მაგრამ არავის აზრად არ მოსდის, რომ ამის საფუძველზე რაღაც კანონები გამოიგონოს-მეთქი... ამ დროს მეორე პაუზა გვაკეთე და ბოლოს ვთქვი: მოდი, ხალხო, იმ კაცს გაუმარჯოს, რომელსაც თავში ვაშლი მოხვდება და ამ ამბავს არ გააბაზრებს – ანუ, გაუმარჯოს თავდაბალ, წესიერ, ნორმალურ, კაი კაცს. მოკლედ, კაიკაცობის სადღეგრძელო ასე ორიგინალურად მითქვამს...

— რადგან კაიკაცობაზე ჩამოვარდა სიტყვა, ბარემ ისიც მითხარით, ლუდიო როგორი კაცის სადღეგრძელოს ამბობთ ხოლმე?

— გაანჩია, სად ვარ: ფშავ-ხევსურეთში, ტრადიციულად, ლუდიო ითქმება ყველა სადღეგრძელო, კახეთში კი, რა თქმა უნდა, კახურად „ვილოცები“ ხოლმე... აი, თუნდაც ასე: მოდი, ეს იმ კაცს გაუმარჯოს, 31 დეკემბრის ღამეს ინდაური ფეხს რომ მოიტეხს და თაბაშირში რომ ჩაუსვამს!.. როგორია?

— მოქეიფე და დარდიმანდი ხალხი უმეტესწილად, ჩხუბისთავე ბიც არიან ხოლმე...

— ჯან-ლონეს არასდროს ვუჩიოდი და თუ ვინმე დამარტყამდა, ბუნებრივია, თავს დავიცავდი, მაგრამ ჩხუბისთავე არასდროს ვყოფილვარ. დღემდე იმაზე მეტად არაფერი მეჯავრება, ცხვირ-პირს რომ ამოუნაყავენ ხოლმე ერთმანეთს. ყოველთვის მშვიდობის მქადაგებელი ვიყავი. დიდი ხნის წინ, ბაკურიანში ვისვენებდი ბიძაშვილებთან ერთად. გაცივებული და წელგაკავებული ვიწექი. უცებ, მაგარი ჩხუბი ატყდა. სხვათა შორის, ზვიად გამსახურდიას დაერივნენ იქაურები... ფანჯრიდან თვალი მოვკარი თუ არა ამ ამბავს, მაშინვე წამოვენთე, უფრო სწორად – რის ვაი-ვაგლახით წამოვდექი ლოგინიდან. მინდოდა, გარეთ გავვარდნილიყავი, მაგრამ ბიძაშვილები გადამერივნენ: დაცა, კაცო, შენ სადღა მიდიხარო?! არავის ვუჯერებდი და მაინც გარეთ მივიწევი: გამიშვით, აივანზე გავალ და ერთ-ორ სიტყვას მაინც ვეტყვი-მეთქი: მინდოდა, მოჩხუბრები როგორმე დამეშოშმინებინა... მერე დიდხანს მაშაყირებდნენ ამაზე: გაუშვით, თუ არ იჩხუბებს, ერთი-ორ სიტყვას ხომ მაინც იტყვი-სო!..

— აბა, ანტიზვიადისტობას რატომღა გაბრალებდნენ! — თქვენ თურმე მის საშველადაც კი გამოგიდგიათ თავი.

— ვახუშტი კოტეტიშვილი არასდროს არც ერთ პარტიამი არც ყოფილა და არც იქნება. რა მესაქმება პოლიტიკასთან და მთავრობასთან?! რაც უფრო შორს იქნები მთავრობისგან, მით უკეთე-

სია... ზვიადს ბავშვობიდან ვიცნობდი და ძალიან ნორმალური ურთიერთობაც გვქონდა. უბრალოდ, „კარვის ქალებმა“ დამწამეს ცილი: გინდა თუ არა, ზვიადის გვერდით რატომ არ დგახარო და გადაწვიტეს, რომ ანტიზვიადისტი და მათი მტერი ვიყავი. როდის ვუნახივარ ვინმეს, ან მჭავანაძის! ან შევარდნაძის გვერდით მდგარი?! ამის გამო დამიწვეს სახლი. ჯერ დაწვეს და მერე ააფეთქეს. მხოლოდ რამდენიმე ნივთი და სურათი გადამიჩინეს უბნის ბიჭებმა. გაოგნებული ვიყავი მომხდარით. როცა სახლის აბოლებულ ნანგრევებთან ვიდექი, მივხვდი – თურმე ის ყველაფერი, რაც ადამიანებს გვაქვს – სახლი, კარი, მთელი ქონება, მხოლოდ და მხოლოდ ტვირთია და მეტი არაფერი. და როცა ამ ტვირთისგან გავთავისუფლდი, ნეტარების განცდა დამეუფლა... როგორც ჩანს, ღმერთმა გამოსაცდელად ამომიჩნია, როგორც ბიბლიური იობი: აბა, როდემდე გაუძლებს, ღვთის საგმობი სიტყვა წამოსცდება თუ არაო? არ წამოძვდა!

— და ყველას დიდსულოვნად აპატიეთ?

— რასაკვირველია! მაღლობა ღმერთს, რომ პატიებისა და სულიერი მდგრადობის უნარი მომცა. სხვანაირად ალბათ ვერც გაუძლებდი იმ სიმწარეს, რაც ცხოვრებამ მაწვენივა. იმაზე დიდი უბედურება რა უნდა იყოს, შვილს რომ დაასაფლავებ?! (შეგახსენებთ: ბატონი ვახუშტის უფროსი ვაჟი – ტატო, ცნობილი კინორეჟისორი იყო. — ავტ.) წყნეთში ახლობლები ჩემთან სამიმარზე რომ მოდიოდნენ და ჩემი როხროხი და სიცილი რომ ესმოდათ, უკვირდათ: გვეგონა, ვახუშტი ლოგინად ჩავარდებოდა... თვითონ ტატოს საუცხოო იუმორის გრძნობა ჰქონდა და იმ მძიმე წუთებში უამრავი რამ მახსენებოდა, რაც ერთად ყოფინას გადაგვხდენია თავს. შვილზე გაუთავებლად ვლაპარაკობდი და დარდს ამით ვიქარავდი. საერთოდ, კოტეტიშვილებს სხვანაირი, ჩვენებური იუმორი გვაქვს. ჩემს ერთადერთ შვილიშვილს – გუგას შვილს, ტატოს, პატარაობისას ყველაფერი სწყინდა, სულ ვერ გრძნობდა იუმორს. ამ ამბავს ძალიან განვიცდიდი: ჩემს შვილიშვილს იუმორის გრძნობა როგორ არ უნდა ჰქონდეს-მეთქი?! ახლა,

გიყვარდეს – ისეთი სიტყვა აქვს, რომ... მარტო ამაში კი არა, უკვე ყველაფერში მემსგავსება. პაპაილას ვეძახი.

— როგორი ბაბუა ხართ?

— რა ვიცი, მგონი კარგი, ძმაცაცური...

— მეუღლე? იქნებ თქვენი და მზეოს მეუღლების ამბავიც მომიყვებ?

— აი, ეს უკვე მზეოს უნდა ჰკითხოთ, როგორი მეუღლე ვარ. ჩვენი დაოჯახების ამბავსაც მზეო მოგიყვებათ, — ბატონი ვახუშტი თვალთ მანძინებს ოთახში მოფუსფუსე მეუღლეზე.

მშეო გოგოჭური:


— ვახუშტი არაჩვეულებრივი მეუღლეა. ვერაფრით წარმოვიდგენდი, თუ ასეთი იქნებოდა... სულ იმაზე ფიქრობს, ისეთი რა გააკეთოს, რაც ძალიან, ძალიან გამახარებს...

— როგორც ვიცი, მეუღლებამდე ბატონი ვახუშტის სტუდენტი იყავით. მაინც როდის და როგორ აღმოაჩინეთ ერთმანეთი?

— ეს იყო მაშინ... 1993 წელს (იცინის)... მეორე კურსზე ვიყავი, კულტურის ინსტიტუტში, სამსახიობო ჯგუფში ვსწავლობდი. ვახუშტის პირველ ლექციაზე დამაგვიანდა. ტელევიზიაში დიქტორთა შესარჩევ კონკურსში ემონაწილეობდი და პირდაპირ იქიდან მივედი ლექციაზე. დაჯდომაც კი არ შემომთავაზა: თურმე ჟურნალისტი ვეგონე. მე თვითონაც რატომღაც ვერ მოვახერხე დავმჯდარიყავი... იკითხა – ვინ არის, ჩვენი სტუდენტი? რომ დაუდასტურეს, მერე ელა მომიბრუნდა და მკითხა – რატომ არ ჯდები, ლექციის მოსმენა არ გინდაო?! რა თქმა უნდა, ხალხურ პოეზიაზე საუბრობდა. მამაჩემი – ნიკო გოგოჭური, ფილოლოგია და ბავშვობიდან ლექსებისა და კაფიების მეტი რა მესმოდა?! კარგი და ცუდი ლექსის ერთმანეთისგან გარჩევაც არ მიჭირდა და როდესაც ხალხური პოეზიის ცოდნა გამოვამჟღავნე, ვახუშტის ცოტა არ იყოს, გაუკვირდა – ამდენი საიდან იციო? ხევსური ვარ-მეთ-

ტატო კოტეტიშვილი პოლანდიელ მეუღლესთან, ინეკ სმიგსთან ერთად





შვილთან გუგასთან და შვილიშვილთან გაგოსთან ერთად

ქი, ამყად განეუცხადე. რამდენიმე წუთში გვარიც მკითხა. აღმოჩნდა, რომ მამაჩემსა და ბიძაჩემს ძალიან კარგად იცნობდა. ეტყობა, ამან გაათამაშა და ცოტა ხნის შემდეგ უკვე იმითაც დაინტერესდა, გათხოვილი ვიყავი თუ არა. ახლა უკვე ჩემი გაკვირვების ჯერიც დადგა: გათხოვილი ვიყავი-მეთქი, ვუპასუხე. ამკარად ესამოვნა... ისევ გააგრძელა ლექციის კითხვა და... ისევ მკითხა: შვილი გყავს? ამას უკვე აღარ ველოდი. ისეთი სასაცილო სიტუაცია შეიქმნა, რომ ჯგუფელებმა თავი ვეღარ შეიკავეს და გაიცინეს. ვახუშტიც მიხვდა, უხერხულ მდგომარეობაში რომ ჩაივლო თავი, მაგრამ იხტობარა აღარ გაიტეხა და თავისთვის ჩაილაპარაკა: ძალიან კარგი... ლექცია რომ დამთავრდა, ვახუშტიც მისაყვედურა – ლექცია რატომ ჩამიშალე... მივხვდი, რომ რალაც უცნაური მოხდა... იმ დღეს ძალიან გახარებული ვიყავი, მაგრამ მაინც ეჭვი შემეპარა – რაიმე ხომ არ მეჩვენება, ეს უბრალოდ, გაცნობის ქათინაურები ხომ არ იყო-მეთქი და მეგობარს ვთხოვე, მეორე ლექციაზე გამომყოლოდა. მთელი ორი საათი მარტო თმის მოწესრიგებას მოვანდომე და ასე გადაბრანჭული და მორთულ-მოკაზმული გამოვეცხადე ვახუშტის... დღემდე მახსოვს ის პირველი შეხვედრა... მერე იყო ლექციების კითხვაში და საუბარში გატარებული დღეები...

— **ნლები არ გაფიქრებდათ? მეუღლეზე ხომ 29 წლით უმცროსი ხართ?**

— სიყვარულმა ასაკი არ იცის! არანაირი პრობლემა არ გვქონდა არც ერთს. შეყვარებულობის პერიოდი თითქმის არც კი გვქონია. „ჭკუით მოვიქეცი“ – ჯერ შევუღლდით და მერე გავხდით შეყვარებულები (იცინის) – ასე უკეთესია... იმ დროს გუგა ჰოლანდიაში იყო და ვახუშტის არ უნდოდა, რომ შვილის გარეშე გადაეწყვიტა ეს ამბავი...

— **ბატონო ვახუშტი, არ შემოიძლია არ გკითხოთ მთის შესახებ: თქვენ ფშავ-ხევსურეთის ხშირი სტუმარი იყავით. ბევრმა არც კი იცის,**

დობისას, ფშავში, სოფელ უძილაურთაში (უძილაურთა მერცხლის ბუდესავით ჰკიდა მთაზე) კოპალბის დღესასწაულზე ვიყავი, ხევისბერმა დამპატიჟა. მაშინ კოპალას ყმაც გავხდი და შესაწირიც შეგწირე. საერთოდ, როცა ხატში ახვალ, სამი დღე და ღამე იქ უნდა გაათეთო ქეიფში... ზაფხული იყო და ერთი პერანგის ამარა ვიყავი წასული. ღამით აცივდა. ხევისბერმა ნაბადი მომახურა, თავზე კი ბოხონი (მწვემსების ფაფახი) დამახურა. მიდის ღრუბა. წავიდა ფშაური კაფიაობა. კაფიაობაში, რასაკვირველია, მეც ჩავერთე. მოგვიანებით, რუსთავიდანაც ამოვიდნენ მლოცველები, ისინიც კოპალას ყმები – იქ ჩასახლებული ფშავლები იყვნენ. მაშინ ტელევიზიით ისე ხშირად არ გამოვდიოდი და ჯერ კიდევ ვერ მცნობდა ხალხი. გაუკვირდათ, ფშაურ კილოზე რომ ვამბობდი კაფიებს და იკითხეს, ვინ ვიყავი. როდესაც უთხრეს – ვახუშტი კოტეტიშვილია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტიო, არ დაიჯერეს: კარგით, ახლა, რას მაიმუნობთ? – ფშაველია, რამ გააქალაქელაო. თურმე ფშავლებს იქაური მწვემისი არა ვგონივარ?! მასპინძლებმა ვერაფრით დაარწმუნეს, რომ ფშაველი არ ვიყავი. ბოლოს, კაი პურმარილზე დადეს ნაძლევი. ჩემმა ძმადნაფიცმა, ცხონებულმა გოგი თურმანაულმა მითხრა: თან რაიმე საბუთი ხომ არ გაქვსო? საბუთი რომ ნახეს ფშავლებმა, გაეკიდნენ. ეს იყო ყველაზე სასიამოვნო რამ, რომ ფშავლისგან ვერც კი გამარჩიეს. იგივე ხდებოდა ხევსურეთშიც. იქაც მყავდა ძმადნაფიცები: შალვა არაბული (ისიც გარდაამეცვალა – აცხონოს ღმერთმა!) და ახლა ერთი ძმადნაფიციდა მყავს ცოცხალი – დუშელი გავა ჭინჭარაული, „ტყეჩი“: მამამისი მეტყევე იყო და „ტყეჩი“ ამიტომ დაარქვეს. ფიცკერცხლი გვაქვს ნაჭამი, ხევსურულად ვართ ძმადნაფიცელები...

— **ბატონო ვახუშტი, თქვენ ცნობილი ხართ, როგორც კარგი კავიების მთქმელი. ალბათ თქვენთვისაც არაერთი კაფია დაუნერძიოთ და დარწმუნებული ვარ, ვალში არც თქვენ დარწმუნობდით ვინმეს...**

ქართული რომ ხართ — ზოგს ხევსური ჰგონხართ, ზოგს კიდეც, ფშაველი... მთაში არაერთი საინტერესო ამბავიც გადაგხდებოდათ თავს?

— მთა და ვახუშტი განუყოფელი ერთმანეთისგან. ერთხელ, ახალგაზრ-

— როგორ არა, ჩემთვის არაერთი კაფია უთქვამთ და ძალიან მწარე პასუხიც დამიბრუნებია. ერთხელ უნივერსიტეტში მისაღებ გამოცდებზე ნაბახუსევი მივედი. ეტყობა, სახე ცოტა არ იყოს, არეული მქონდა. პროფესიით აღმოსავლეთმცოდნე ვარ, ირანისტი. ალექსი ჭინჭარაულმა შემომხედა თუ არა, მაშინვე „გამლექსა“:

*ვახუშტი უოცეცაშვილი,
სადახლოელი თათარია,
ჭარჩავარდნილი ხის ხოლცი,
ხლამი ისედაც მხად არის...
"ჭინჭარაული" გულენს უხეილავს
მავალი ნახილავთარია.*

„ჭინჭარაული“ აბიტურიენტებს ვემახვით – აუდიტორიაში ჰინჯინებოვით ჩამწკრივებულები რომ შემოჰყავთ ხოლმე, იმიტომ... საერთოდ, კარგ კაფიას როცა გეტყვიან, სჯობს, გაჩუმდე – მით უმეტეს, თუ უკეთესად ვერ პასუხობ. ჰოდა, ეს კაფია უპასუხოდ დავტოვე, მაგრამ ალექსის მაინც გადავხუადე სამაგიერო – თმა რომ გასცივდა, თავზე და შუბლზე დიდი ნაჭრილობები გამოჩნდა. ალექსის ხევსურულად „წიქას“ ეძახიან. ზღაპრის „წიქარა“ გამახსენდა და ასეთი კაფია დაუწერე:

*შუბლმანგრეული ხევსურიო,
სიქა ხარს თუ სიქარს,
ვაიოუ, სხვავან მოხვდათ,
საცა უნდოდათ, აქ არს.*

სხვათა შორის, ეს კაფია ალექსიმაც უპასუხოდ დატოვა...

— **დაბოლოს: თავიდან რომ დაიწყოთ ცხოვრება, როგორ იცხოვრებდით?**

— თუმცა ცხოვრებაში უამრავი გაჭირვება და სიმწარე მინახავს და დაღბინებული ცხოვრება არც ახლა მაქვს, ისეთი ჯიუტი კაცი ვარ, თავიდან რომ ვიწყებდე ცხოვრებას, მაინც ისევ ისევ ვიცხოვრებდი... ხალხს ჰგონია, ვახუშტი კოტეტიშვილი ფუფუნებაში ცხოვრობს. აი, ხომ ხედავ ამ ცემენტის იატაკს – ვის დააჯერებ, რომ იატაკის დასაგებად 500 ლარიც კი ვერ მიშოვია?! არადა, ჭორები დამიყარეს, ვითომ ბაზრიდან და რესტორნებიდან წილი მომდის. ნეტავ მქონდეს! – გაზეთს მაინც გამოვეშვებდი... 1924 წელს მამაჩემის რედაქტორობით გამოდიოდა გაზეთი „ქართული სიტყვა“. როგორც იქნა, სპონსორები ვიშოვე და გაზეთი აღვადგინე, მაგრამ რად გინდა? – სულ თერთმეტი ნომერი გამოვეუშე, დაფინანსება შემიწყვიტეს და აღარ ვიცი, რა ჟენა...



თბილისში, ნაძალადეგში მდებარე ღვთისმშობლის ეკლესიასთან პატარა წყარო ჩამოედინება. იქვე, წყაროსთან ლამაზ ქვაზე ორი ახალგაზრდის სახელია ამოტვიფრული. ნარწერა მეგობრების — 22 წლის გიორგი კირვალიძისა და 21 წლის ზაზა მეტრეველის ტრაგიკულად დაღუპვის ამბავს იუნყება.

„შვილი მოვიკლა და პაინს შევუბრკალე...“ 20 წლის განსასჯელს საშუალო ჰატიმრობა მიუსაჯეს

მეზი სანაპა

ამ ქვასთან ერთმა ხანში შესულმა ქალბატონმა მიგვიყვანა. იგი ეკლესიის წინ შევნიშნეთ — თვალცრემლიანი პირ-ჯვარს იწერდა და დროდადრო წყაროსკენ იხედებოდა. ჩვენც იქვე ვიდექით. ქალმა რომ დაინახა — ვუყურებდით, ვერ ძოთმინა და თავისი მწუხარება გაგვანდო:

„არ შემიძლია ამ ადგილას გავიარო და ის უბედურება არ გამახსენდეს, რაც აქ დატრიალდა. სწორედ იქ, სადაც ის ქვაა, ორი ულამაზესი ვაჟაკი სრულიად უმიზეზოდ, არაფრის გამო, მუხანათურად მოკლა ერთმა გარეწარმა. გიორგი და ზაზა აქვე, ეკლესიის გვერდით ცხოვრობდნენ, მეც იქ ვცხოვრობდი — ჩემი მეზობლები იყვნენ. ჩემ თვალწინ იზრდებოდნენ. ეს ეკლესია ახალი აშენებულია. მშენებლობაში ეს ბიჭებიც მონაწილეობდნენ, ხელით ეზიდებოდნენ ქვებს, მღვდელს საათობით ესაუბრებოდნენ. ორივენი ძალზე ღვთისმოსავეები, მორწმუნენი იყვნენ, მამა ფარნაოზს ძალიან უყვარდა ისინი, მათი მოძღვარი იყო. როცა ბიჭები დაიღუპნენ, ეკლესიამ საკუთარი სახსრები გაიღო და პატივით დაკრძალა ისინი. დაკრძალვის დღეს ორივენი ღვთისმშობლის ეკლესიაში დაასვენეს, ერთად მიასვენებდნენ სასაფლაოსკენ... მათ დედებს რომ შეხედოთ, გული დაგეწვებათ. ადრე თავიანთ შვილებს თვალეგაბრწყინებულები შესცივინებდნენ, დღეს კი თვალები ჩამქრალი აქვთ, თითქოს აღარც აქვთ, გაქვავებულები არიან... მთელი უბანი

მათი ცოდვით ვიტანჯებით...“

წარმოდგენილად ძნელი და მძიმეა მიხვიდე შეიღობილ დედასთან და ტანჯვით განაწამებ ქალს სიხოვო — გაიხსენოს ის დღე, როცა თავის ცოცხალ შვილს უკანასკნელად შეავლო თვალი. ასეთ დროს ჟურნალისტები გულს იმით ვიმბერებთ, რომ სიმართლის გასარკვევად აუცილებელია, ყველას ყველაფერი გამოვკითხოთ. ამიტომაც, ჩვენს ახალგაგნობილ ქალბატონს, პირველ რიგში, გიორგისა და ზაზას დედებთანაც მიყვანა ვთხოვეთ.

როგორც შევითქვეთ, ეს ნაკლებად გამაურებული დანაშაული 2000 წლის 9 მარტს მოხდა. იმ საღამოს, დაახლოებით 9 საათისთვის, ღვთისმშობლის ეკლესიის მახლობლად, შინისკენ მიმავალ გიორგი კირვალიძესა და ზაზა მეტრეველს გზაში მეზობელი ბიჭები — მიშა და სერგეი სემინიხინები შეხვდათ. სემინიხინებს თავიანთი ორი მეგობარი ახლდათ. ერთ-ერთი — აფხაზეთიდან დევნილი, იმ დროისთვის თბილისში, ვარკეთილის მესამე მასივში მცხოვრები, 20 წლის ოთარ ლოლუა იყო. გიორგი და ზაზა მათ მიესალმნენ და ბოთლით ლუდი შესთავაზეს, რომელიც გზაში იყიდეს. ლოლუამ ლუდი გამოართვა. ყველა ნასვამი, მაგრამ სემინიხინები და მათი მეგობრები — მთვრალეები იყვნენ. ადრე მათ შორის არანაირი კონფლიქტი არ მომხდარა, იმ საღამოს კი, საუბრისას შელაპარაკება მოუვიდათ. ოთარ ლოლუამ ჯიბიდან მაკაროვის სისტემის

იარაღი ამოიღო და გიორგი კირვალიძისა და ზაზა მეტრეველის მისამართით ორჯერ გაისროლა. მერე მიშა სემინიხინისკენაც გაისროლა. ეს უკანასკნელი ფეხში დაიჭრა და შეშინებული გაიქცა... გიორგის ტყვია თვალში მოხვდა და მშინვე დაიღუპა, ზაზა კისრის არეში დაიჭრა და საავადმყოფოში მეორე დღეს გარდაიცვალა.


ოთარ ლოლუა შემთხვევის ადგილიდან გაიქცა, გადაიბრინა გადასასვლელი ხიდი და „დინამოს“ სტადიონთან, ვარკეთილისკენ მიმავალ სამარშრუტო ტაქსიში ჩაჯდა. ერთ-ერთ ნაცნობს ფული გამოართვა და იმავე დღეს მიიმალა.

სამართალდამცავებმა ლოლუა მხოლოდ სამი თვის შემდეგ — ივნისში, სუფსის ტერიტორიაზე დააკავეს. მკვლელობის საქმე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განიხილა. მოსამართლე ჯემალ ლეონიძემ განსასჯელს გლდან-ნადვალდევის რაიონული პროკურატურის მიერ მიყენებული მუხლები დაუმტკიცა და მას უვადო თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ირმა კირვალიძე, გიორგის დედა:

„გიორგი და ზაზა კლასელები იყვნენ. ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობდნენ, ბავშვობიდან ერთად იზრდებოდნენ და ამიტომაც, განსაკუთრებული მეგობრობა აკავშირებდათ. ორივენი უწყინარი, მოწესრიგებული ბიჭები იყვნენ, თანაც ძალზედ მორწმუნენი. ჩემი შვილი ყველაფერთან ერთად, ძალიან მორიდებულიც იყო, ზედმეტად ხმას არ ამოიღებდა. რას ვიფიქრებდი, თუ ოდესმე რომელიმე მათგანს ასეთი ხიფათი შეემთხვეოდა?!“

იმ დღეს ყველანი შინ ვიყავით. ჩემი ორივე შვილი — გიორგიც და ზურიკოც შინ იყო. დღისით, დაახლოებით 4 საათისთვის გიორგი სიგარეტის საყიდლად წავიდა, თან





გიორგი კირვალიძე (მარცხნივ) და ზაზა მეგრეველი

თავის ძმაკაცს – მიშიკო ღვედარიანს შეუარა. მიშიკო ჩვენგან ახლოს, აქვე კორპუსში ცხოვრობს. იქიდან გიორგი სულ რაღაც ნახევარ საათში დაბრუნდა და მითხრა, – დედა, იცი, იქ რა გემრიელი „ნაპოლეონი“ ვჭამო? აიჩემა – გინდა თუ არა, ნამცხვარი გამოგვიცხვეო. მე, რა თქმა უნდა, დავთანხმდი და ზურიკო (ჩემი უმცროსი ვაჟი) პროდუქტების საყიდლად გავუშვი. სწორედ მაშინ, გიორგისთან ჩვენი კარის მეზობლები – სემინინები შემოვიდნენ. მე ნამცხვრის ცხობა დავიწყე, ამასობაში გიორგის ერთ-ერთი ძმაკაციც მოვიდა. იგი ჯერ მიშიკო ღვედარიანთან მისულა, მაგრამ ეს უკანასკნელი შინ არ დახვედრია და გიორგისთან წამოსულა. თან ერთი ბოთლი არაფი მოიტანა. გიორგი სუფრის გაშლაში დამეხმარა. მალე ზაზა მეგრეველიც მოვიდა. სულ ხუთნი იყვნენ. ერთ-ერთი – ბესო ბერიძე ძალიან დათვრა, რადგან უკვე ნახვამი იყო, როცა მოვიდა. დანარჩენები ფხიზლები გახლდნენ. ერთი ბოთლი არაფი ხუთ ბიჭს რას დაათრობდა?! თანაც, იქიდან ერთი ჭიქა მეც დამალევიანეს. როცა აიშალნენ, გიორგი ბესოს ეხვეწებოდა – დარჩი ჩვენთან, ასე მთვრალი სად უნდა წახვიდო? ბესო არაფ-

რით არ დარჩა. მაშინ გიორგიმ მითხრა – დედა, ბესოს მარტოს ხომ არ გავუშვებ, გავაცილებო. ამ დროს მე ნიგვზიან ხარჩოს ვამზადებდი და ისიც დაამატა – სანამ დავბრუნდები, ეს კერძი ხომ მზად გექნებაო?.. კი, ალბათ მზად იქნება-მეთქი – ვუპასუხე. ყველანი ერთად გავიდნენ, გიორგი კართან მდგომ სემინინების ბავშვს მიეფერა, აკოცა და წავიდა.

სახლიდან ბიჭების გასვლის შემდეგ, სულ 45 წუთით იქნებოდა გასული, როცა მე კერძის მომზადება დავასრულე და ტელევიზორის საყურებლად დავჯექი. ტელევიზორი „გვადალუბ“ გადიოდა, ასე რომ, საღამოს, დაახლოებით 9-ის ნახევარი იყო, როცა მეზობელი შემოვიდა და მითხრა: ირმა, მგონი გიორგი დაჭრეს და საავადმყოფოში წაიყვანესო. მაშინვე საავადმყოფოში გავვარდით. მტერს არ ვუსურვებ იმას, რაც მე იქ ვნახე. რა მოხდა, არ ვიცოდი, არავინ არაფერს მუხუბნებოდა, წინ და უკან გიჟივით დავბოდი. რეანიმაციის განყოფილებაში შევკვარდი, იქ ექიმები ზაზას დასტრიალებდნენ თავს – ტანსაცმელს ხდიდნენ, რაღაცას უკეთებდნენ. მერე გიორგიც დაინახე – იქვე იწვა, სახე სულ სისხლიანი ჰქონდა; პალტო გადააფარეს... ცალი თვალი აღარ ჰქონდა... იმ დამპალმა მიბჯენით, პირდაპირ თვალში ესროლა...“

დარეჯან მეგრეველი, ზამასა დედა:

„ზაზა იმ დღეს, საღამოს 6 საათამდე შინ იყო. მეგობრებთან შესახვედრად სულ გადიოდა ხოლმე, იმ დღეს კი რატომღაც, დილიდან საღამომდე შინიდან ფეხი არ გაუდგამს. იბანავა, მერე ლოგინში ჩაწვა და ტელევიზორს უყურებდა. დაახლოებით პირველ-ორ საათამდე უყუ-

რა. როცა ადგა, მაგნიტოფონი ჩართო, თან სიმღერებს უსმენდა და თან საჭმელს ჭამდა. საღამოს 6 საათი იქნებოდა, მეზობლის ბიჭმა რომ დაუძახა – გიორგი გეძახისო. ზაზაც წავიდა – ბიჭები არიან გიოსთან და იქ ვიქნებითო. 8 საათზე უკვე ეს საშინელი ამბავი მომიტანეს. ყველანი საავადმყოფოში გავცვივდით. ექიმები მამშივდებდნენ – ყველაფერი კარგად იქნებაო. თითქოს საოპერაციოდ ამზადებდნენ, სპეციალისტებიც მოიწვიეს, მაგრამ აღარაფერმა უშველა... როცა ყველა მოვიდა, უკვე გვიანი იყო...“

ირმა კირვალიძე:

„გიორგიც და ზაზაც მე-4 კურსის სტუდენტები იყვნენ. ჩემი შვილი სწავლასთან ერთად, თბილისის ზღვაზე საფილტრო სადგურში ოპერატორად მუშაობდა: 18 წლიდან ცდილობდა ეშრომა, რადგან მამა არ ჰყავდა. ჩემი მეუღლე ადრე გარდაიცვალა და ოჯახის შენახვაში გიორგიც მეხმარებოდა. გზას ამცდარ, „ქუჩის ბიჭებთან“ მას, ისევე, როგორც ზაზას, საერთო არაფერი ჰქონდა. ოთარ ლოლუას არ იცნობდნენ, პირველად იმ დღეს ნახეს... კარგა ხანს არაფერი ვიცოდი ამ მკვლელობის შესახებ – რისთვის მოხდა ეს ყველაფერი. მერე, გამოძიების შედეგად, გაირკვა, რომ როცა გიორგიმ და ზაზამ ბესო ბერიძე მიაცილეს და იქიდან უკან ბრუნდებოდნენ, მიშა და სერჟიკა სემინინები, მათი ერთი ძმაკაცი და ოთარ ლოლუა შეხვედრიათ. ლოლუა სემინინებთან იმ დღეს პირველად ყოფილა სტუმრად. სულ ოთხნი იყვნენ. ხანმოკლე საუბრის შემდეგ, ლოლუას გიორგისთვის ლუდი გამოურთმევეა. ზაზას და ჩემს შვილს უთქვამთ მისთვის – შენ ქართველი ხარ და რუსულად რატომ ლაპარაკობ? ლოლუა აფხაზეთიდან დევნილი, რუსული ორიენტაციის ბიჭი ყოფილა, ამიტომ, ძირითადად რუსულად მეტყველებდა. ამან ალბათ გიორგი და ზაზა გააღიზიანა. ეტყობა, არ მოეწონათ – ქართველია და რატომ „ირუსებს“ თავსო... მათი მხრიდან ასეთი შენიშვნა ლოლუას არ მოსწონებია, ჯერ ლუდის ბოთლი გადაუტეხავს, მერე კი ცეცხლსასროლი იარაღი ამოუღია და

სამჯერ გაუსროლია. გიორგი და ზაზა ძირს რომ დავარდნილან, მიშა კი ფეხში დაჭრილი გაქცეულა, სერჟიკა ლოლუას მივარდნა და დაუყვირია: ეს რა ჩაიდინე?! ლოლუას კი დაუღრიალია: გაჩუმდი, თორემ ყველას დაგზოცავთო... ეს სიტყვები დამნაშავემ სასამართლოში აღიარა“.

დარეჯან მეტრეველი:

„ზაზა ოთარ ლოლუას საერთოდ არ იცნობდა. სემინინებისთანაც კი არ ჰქონია ურთიერთობა, მხოლოდ გიორგისთან თუ შეხვედრია მათ რამდენჯერმე. ამ ამბის შემდეგ, სემინინების იცნობდნენ აქედან და სხვაგან გადავიდნენ საცხოვრებლად... სასამართლო პროცესზე ადვოკატმა ისიც თქვა, თითქოს ლოლუამ კი არ დაუმიზნა მეტრეველსა და კირვალძეს, არამედ უბრალოდ გაისროლა და ტყვიები სასიკვდილო ადგილებზე მათ შემთხვევით მოხვდათო. ეს დაუჯერებელია, რადგან არც თვალი და არც კისერი არ წარმოადგენს სხეულის ისეთ ადგილს, სადაც ტყვია შესაძლოა, ადამიანს შემთხვევით მოხვდეს. გარდა ამისა, არსებობს ექსპერტიზის დასკვნები, სადაც წერია, რომ ორივე გასროლა ცეცხლსასროლი იარაღის მიბჯენით მოხდა. ბიჭები ამბობდნენ: ისე უცებ მოხდა ყველაფერი, რომ აზრზეც ვერ მოვედითო — ეს სემინინების ჩვენებიდან არის. თავიდან ლოლუა იმასაც ამბობდა — იარაღი ჩემი კი არაა, სერჟიკასი იყო, მაგრამ როცა გამოძიებულმა ისინი ერთმანეთს დააპირისპირა, როგორც იქნა, სიმართლე თქვა. სხვათა შორის, სემინინებს არანაირი ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებები არ მიუციათ. მიუხედავად იმისა, რომ ლოლუა მათი ამხანაგი იყო, მისთვის ხელის დაფარება არ უცდიათ“.

ირმა კირვალძე:

„სასამართლო პროცესზე ზმირად ვერ დავდიოდი, არ შემემლო. როცა აუცილებელი იყო ჩვენი მისვლა, მაშინ ვცხადდებოდით. დამნაშავეს მხრიდან, წარმოიდგინეთ, არავინ მოსულა. ოთარ ლოლუა პირველად იქ ვნახე. რომ შეხედავთ, ვერ დაიჯერებთ, მკვლეელი თუა: მაღალი, გარეგნობით ანგელოზივით ბიჭია. სხლომებზე მისკენ ვერ ვიხედებოდი, ყოველი მისი მოძრაობა, გამოხედვა,

მიხრა-მოხრა მაღიზიანებდა. აქეთ-იქედან, როგორც წესი, ბადრაგის ბიჭები ედგნენ, მათ ხელში ავტომატები ეჭირათ. ერთ დღეს შევნიშნე, იმ ავტომატებს თვალებით როგორ აკვირდებოდა. ამან იმდენად შემზარა, რომ მთელი სხეული ამიცახცახდა... დასანახავად ვერ ვიტანდი... მაგრამ დამიჯერებთ? — როცა განაჩენის დღეს მოსამართლემ გამოაცხადა, ლოლუას მიესაჯოს უვადო თავისუფლების აღკვეთაო, შევხედე იმ გარეწარს (იმ წუთიდან თითქოს თავისი სახე დაკარგა, — მოიკუნტა, დაპატარავდა, ადამიანის ფერი არ ედო) და წარმოიდგინეთ — შემებრადა... ჩემი შვილის მკვლეელი შემებრადა...“

პროკურატურის თანამშრომელთა თქმით, ოთარ ლოლუას ადრეც ჰქონდა ჩადენილი რამდენიმე დანაშაული. 2000 წლის 1 მარტს, მთვრალი, ვინმე ს. ტარულიშვილთან ერთად, დაყარა მის მიზნით ბაბაელების ოჯახს დაესხა თავს. ბინიდან 2.235 ლარის ღირებულების საოჯახო ნივთები და ძვირფასეულობა გაიტაცეს. 2000 წლის დასაწყისში ლოლუამ, გამოძიებით დაუდგენელი პირისგან, სათანადო ნებართვის გარეშე, მაკაროვის ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი შეიძინა. იარაღს საბრძოლო ვაზნებთან ერთად, მიიღო თქმით, იგი ერთ-ერთი საბავშვო ბაღის სარდაფში მალავდა. იარაღის უკანონოდ ტარება, ისევე, როგორც ყაჩაღობის ფაქტი, ლოლუამ სასამართლოში აღიარა.

ოთარ ლოლუას სამუდამო პატიმრობით დასჯა სახელმწიფო ბრალმდებელმა მოითხოვა. დაზარალებულებმაც იგივე მოთხოვნა წარადგინეს. მხოლოდ განსაჯების ადვოკატი არ ეთანხმებოდა მათ პოზიციას და ლოლუასთვის შურისძიების მიზნით ჩადენილი მკვლელობის შესაბამისი მუხლის შეფარდებას მოითხოვდა.

ლოლუას ადვოკატი — **ვალერიან წიკლაური** მოსამართლე ჯემალ ლეონიძის გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა და საჩივარი შეიტანა უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატაში, სადაც ლოლუას მიმართ უვადო პატიმრობის ვადიანი პატიმრობით შეცვლას მოითხოვს. საკასაციო პალატა საჩივარს 23 ოქტომბერს განიხილავს.

გიორგი დედასთან, ირმა კირვალძესთან ერთად

ვალერიან წიკლაური:

„ოთარ ლოლუამ განმარტა, რომ კირვალძესა და მეტრეველთან შელაპარაკებისას, თავდაცვის მიზნით ამოიღო პისტოლეტი, საიდანაც გაუფრთხილებლობით გაისროლა ორჯერ, რის შემდეგაც, შეშინებულმა მიატოვა იქაურობა, ე.ი. თავი დამნაშავედ ცნო გაუფრთხილებელ მკვლელობაში. სასამართლომ მისი ეს ჩვენება არ გაიზიარა და ჩათვალა, რომ ლოლუა განზრახ მოქმედებდა, თუმცა, ამის დამამტკიცებელი რაიმე საბუთი საქმეში არ მოიპოვება. მსჯავრდებული და გარდაცვლილები ფიზიკურად იმდენად ახლოს იდგნენ ერთმანეთთან, რომ დამიზნება სულაც არ იყო აუცილებელი. საქმის არავითარი მასალით არ არის უარყოფილი მსჯავრდებულის ჩვენება იმის შესახებ, რომ გარდაცვლილებს გაუფრთხილებლობით და არა განზრახ ნასროლი ტყვიები მოხვდათ, რამაც ასეთი სავერდო შედეგი გამოიწვია.“

მოსამართლის განაჩენი ლოლუას მიმართ მეტი სმეტად მკაცრია. მან მხედველობაში არ მიიღო ის, რომ ლოლუამ, მართალია, ადრეც ჩაიდინა დანაშაული — ყაჩაღური თავდასხმა, მაგრამ ადრე ნასამართლეობა არ ჰქონია; არც ის, რომ მსჯავრდებულის ძმა — ვიტალი ლოლუა აფხაზეთის ომში დაიღუპა, ხოლო მამა — ნოდარ ლოლუა ავღანეთისა და აფხაზეთის ომების მონაწილეა და თან, მეორე ჯგუფის ინვალიდი გახლავთ. ეს ლოლუას შემამსუბუქებელ გარემოებებად უნდა ჩათვლიდა“.





საქართველო

რის იცის ისეორიამ გვერდწითელოების გვარები?!

იაკობ ახუაშვილი

მკითხველმა გვინდა იცოდეს, რომ გვერდწითელთა გვარის ეტიმოლოგიით დაინტერესდნენ ბატონები სარგის ცაიშვილი, ზურაბ ჭუმბურიძე, იოსებ ბეჟირიშვილი და სხვანი. ამ გვარისანი ყველა კომპაქტურად დასახლებულნი არიან თბილისში (122 სული), გორში (25 სული) და კასპში (10 სული). გვერდწითლები ცხოვრობენ აგრეთვე აჭარაში, აჭარელი გვერდწითლები (ტერმინი პირობითია) ცნობილი ფეოდალური საგვარეულოს დიასპორების განაყოფი გვარია.

როცა დიასპორები მესხეთ-ჯავახეთიდან აიყარნენ, ნაწილი გურიას, ერთი ნაწილი კი ქვემო ქართლს (საბარათიანოში) გადავიდა. იქ მათ ახალი შტო-გვარი გაუჩნდა – დანდალიშვილი-დანდალიშვილი. გვარის ფუძედ აუღიათ მეტსახელი. საინტერესო ის არის, რომ დიასპორითა მამა-პაპანი დახელოვნებულნი ყოფილან თევზის ჩანგლით ნადირობაში (დაჭერაში). (დანდალი იგივეა რაც ჩანგალი). „და ამის გამო უწოდეს დანდალისშვილსა ძესა მისთა და მერე გაიგ-

ვარეს გვერდწითელობაცა. ოდეს ნადირობდა ვახტანგ მეფე თრიალეთსა, ერთმან ამითაგანმან მოკლა ერთი ირემი და მეფემან იხილა შორით და ბრძანა, მომგვარეთ კაცი, რომელსა აქვს გვერდებზედ წითელი, რადგანაც ეკერა კაბის გვერდებსა ზედა წითელი მაუდი და ოდეს მოვიდა მეფესთან უბრძანა, – ბარაქლა გვერდწითელოო, და მუნდგან ეწოდა გვერდწითელსაცა და არიან მოხსენებულ ტრაქტატსა შინაცა“ (საანდაზო ლექსები... გვ. 95).

მოტანილი გადმოცემა შესაძლოა მიგვანიშნებდეს, რომ დიასპორითაგან გამოყოფილი პირი თევზის დასაჭერ ჩანგლებს ამზადებდა და ამის მიხედვით (ჩანგალი – დანდალი) მეტსახელად იქცა და შემდგომში გაუგვარდათ კიდევც.

შიდა ქართლში არსებობს მეორე ვერსიაც. ზედაპირულად თუ შევხედავთ გვარის ეტიმოლოგიას, მარტივი ამოსახსნელია. გვარი შედგება ორი სიტყვისაგან: გვერდი და წითელი, ხოლო ენობრივად ასეთი ტიპის წარმოებაცა და გვარიც მრავლადაა ჩვენში. შედრ. თვალჭრელიძე, შავუელიძე, კოჭობროლაშვილი. ერთმა მკვლევარმა, აკი იყო, როცა გამოთქვა მოსაზრება, რომ ამ გვარის წინაპარი წითელგვერდა იყო და აქედან გაჩნდა ჯერ მეტსახელი, შემდეგ კი იგი გვარად იქცა.

გვარის წევრები თავიანთ გვარს ასე იოლად წარმოშობილად არ თვლიან. მათში არსებობს წინაპართა ლეგენდის მსგავსი გადმოცემა.

გვერდწითლების ბუდე-ადგილი ყოფილა ხაშურთან ახლოს მდებარე სოფელი ხცისი, რომელიც გაშენებულია მტკვრის ხეობაში (ვახუშტი ბატონიშვილით მას ხცისის ხეობა ეწოდება). მათ ერთ წინაპარს თავი გამოუჩენია რომელიღაც ბრძოლაში, თვითონაც მძიმედ დაუჭრიათ, ცალი მხარე მთლიანად სისხლით ჰქონია მოსვრილი, მაგრამ გამარჯვებულს სოფლამდე მანც მიუტანია თავიო. გვერდწითლების გვარიც აქედან მოდისო.

ლამაზი ლეგენდაა, მაგრამ ცნობილია

ისიც, რომ ყოველ ასეთ გადმოცემაში ფანტაზია სჭარბობს რეალობას. მით უფრო, როცა ხალხურ ეტიმოლოგიასთან გვაქვს საქმე. ხოლო ასეთი ეტიმოლოგიების ფსიქოლოგიური საფუძველი ნათელია. ეს არის მისწრაფება, რათა ყველაფერი გააზრიანდეს, შინაარსი მიეცეს. ასე გადაიქცა ესტატე წმინდანის სახელობის ეკლესია (და სოფელი) ერთაწმინდად, მეჯულისხევი მეჯვრისხევად, ძელი პატიოსანი „გრძელ პატიოსნად“ (აკაკი შანიძე) და სხვ.

სარგის ცაიშვილი გვთავაზობს გვართან დაკავშირებით მის მიერ ხცისში ყოფნისას მოსმენილ მეორე ლეგენდას: „გვერდწითლების სახელოვან წინაპარს თურმე გმობობა ტაშისკარის ცნობილ ბრძოლაში გამოუჩენია. როცა ქართველებმა გიორგი სააკაძის მეთაურობით მუსრი გაავლეს თათარხანის ლაშქარს. მაგრამ აქვე ყურს მოხვდა არცთუ უმნიშვნელო დეტალი. ხცისი მტრისაგან მრავალგზის აოხრებულა და მასში მეტწილად ახალჩამოსახლებულნი ცხოვრობენო, მათ შორის გვერდწითლებიცო. ისიც გაირკვა, რომ ახალმოსახლეთა მიერ ხცისის შეესება მეტწილად სამხრეთით მდებარე მთიანეთიდან ხდებოდა.

... და აი, უკვე ხცისიდან რამდენიმე ათეული კილომეტრის მოშორებით, სამხრეთ მთიანეთში, არის სოფელი გვეძინეთი (ვახუშტით გვეძინი, გვერძინი-გვეძინი კი ძველ ქართულად გარეულ მტრედს ნიშნავს – სულხან-საბას ლექსიკონი), რომლის მოსახლეობა უკვე აღრიდანვე დაძრულა ბარისაკენ, მათ შორის სოფელ ხცისისაკენაც.

როგორც ხდებოდა, სოფლის სახელიც თან მიჰყვებოდა გადასახლებულთ. შესაბამისად, გვერძინეთიდან ჩამოსახლებულ კაცს ქართლური დიალექტის კვალობაზე შესაძლოა, მიეღო ახალი გვარსახელი, გვერძინთლის გვერდწითლამდე გადააზრებისათვის ერთი ნაბიჯილა რჩება, რაც ხალხური ეტიმოლოგიის წესისამებრ შემტკიცდა კიდევ ზემოთ მოტანილი ლამაზი გადმოცემით“ (იხ. სარგის ცაიშვილი, ფილოლოგიური ეტიუდები, ვახ. „ლიტერატურული საქართველო“, 5 თებერვალი, 1982 წელი).

ამრიგად, ადგილობრივი, გვარში შემორჩენილი ლეგენდის მიხედვით მიიჩნევენ, რომ გვერდწითელი (ქართლისა) სადაურობის მიხედვითაა გაჩენილი და იგი ტოპონიმ გვერძინეთს უკავშირდება. ■



ადამიანები სხვადასხვაგვარად აღიქვამენ ცხოვრებასა და საკუთარ თავს ამ ცხოვრებაში. აზრთა ჭიდილი, განსხვავებული მსოფლალქმის ურთიერთდაპირისპირება თითქმის ყოველ ფენის ნაბიჯზე გვხვდება. „გზის“ ახალი რუბრიკა — „ბანკომილება“ სწორედ ამ მოვლენის ასახვის ცდაა: ცხოვრებაზე, ფასეულობებზე, ადამიანის რაობაზე ორი ურთიერთსაპირისპირო თვალთახედვის წარმოდგენას ისახავს მიზნად. განსჯა თქვენთვის — მკითხველებისთვის მოგვინდვია.

თამარ მამასაშვილი

„ნოტა „გაგზულაგდე“, რა, სხვა რა შემრჩება ცხოვრებაში?“

სიცხისგან გათანჯულმა კაფე „ნიკალას“ შევაფარე თავი. ერთ-ერთ მაგიდასთან საკმაოდ გამომწვევად ჩაცმული გოგონებისა და ზედმეტად „თავისუფალი“ საქციელით გამოჩენილი ვაჟების ჯგუფი შევნიშნე. მათ შორის ერთი ჩემი ნაცნობიც დავლანდე. დრო აღარ დამიკარგავს და ნაცნობის მემკვიდრით ახალგაზრდების ჯგუფთან გულანდელი კასაუბრებაც მოვახერხე.

— რა არის თქვენთვის ბედნიერება?

ნიკა:

— ბევრი ფული.

ქატი:

— საკაიფო ბაითი (კარგი სახლი. — ავტ.), „მერსედესი“, კარგი სამსახური და მაგარი სიმპათიური კაცი.

— მეუღლე?

— აუუ! რა დროს მეუღლეა...

— აბა, საყვარელი?

— უბრალოდ კაცი, რა.

— ქეთი, უტაქტო შეკითხვისთვის ბოდიშს გიხდის, მაგრამ რამდენი წლისა ხარ?

— ცხრამეტის.

— ოჯახის შექმნას თუ აპირებ ოდესმე?

— ყოველ შემთხვევაში, საჩქარო არაფერია, ცოტა „ვაკვულავდე“ რა, სხვა რა შემრჩება ამ ცხოვრებაში?

ბარჩო:

— ოჯახი ვინც შექმნა, იმანაც მაგრად ჭამა. ოჯახების ოთხმოცდაათი პროცენტი იშლება ან დაშლის პირასაა...

— თქვენი საუბრიდან ისე გამოდის, რომ სიყვარული არ არსებობს?

მბბ:

— რომელი სიყვარული? რომეოს და ჯულიეტასი თუ თინათინის და ავთანდილის? კარგი, რა! მაგ ზღაპრების დრო წავიდა. ახლა სხვა ცხოვრებაა, სხვა რიტუა, სხვა ადამიანი იბადება, ახალი ფსიქოლოგიით — თავისუფალი ადამიანი.

— რისგან თავისუფალი?

— კომპლექსებისგან, საზოგადოებრივი აზრისგან, იდიოტური ნორმებისგან.

— სექსის თავისუფლებას როგორ უყურებთ?

ქატი:

— ძალიან ნორმალურად!

— გაუკულმართებული სექსიც მისაღებია თქვენთვის?

— ყველას შეუძლია თვითონ განსაზღვროს თავისი ცხოვრება.

ნიკა:

— მე შეიძლება არ მომწონს ჰომოსექსუალიზმი, მაგრამ ვიღაცას თუ მოსწონს, ის ჩემთვის მაინც ჩვეულებრივი ადამიანია და ამის გამო არავის აქვს უფლება, სხვებისაგან განასხვავოს იგი.

— ეს არის თავისუფალი აზროვნება?

ბარჩო:

— აბა ის არის აზროვნება, რომ ყველა ადამიანი დაშტამპულივით ერთნაირი უნდა იყოს, უნდა ჰყავდეს ცოლი, შვილები, მუშაობდეს და სამსახურის და სახლის იქით, არსად არ უნდა გაიხედოს?

ქატი:

— უნდა ეცვას ყველასთვის მისაღები „გოიმური“ ტანსაცმელი.

— მაინც რა უბრატესობა აქვს თქვენთვის ჩაცმის თანამედროვე სტილს?

— ლამაზია, გამომწვევი; ქალმა თუ არ გამოაჩინა თავისი სხეულის სილამაზე, ისე ვინ მიაქცევს ყურადღებას? თუ ყურადღება არ მოგაქცევს, მაშინ ცხოვრებასაც რაღა აზრი აქვს?

— კიდევ რას შეიძლება ჰქონდეს აზრი ცხოვრებაში?

ნიკა:

— გართობას, გრიალს, თავდავიწყებას...

— სად ერთობით ხოლმე?

ბარჩო:

— კაზინოში, რესტორანში. თუ მაგის ტოტი (საშუალება. — ავტ.) გვაქვს ხოლმე, დისკოთეკებზე. თუ სხვა „პრასვეტი“ (ამ შემთხვევაში გასართობი. — ავტ.) არაფერია — კომპიუტერზე ვთამაშობ, ნაშებს ვათვალიერებ...

— რა როლი აქვს თქვენს ცხოვრებაში ნარკოტიკებს?

ნიკა:

— ახლა მაგაზე ესე ხომ არ ვიბაზრებთ (ვილაპარაკებთ. — ავტ.), ისე კი, თუ გაინტერესებთ, გეტყვი, რომ სკოლებში მეშვიდე კლასიდან ბევრი ბავშვი ეწევა პლანს, უფრო ღიღები კი — ძალიან ბევრი, ზის წამალზე. ეს უკვე ჩვეულებრივი ამბავია და ამასაც ყველა უნდა შევეუუოთ.

— ნუთუ თქვენ მართლა ფიქრობთ, რომ ამის შეგუება შეიძლება?

ნიკა:

— ადამიანი იმ დროს უნდა შეეგუოს, რა დროშიც ცხოვრობს. ახლა ყველა ასე ცხოვრობს და ესე იგი, ჩვენც ასე უნდა ვიცხოვროთ.

— ხომ არ გიფიქრიათ იმაზე,

რომ შესაძლოა ის „ყველა“ ცდებოდეს?

— რატომ უნდა ვფიქრობდეთ ასე, როცა ჩვენ ასე ცხოვრება მოგვწონს, გვსიამოვნებს, ბედნიერებას გვანიჭებს?!

— ხომ შეიძლება, ერთ მშვენიერ დღეს ეს ყველაფერი დაიშრეს? ქეთი:

— რას იზამ, ყველაფერი წარმატალია და ჩვენც, სანამ არ დამსხრეულა, ვცდილობთ, ბოლომდე ვიგრძნოთ სიცოცხლე.

— აბორტის დაკანონებაზე რას ფიქრობთ?

მპპა:

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს, ქალაქში რას დაწერენ? ყველა ქალმა რომ ყველა ორსულობიდან ბავშვი გააჩინოს, ხომ სივითე იქნება. ვიცით, რომ აბორტის გაკეთება ცოდვია, მაგრამ ზოგჯერ ვარდები ისეთ სიტუაციაში, როცა სხვა გზა არ გაქვს.

— თქვენ ცოდვა ახსენეთ. ეკლესიაში ხომ არ დადისართ ხოლმე? მპპა:

— როგორ არ დავდივართ?! ჩვენ ყველანი ქრისტიანები ვართ და ეკლესიაშიც ხშირად ვანთებთ სანთლებს. თუ რამე ცოდვას ჩავიდნით, ღმერთს პატივ-



ბას შევთხოვთ ხოლმე.

— ნელან რომ ამბობდით „იდიოტური ნორმებისგან“ თავისუფლები უნდა ვიყოთო, ქრისტიანულ მორალზე, ზნეობასა და ნორმებზე რა აზრის ხართ?

მპპა:

— თეორიულად ყველაფერი სხვაგვარადაა, მაგრამ არ შეიძლება ოცდამეერთე საუკუნის ადამიანი იმავე კრიტერიუმებით ცხოვრობდეს, როგორც პირველ საუკუნეში ცხოვრობდნენ. ყველაფერი ვითარდება, იცვლება, მათ შორის — ადამიანიც. ჩვენ ახალი ადამიანები ვართ და ახლებურად ვცხოვრობთ.

— გარდაცვალებაზე თუ ფიქრობთ ხოლმე?

ნიკა:

— ძალიან იშვიათად. განა რა სასიამოვნოა მაგ თემაზე ფიქრი? სიცოცხლე ძალიან მიყვარს და სიკვდილის მეშინია. ამაში სათაქილოს ვერაფერს ვხედავ.

— როგორ გგონიათ, მეორედ მოსვლისა და განკითხვის ფაშს ცალკე განიკითხებიან „თანამედროვე აზროვნებისა“ და „ძველი“ ადამიანები?

ნიკა:

— ეგ არავინ იცის, მაგრამ მანამდე დიდი დროა, ჩვენს ცხოვრებაშიც იქნებ ბევრი რამ შეიცვალოს. იქნებ ჩვენც სხვაგვარად შევხედოთ ჩვენს დღევანდელ ყოფას. ენახოთ, ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

არ შეიძლება „ერთა უფალთა მონება: მამონისა და ღვთისა“!



დედა პარასკევა

მამა გაბრიელთან დაკავშირებული სასწაულების თემა მკითხველისათვის უცხო არ არის (ამის შესახებ „გზაში“ მოვითხრობდით). მცხეთის დედათა მონასტერში ჩვენი სტუმრობის მიზანი, სასწაულია ხილვა ნამდვილად არ ყოფილა — გვინდოდა, კეთილმოწმუნე ბერის ბავთაგან წართმეული ღვთიური სიბრძნე მოგვესმინა მისი სულიერი შვილის — დედა პარასკევასგან, მოგვესმინა ეს დიდი სიყვარული, სიკეთე და სიბრძნე და თქვენამდე მოგვეტანა, როგორც სულიერი საზრდო.

მაგრამ ერთი პატარა სასწაულის მომსწრე ჩემდა უნებურად გავხდი: დედა პარასკევამ თავი შეიკავა ინტერვიუს მოცემისაგან და უიმედოდ დაღონებულმა კარგა ხანს ვიტრიალე მამა გაბრიელის საფლავთან. ბოლოს, ჩუმად გულში, მამა გაბრიელს შევთხოვე დახმარება. თხოვნა დამთავრებულიც არ მქონდა, რომ დედა პარასკევამ თავისთან მიხმო და აბა ვისაუბროთო — მითხრა.

— როგორ მოხვედით ეკლესიაში?

— ღვთის ნებით და ჩემი მტკიცე გადაწყვეტილებით.

— როგორია თქვენი ყოველდღიური ცხოვრების წესი?

— ყოველი დღე ჩემთვის ლოცვით იწყება და ლოცვითვე მთავრდება. დღის განმავლობაში მამა გაბრიელის საფლავთან ვარ და ხალხს ვემსახურები. საღამოობით კი, ან ლოცვას ვესწრები, ან სანთლებს ვაკეთებ — იმის მიხედვით, როგორ კურთხევასაც მივიღებ.

— ყოველი დღე ერთმანეთს ჰგავს, თუ არის განსაკუთრებული დღეები?

— როცა ადამიანი მოვა და იტყვის, რომ მამა გაბრიელის საფლავიდან წაღებული სასწაულმოქმედი ზეთით გამოჯანმრთელდა, ის დღე ყველაზე ბედნიერი მგონია ხოლმე.

— რა ნატვრა აქვს დედა პარასკევას?

— მინდა ყველა გადარჩეს, ყველა ცხონდეს, ყველა მოწმუნე იყოს, სიყვარულით ცხოვრობდეს, ყველა სწული განიკურნოს.

— აპირებს თუ არა წმინდა სინოდი მამა გაბრიელის წმინდანად შერაცხვას?

— ალბათ შერაცხვას.

— დღეს ჩვენს საზოგადოებაში მკვიდრდება თავისუფალი აზროვნებისა და ქცევის ნორმები, რაც ჩაც-

მის თავისუფალ სტილში, სექსის თავისუფლებაში და მრავალ, მრავალ სხვა „თავისუფლებებში“ აისახება. ყველაფერი, რაც ამ ნორმებს არ პასუხობს, ძველმოდური და მიუღებელია. როგორია თქვენი აზრი ყოველივე ამის შესახებ?

— მამა გაბრიელი ამბობდა, რომ ადამიანს ყველაფერში საზღვარი აქვს მიცემული და იგი ამ სულიერ, ზნობრივ საზღვრებს არ უნდა გადასცდეს. საზღვრებგარეშე თავისუფლება ადამიანს ბოროტებამდე მიიყვანსო. ასოლუტურად თავისუფალი მხოლოდ უფალია. მამა გაბრიელისავე თქმით: „ყოველგვარი გადაჭარბებული ბოროტისგან არისო“. დღეს საქართველოში ზნეობა დაეცა. შეჩვენებულ იყოს დღევანდელი ჩაცმულობაო. ბოლო ჟამს ანტიქრისტიანული მომხრეები ქუჩაში გახდნენ ივლიან, ხოლო ქრისტიანები ჩაცმულობითაც და ზნეობითაც შეიცნობიანო...

— დღეს ხშირად გაიგონებთ ასეთ ფრაზას: „თუ ფული არ გაქვს, კაცი არა ხარ“. მართლაც, ფული ადამიანის ყოველდღიური ყოფის აუცილებელი ელემენტად იქცა.

— მამა გაბრიელი ამბობდა, რომ ყველა ფულის ადგა არ შეიძლება, ხშირად ფული ბოროტის მანქანებისაგან არის, შეიძლება იუდას ცოდვაში ჩაგაგლოს და ვეღარ გამოხვიდეთ.

— მრავალმხრივი დამოძღვრის მიუხედავად, ლამის კაცის კვლის ტოლფასი ცოდვა — აბორტი დღევანდელი საზოგადოებისთვის ერთ-ერთ ჩვეულებრივ ყოფით მოვლენადაა ქცეული. უფრო მეტიც — ხელისუფლების გარკვეულ ნრეებში მის დაკანონებაზეცაა საუბარი.

— ამის პასუხად მამა გაბრიელის ერთ გამოცხადებაზე ვიამბობთ: ერთხელ ძველმა მრევლმა სამების ტაძარში ქართველი ერის გამრავლების პარაკლისი გადავიხადეთ. იმ საღამოს, შინ რომ დავბრუნდი, ხილვა მქონდა: ძველი მეომრის სამოსში გამოწყობილი ორი კაცი მოვიდა ჩემთან, ხელი დამავლეს და სადღაც წამიყვანეს. თეთრ შენობასთან მივედი, რომელსაც ვკვარი არ ჰქონდა. ერთ ბნელ ოთახში შემავლეს, შემეშინდა, კედელს ავეკარი და თითის წვერებზე დავდექი. უეცრად კარი გაიხსნა, დაიძახეს: მობრძანდება, მობრძანდება! პირველად ის ორი მეომარი შემოვიდა, ოთახი განათდა და დავინახე, რომ ირგვლივ ყველგან აბორტით მოწყვეტილი გასისხლიანებული ბავშვები ეყარა, ჭერდიანაც სისხლი წვეთავდა. ამ დროს დავინახე, ღვთისმშობელი მობრძანდებოდა. მას ანგელოზები და წმინდანები ეხვია გარს; ჩემთან მოვიდა და მკაცრად მითხრა: გაბრიელ, ამას მევედრები, ასე გამრავლდება საქართველო?! შემდეგ გაბრუნდა და წავიდა... მეორე დღიდან ფეხშიშვე-

ლი დავდიოდი მთელ საქართველოში და დელებს ვევედრებოდი: აბორტი არ გაიკეთოთ, საქართველო გადაარჩინეთ-მეთქი.

— ჩვენში საკმაოდ მომრავლდა კაზინოები, ლამის კლუბები, რესტორნები... საით მივყავართ ამ გზას?

— ერთხელ მამა გაბრიელს რესტორანთან გაუვლია და პირჯვარი გადაუსხა. ერთ ნაცნობს უკითხავს: „რატომ გამოისახე პირჯვარი?“ — ეს ჩემი საიდუმლოა, მაგრამ, რადგან ასე გულით გინდა, გეტყვი: რესტორანთან რომ გამოვიარე, დავინახე, რომ იქ მყოფთათვის ანგელოზები ტიროდნენ და ადამიანებს ევედრებოდნენ — აქედან გამოდით და ეკლესიაში წადითო. მეც პირჯვარი გამოვისახე და მათთან ერთად ვლოცულობდი, რომ ისინი ტაძართან მიეყვანათ. ეკლესიასთან გაელისას მთავარი, პირჯვრის გადაწერა არ არის, მთავარი, ბოროტის მანქანების გარდგევა, სახთლის ანთება და ქვეყნის გადარჩენისთვის ლოცვააო.

მათ, ვინც ამქვეყნიურ დროს ტარებას ანდობს სიცოცხლის მნიშვნელოვან წლებს, მამა გაბრიელი ეტყობა: „დრო დიდი წყალობაა ღვთისა, დროში კაცი შეიძლება ცხონდეს, შეიძლება წაწყდეს“.


მამა გაბრიელი კუბოში წვებოდა ხოლმე. ჰკითხეს: რატომ წვებო?.. ამით ადამიანებს სიკვდილს ვაჩვენებ; ქრისტიანი რომ ყოველ საღამოს სიკვდილზე იფიქრებს, ცოდვას აღარ ჩაიდენსო. სიკვდილი არაფერია — როგორც თვალი დახუჭო და გაახილო, ისეაო. გემინოდეთ განკითხვისა, რომელიც იმწამსვე მოდის და სული მამინე გრძნობს, თუ რა ელოდებაო. გარდაცვალება უფლის ხელშია. რა გზასაც აირჩევს ადამიანი, ისევე მიეგება მასო.

— რას ეტყობით განსაცდელში ჩავარდნულ ქართველ ხალხს?

— სადაც ღმერთი და სიბრძნეა, იქ განსაცდელიც დიდია. ცოტათი მოითმინეთ და თუ ბოლომდე დათმენას შეძლებთ, სამოთხის კარი გაეღებათო — გვეუბნებოდა მამა გაბრიელი — ქართველმა ერმა რწმენით და სიყვარულის გზით უნდა იცხოვროს. როცა იოანემ არ დაიცვა ღვთის სიტყვა, ვეშაპა ჩაყლაპა. უფალმა სოლომი და გომორა დაანგრია, ხოლო ნინევა შეიბრადა, რადგან ნინეველებმა შეინანეს. თუ ადამიანები სინანულით არ იცხოვრებენ, სამინელი ნგრევა და ომები შეიძლება მოხდესო. ღვთის რწმენა შეიძინეთ და ყველას რწმენისამებრ მოვეცემით. მე მივედივარ, რომ მეოხი ვიყო თქვენი ღვთის წინაშე და თქვენი სიყვარული უფალთან მივიტანო.

— მამა გაბრიელის საფლავზე ანთებული კანდელის ზეთის სასწაულებრივი განკურნების ფაქტებზე უკვე ბევრი დაინერა, რაიმე ახალს ხომ არ გვიამბობდით?

— ერთმა მორწმუნემ ზეთი საბერძნეთში წაიღო. იქ მოხუც ქალს უვლიდა.



მამა გაბრიელის საფლავი

მოხუცი ლოცვად ჩავარდნილა და მოძულელს სწულ ადგილას მამა გაბრიელის ზეთი წაუსვია მისთვის. მოხუცი იმ დღესვე წამოდგარა და ჰამა დაუწყია. მესამე დღეს მოძულეს ისევ მოუნდომებია ზეთის წასმა, მაგრამ მოხუცს ხელი უკრავს და უთქვამს: მომამორე ეგ ზეთი, რას მიხუჭნი, შენი ქართველი წმინდანი მე რას მიშველის? — ზეთი რომ წამისვა, ჭიანჭველები დაძვინდნენო. იმ საღამოს მოხუცი თავის შვილიშვილთან ერთად მდგარა ოთახში და უცბად ყვირილი აუტეხია, მიშველეთო. მისუღან და უნახავთ, რომ მთელი ფეხი ჭიანჭველებით ჰქონია საყსე. საიდან განწნდა ამდენი ჭიანჭველა, ვერავინ მიმხვდარა.

— რას წინასწარმეტყველებდა მამა გაბრიელი უფლის მეორედ მოსვლის შესახებ?

— ბოლო ჟამი დამდგარია, თქვენ ანტიქრისტეს მოესწრებით — გვეუბნებოდა, — მაგრამ ნუ შეშინდებით, უფალი თავის მორწმუნეს ხელისუფლებზე შეინახავსო. კაცთათვის შეუძლებელია, ღვთისათვის ყოველივე შესაძლებელია, რაც არ უნდა მოხდეს, ღვთის იმედს ნურასოდეს დაკარგავთო.

P.S. მე ეს ვჯვარი თქვენამდე სულ სისხლით ვატარე! ნეტავ, ცოტა მაინც გამოვით, ცოტა მაინც მიცნობდეთო — უთქვამს გაბრიელ ბერს და, აკი ჩვენი საუბრის მიზანიც მეტის გაგება და მეტის შეცნობა იყო. დასასრულ კიდევ ერთს ვიტყვით: „ადამიანის გმობა სხვასთან ბრძოლა კი არა, საკუთარ თავთან შეჯახებაა. შენ შენს თავს შეებრძოლე და თუ გაიმარჯვებ, ყველაზე დიდი გმობაც ეგ იქნება“ — დავგმობდვარ ბერმა და ამ რუბრიკის წაკითხვის შემდეგ თუკი ერთ მკითხველს მაინც გაუჩნდა საკუთარ თავთან შეჯახების სურვილი, ჩვენი ამოცანაც შესრულებულია.

ინფორმაციულ-მედიაციური კოლაჟი

ეონა დვალის უბის წიგნაკრები:

1. მუსიკის ისტორიაში ყველაზე გრძელი ოპერის — „ნიბელუნგების ბეჭდის“ — ავტორი ვილჰელმ რიჰარდ ვაგნერია.

2. იონაბეტი, ცისტერციანელები, კაპუცინები, ტამპლიერები — ეს სია კათოლიკურ ორდენტა ჩამონათვალა.

3. მსოფლიოში ყველაზე მაღალი რკინა-ბეტონის სატელევიზიო ანტა კანადაში მდებარეობს.

4. გველივით დაკლავნილობრიან ხანჯალს, რომელიც მალაიზიასა და ინდონეზიის ხალხებში გავრცელებული, კრისი ეწოდება.

5. XIX საუკუნის ბოლოს რუსეთის არმიას შეიარაღებაში „სმიტ-ვესონის“ რევოლვერები ჰქონდათ.

6. ლუვრის დათვალიერებისას კვაჭი კვაჭანტირაძემ კარგა ხანს უტრიალა როდენის „მოაზროვნეს“ და თქვა: „რაცაა დიდ კომბინაციას ამასქნებს აი კაცი. ნეტა მარჯენა ავი, კაი ამხანაგი გამევიდოდა.“

7. ფილმში „უღაბნოს თეთრი მზე“ სუხოვის მიერ ცოლის, ეკატერინე მატვეევანასადმი, მიწერილი წერილების ტექსტის ავტორი მარკ ზახაროვია.

8. შაბოკლიაკი ცილინდრის ერთ-ერთი სახელწოდებაა.

9. მეორე მსოფლიო ომის დროს, ებრაელების მსგავსად, ევროპაში მცხოვრები ბოშები დაზარალდნენ.

10. აკვიატებულ შიშებს შორის არსებობს თავად აკვიატებული შიშის აღძერის შიში. მას ფობოფობია ეწოდება.

11. ემელიანე პუგაჩოვის ხელ-ფეხისა და თავის მოკვეთა მიუსაჯეს. სასჯელის აღსრულების შემდეგ მისი თავი სარზე უნდა წამოეკვიათ, სხეულის დანარჩენი ნაწილები კი მოსკოვის ოთხ საუკუნეზე გაუტანათ და დაეწვათ. P.S. ეკატერინე II-ის საიდუმლო ბრძანებით, რათა სიკვდილმისჯილისათვის ტანჯვა შემსუბუქებინა, ჯალათმა პუგაჩოვის თითქოს შეცდომით ჯერ თავი მოჰკვეთა, შემდეგ კი — ხელ-ფეხი.

12. პორტ-არტურს ამჟამად ლიუიშუნი ეწოდება.

13. ჰიტლერის არმიის საჯარისო შენაერთს, რომელიც სულ ალპინისტებით იყო დაკომპლექტებული, „ედელვაისი“ ერქვა. იალბუხზე სწორედ მათ აიტანეს გერმანიის დროშა, რომელიც შემდეგ სვანმა ალპინისტებმა ჩამოსწესეს.

14. ცნობილია შემთხვევები, როდესაც სპილო გარდაცვალების შემდეგაც ფეხზე მდგარი რჩებოდა.

„მე ქართული ენა ძალიან მომწონს და ვცდილობ, კარგად შევისწავლო“, — ამბობს ჩემი ნიგერიელი, შავკანიანი რესპონდენტი — დანიელ იბოკვე, რომელიც კარგად ფლობს ქართულს და ორთაჭალაში, ერთ-ერთ ავტოპროფილაქტორიუმში ელექტროკოსად მუშაობს.

მარი ჩაშარიძე

ქართული მეგობარი

გოგონა მყავს და ვიცი, რომ ძალიან ვუყვარვარ

— დანიელ, როგორ მოხვდი საქართველოში?

— ჩემმა ახლობელმა მითხრა, რომ არსებობდა ასეთი ახალი რესპუბლიკა, სადაც სამუშაოს შოვნაც შეიძლებოდა და...

— გამდიდრებაც?

— (იცინის) გამდიდრება არა, მაგრამ ბევრი ფულის შოვნა — კი.

— სად ცხოვრობ?

— ავლაბარში. საკუთარი ბინა მაქვს და მეგობართან ერთად ვცხოვრობ. ქართველი და სომეხი მეზობლები მყავს და მათთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს.

— სომეხს და ქართველს ერთმანეთისგან როგორ არჩევ?

— სომეხი უფრო შავია და რაღაცნაირი სიარულის მანერა აქვს. ქართველებს ხელებით ლაპარაკი უყვართ და ძუნწები არ არიან.

— ქართული მშვენივრად იცი. ინგლისური ხომ არ დაგაინწყდა?

— ინგლისურად უკვე ქართული აქცენტით ვლაპარაკობ. ქართულად კი პირველად, გინება ვისწავლე, მერე, ნელ-ნელა — ყველაფერი. ყველაზე მეტად მომწონს სიტყვა „დაქოქე“, ლამაზი სიტყვაა. საერთოდ, ქართველები კარგი ხალხია. სამი წელია აქ ვცხოვრობ და ყველა შემეყვარა. სტუმარი უყვართ, სახლში ხშირად მეპატიჟებიან ქართველი მეგობრები. ვგრძნობ, რომ მათაც ვუყვარვარ.

— ქართული საჭმელები თუ მოგწონს?

— კი. ყველაზე უფრო ელარჯი მომწონს, მაგრამ ჩვენი, ნიგერიული საჭმელები



ბი უფრო გემრიელია. ძალიან მიყვარს ჩვენებურად მომზადებული ბრინჯის კერძები. სახლში ხშირად ვამზადებ და მეგობრებსაც ვუმასპინძლები. სამაგიეროდ, თქვენბური კახური ღვინო მიყვარს. ხშირად არ ვთვრები, მაგრამ ხანდახან ვსვამ. აქ გაევიგე, „პახმელია“ რა არის. პირველად რომ დავთვერი, მეორე დღეს თავი მტკიოდა და ცუდად ვიყავი. ბიჭები იცინოდნენ — შენ ახლა „პახმელიაზე“ ხარო. ხაში მაჭამეს, არაფი დამალევიინეს და მერე კარგად გავხდი. ახლა მე თვითონ „გამოვიღვიარ პახმელიაზე“.

— რომ თვრები, ქართული არ გავინწყდება?

— (იცინის) კი, ქართულს და ინგლისურს ერთმანეთში ვურევ და იქ მყოფები ნახევარს ვერ იგებენ.

— ქართველ ქალებზე რას იტყვი?

— მაგრად მომწონს. კარგი გოგონები გყავთ. რომ შემეყვარდეს, ქართველ გოგონს ცოლადაც მოვიყვან და ბევრ შეიღს გავაჩენინებ. ქართველი მეგობარი გოგონა მყავს და ვიცი, რომ ძალიან ვუყვარვარ.

— სამშობლოში წასვლას არ აპირებ?

— ნიგერიაში ძალიან „მაგარი“ ცხოვრებაა (ვეჭვობ, მაგრამ რესპონდენტი ასე ამტკიცებს. — ავტ.), ყველაფერი უკეთესად და უფრო კომფორტულადაა მოწყობილი, მაგრამ აქაც ძალიან მომწონს და წასვლას არ ვაპირებ. აქ სამუშაოს შოვნა ძნელია, მით უმეტეს, ჩამოსული ადამიანისთვის, მაგრამ თუ კარგი სპეციალისტი ხარ, თავს ყოველთვის გაიტან.

— რამდენს შოულობ თვეში?

— (იცინის) ხელფასი 30 ლარი მაქვს.

- სულ ეგ არის? გყოფნის?
- (ივინის) მეტი რა გზა მაქვს? უნდა ვიმყოფინო. შენ რამდენს შოულობ?
- ასე, 150 ლარს!
- მერე, გყოფნის?
- არა, მაგრამ სამშობლოში ვცხოვრობ და სად ნავიდე? შენ კი, თუ იქ უფრო „მაგარი“ ცხოვრებაა, აქ ოცდაათ ლარზე რატომ ცხოვრობ?
- აქ უფრო მომწონს და იმიტომ.
- საქართველოს შესახებ რა იცი?

— ვიცი, რომ ახალი შექმნილი რესპუბლიკაა, ხალხს ფული არ აქვს, ვისაც აქვს — ბევრი აქვს. სამსახური არ იშოვება. ყველა რალაცას ყიდის, საჭმელი ძალიან იაფია და ტანსაცმელი — ძალიან ძვირი.

— ჩვენს ქვეყანაში ცხოვრების საპასპორტო რეჟიმს როგორ იცავ?

— ყოველ წელს ვაკეთებ ვიზას ერთი წლის ვადით. ამ მხრივ პრობლემები არ მაქვს, არც პოლიციასთან მაქვს სირთულეები. ქუჩაში არავინ მაჩერებს, დისკოთეკებზე და რესტორნებში მე არ დავდივარ — უფულობის გამო კი არა, უბრალოდ, დრო არ მაქვს; ბევრი კლიენტი მყავს და ვერ ვიცლი. ისე, თუ რაიმე პრობლემა მექნება, შემიძლია ბრიტანეთის საელჩოს მივმართო, რადგან აქ ჩვენი საელჩო არ არის გახსნილი.

— ყველაზე მეტად, რა არ მოგწონს?

— კლიმატი. იქ, ჩვენთან, სულ ზაფხულია. აქ კი ზამთარში ძალიან ცივა და ცოტა მიჭირს. ოდნავ რომ აგრილდება,

უკვე თბილად ვიცვამ და მაინც მცოცავ. ზამთარში „ფერს“ ვანთებ. ქართველებმა მასწავლეს (ივინის).

— რაიმე საინტერესო ამბავს ხომ ვერ მომიყვები?

— როგორი ამბავი გინდა — ისტორიული, გეოგრაფიული თუ ეკონომიკური?

— შენ რა, დამცინი?

— რატომ უნდა დაგცინო? ძალიან კარგი გოგო ხარ, მაგრამ ინგლისური რომ არ იცი, ეგ ძალიან ცუდია.

— დანიელ, რამდენი წლის ხარ?

— შენი აზრით, რამდენის ვიქნები?

— ასე, 25-26-ის.

— (ივინის) ჰოდა, როგორც ფიქრობ, ისე დაწერე.

ეგ ზოტიკური რესპონდენტის ასაკი ჩემთვის ბოლომდე საიდუმლოდ დარჩა, მაგრამ, სამკვირვოდ, გამიხილა, რომ უახლოესი 25 წლის განმავლობაში საქართველოს დატოვებას არ აპირებს. მასთან საუბრისას ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს, საქართველოში ცხოვრებამ ზნე შეუცვალა, გააქართველა და ხასიათში სიამაყე დაუმკვიდრა. დასასრულს კი ერთი ანეკდოტი გამახსენდა: რესტორან „ვეროპაში“ შაკვანის ოფიციალტი მუშაობდა, რომელიც ქართულად გამართულად მეტყველებდა. რესტორნის ორმა ჩვენებურმა, შეზარხოშებულმა სტუმარმა გაოცებით შეხედა და იკითხა: ეს ვინ არის? — ლტოლვილია — იყო პასუხი.


- ვა, საიდან?
- ნიგერიიდან.
- ბიჭო, ნიგერიაც წავგართვეს? — იკითხა სტუმარმა და გაკვირვებისგან მხრები აიჩინა.

ავტოპროფილაქტორიუმი, რომელშიც მუშაობს დანიელი



ინფორმაციული-შეხვედრითი კოლაჟი

ეორა დვალის უბის წიგნაკიდან:



15. „სელოვი“ მსოფლიოში ყველაზე დიდი ალქიმიანი გემია.

16. ხულიო იგლესიასი ახალგაზრდობაში საკმაოდ კარგი ფეხბურთელი იყო.

17. ვლადიმერ ანტონიო როსინი სამინერალი მუცელა იყო. მას არაფრად უღირდა იტალიის მთავრობის ვილდეობი და ამბობდა: „ამდენ მედალს ორი თავი ყველი მოეცათ, ის მერჩივანო“.



18. საბჭოთა პერიოდის კინემატოგრაფისტებს შორის თენგიზ აბულაძის ფილმები ყველაზე მეტი პრემიითა და ვილდოთი იყო აღნიშნული საზღვარგარეთ.

19. ღამით რომ არ გაიფინონ, სამარხილე ძაღლები თოვლში თხრიან ორმოს და იქ იძინებენ.

20. არტურ შოპენჰაუერი მიიჩნევდა, რომ ჩვენი სამყარო ყველაზე უარესია შესაძლებელთა შორის. ადამიანებს მიზნის მიუღწევლობის ტოტალური ტანჯვა აწუხებთ, ამიტომ ცხოვრების მიზანი მისგან გათავისუფლება უნდა იყოს.

21. ქრისტიანობის გავრცელებამდე ჯჳონ-დიდში (ახლანდელი მარტვილი) აღმართულ კერპს, რომელსაც მსხვერპლად ბავშვებს სწირავდნენ, კაპუნა ერქვა.

22. გოჯაბა, ცაბუ, ბიკი, კიკუ, ცუცუ, ღომჭიტი — ეს სახელები ერქვათ მეფანზე კავაია ბულავას შვილებს, რომელსაც დათა თუთაშხიამ და ნიკიფორე ბუბუტიშვილმა 5.000 მანეთი წაართვეს. P.S. ეს ფული ბულავას თუთაშხიამ მოგვიანებით დაუბრუნა.

23. ივანე მრისხანე ნოვგოროდში ერთი თვის განმავლობაში უსწორდებოდა ლიტვის მეფის, სიგიზმუნდ მეორის, მომხრე ბოიარებს და რიგით მოქალაქეებს. ამ სისხლიანი სამსჯავროს დროს 3 ათასამდე უდანაშაულო ადამიანი გამოასალმეს სიცოცხლეს. შემდეგ გაირკვა, რომ ხმები ნოვგოროდელი ბოიარების დალატის შესახებ, თავად ლიტვის სამეფო კარის გავრცელებული იყო.

24. საქართველოში ადამიანის გატაცება და შემდეგ გამოსასყიდის მოთხოვნა სულაც არ არის ახალი ამბავი. XVIII საუკუნეში მარტო ქიზიყიდან ლეკების მიერ გატაცებული ათასობით ადამიანი მოხიზნა და მათი გაყიდვა დაიწყო. P.S. კახა კალაძის ძმის გასათავისუფლებლად გამტაცებლებმა 600.000 დოლარი მოითხოვეს.

„ციალა, ნისიად ხომ მომცემ პროდუქტს?“ „ციალა დეიდა, ორი ლუდი მინდა, ფულს ზეგ მოგიტან“, „ციალა, ერთი კვირით ოც ლარს ვერ მასესხებ?“ — გაისმის დილიდან საღამომდე ციალა თავართქილაძის ჯიხურთან, რომელიც პატარა სახლს უფრო წააგავს, ვიდრე ენ. „ბუტკას“. ქალბატონი ციალა (ანუ ციალა დეიდა, როგორც ყველა ეძახის) იმითაც არის ცნობილი, რომ მასთან სათხოვნელად მისულთ უარით ვერ ისტუმრებს. „არ ვიცი, ნენა, ეს ჩემი პიროვნული ნაკლია თუ რა, მაგრამ ადამიანს, რომელსაც სასონარკვეთა ახატია სახეზე, რაფერ ვუთხრა უარი, ვერ წარმომიდგენია“, — მეუბნება ის და ჯიხურის წინ სკამს მიდგამს, თანაც ნაყინს მთავაზობს: „ა, ნენა, დაისვენე პატარა ხანს და გულიც გაიგროლე“.



ანტურის სამი წელი იქ გავატარე. ნამეტანი სიმწრით მაგონდება ის წლები, ჩემი რუსულის გამო, მაგრამ იმდენს კი მივაღწიე, რომ დისერტაცია მომიწონეს, თანაც — რუსულად დავიცავი. ვერ წარმოიდგენ, ჩემი თავით როგორი კმაყოფილი ვიყავი. საერთოდ, ბავშვობიდანვე არ არსებობდა ჩემთვის გადაულახავი ბარიერი: რაც ძნელი მისაღწევია იყო, ის უფრო მაინტერესებდა ყოველთვის.

— როცა დაბრუნდით, სად გააგრძელეთ მოღვაწეობა? ახალ ბარიერებს შეეჭიდეთ?

— სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა მაინტერესებდა. ანასეულ-

ში, სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, უფროს მეცნიერ-მუშაკად დამნიშნეს, ხელფასი კაი მქონდა — 250 მანეთი (1970-იანი წლებია).

— გათხოვებაზე არ გიფიქრიათ? ვერ დაფიქვრებ, რომ თავგანისმცემლები არ გყავდათ!

— რაც ჩავიფიქრე, ყველაფერი განვახორციელე. გათხოვებაზე რომ მეფიქრა, ახლა უკვე ბებიაც ვიქნებოდი.

— ნუთუ არავის მოსწონდით?

— კი მოვწონდი, მარა, თქმას ვინ გამიბედავდა?! იმისთანა თხა ვიყავი, დედაჩემი სულ მეუბნებოდა ხოლმე: ნენა, ერთი შენს ქმარს მომასწროს ღმერთმა და მერე მომკლას, შენს და-ძმას, ყველას თავ-თავისი ოჯახი ჰყავს და ვინ მოგხედავს, ვის ეცლება შენთვისაო?! ნეტავი, ერთი გადმოახედა დედაჩემს და დაანახვა, რომ ახლა ყველას პატრონი მე ვარ...

— როგორც ვიცი, დიდი არეულობის დროს, „ზვიადისტობის“ გამო, დაპატიმრებას გიპირებდნენ...

ლენინგრადელი ახიანები

საერთო ჭიხურში ნისიად ვაჭრობს

მარინა ბაბუნაშვილი

— ციალა დეიდა, უბნის კოლორიტი ხართ (ნუცუბიძის პლატოზე ცხოვრობს. — ავტ.), თქვენთან, მარტო რაღაცის საყიდლად და სათხოვნელად კი არა, თქვენს მოსასმენადაც მოდიან ხოლმე. ბევრი მოსაყოლი რომ გაქვთ, ე.ი. საინტერესო ცნობრება გამოგივლიათ. რას გაიხსენებდით?

— რა ვიცი... გურული რომ ვარ, ეგ ხომ უკვე იცი? დავიბადე ჩოხატაურის რაიონის სოფელ ჭაჭიეთში. სულ ოთხი დედმამიშვილი ვართ. რომ გითხრა, ბედნიერი და ლალი ბავშვობა მქონდა-მეთქი, არ იქნება სწორი, იმიტომ, რომ დედა ხშირად ავადმყოფობდა და ხელს არაფერზე ვაკიდებინებდით. გარდა წერითი სამუშაოსი, ყოლიფერს ფეხზე მდგომელა ვაკეთებდი — თან წიგნი მეჭირა ხელში. წყაროზე ჩავირბენდი — მე შენ გეტყვი და ის ბილიკები შემეშლებოდა თუ რა?! — გზას არც ვუყურებდი, წიგნის კითხვა-კითხვით ამოვარბენინებდი

წყლიან კოკას, ძროხას გავდენიდი მინდორში და ისევე წიგნით მხედავდა სამეზობლო. ბევრს უკვირდა, თუმცა არაფერს მეუბნებოდნენ, პირიქით — თურმე მთელ სოფელში ლაპარაკობდნენ ჩემს სიბეჯითეზე. ოქროს მედლის კანდიდატი ვიყავი, მაგრამ რუსულის მასწავლებელმა იწუნკლა და „ოთხიანი“ დამიწერა.

— „ხუთიანი“ გეკუთვნოდათ და დაგჩაგრათ?

— არა, ნენა, „ხუთიანი“ კი არა, „ოთხიც“ არ მეკუთვნოდა, მაგრამ გული კი დამწყდა, მედლი რომ ვერ ავიღე. მერე, მიზნად დავისახე რუსული ენის საფუძვლიანად სწავლა.

— მერე, მოახერხეთ?

— კი, ნენა, ვისწავლე. როცა სასოფლო ინსტიტუტის სუბტროპიკული კულტურების ფაკულტეტი წარმატებით დავამთავრე, ასპირანტურაშიც მოვინდომე სწავლის გაგრძელება. სადისერტაციო თემის ხელმძღვანელად ავირჩიე რუსი პროფესორი — ივანოვი, რომელიც ლენინგრადში მუშაობდა. მეც გამაგზავნეს ლენინგრადში და ასპირ-

– უნდოდათ, მარა ვერ მივართვი! ახლობლებმა გამაფრთხილეს და თბილისის სახლი პაწა ხნით გამოვკეტე – ჩონატურში ვიყავი რამდენიმე თვე.

— შეგეშინდათ? იმალებოდი?

– მე მამალი მგლის არ მეშინია, ნენა, და იმათი რაფერ შემეშინებოდა?! მარა ვიცოდი – ჩემებს გული გაუსკდებოდათ, რამდენიმე დღითაც რომ დავეპატიმრებინე ვინმეს, თანაც – გადაგვარებული ქართველის ყურება არ მინდოდა და იმიტომაც წავვიდი.

— ხშირად ხელჯოხით რომ დადიხართ, ფეხი განუხვებთ?

– იმისთანა ავადმყოფობა მაქვს გადატანილი, ასეთი ფორიაქა რომ არ ვიყო, ახლა უკვე თქვენი ჭირი მექნებოდა წაღებული. ხომ გითხარით – ჩემთვის ბარბერი არ არსებობს-თქვა. ჰოდა, საწოლზე მიჯაჭვული რომ ვიყავი, დამბლადაცემულივით ვიწექი და ხელფეხს ვერ ვამოძრავებდი, ჩემს თავს მევე შევუძახე: შენ თუ არ გაინძერი, მართლ ღმერთი ვერ დაგებმარება-თქვა და მართლაც გავიარე. ეს რომ ჩემმა ქირურგმა – ალბოროვმა გაიგო, კინაღამ გადაირია, მარა ფაქტს სად გაექცევი?..

— ასეთი რა დაგემართათ, რომ საწოლს მიეჯაჭვებთ?

– წლები კი მომემატა, მარა, ახალგაზრდული გული და მოუსვენრობა მაინც შემომრჩა... ჩემმა ახლობლებმა დიდმის ტრასასთან ახლოს ნაკვეთი იყიდეს, სახლიც ჩადგეს და როცა საერთო უმუშევრობა და არეულობა დაიწყო (1992-93 წლები მაქვს მხედველობაში), მიწის პატარა ნაკვეთი მეც მომცეს. ისე მიხაროდა მიწაზე მუშაობა, ვერ აღვიწერ! ბოსტანი გავაკეთე, პატარა კვლებით, შესახედავად იმფერი ლამაზი იყო, რომ მეზობლები სანახავად მოდიოდნენ. ერთხელაც (ის პერიოდი, ჭერამი რომ მწიფს) ბოსტანში მუშაობას მოვრჩი, ბაღის ჭერმით პირიც ჩავიგემრიელე და შინ წასასვლელად მოვემზადე. კვლავ მეზობელი ქალები მესტუმრნენ ბოსტნის დასათვალიერებლად. აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ, მეც მსიამოვნებდა, ნაშ-

რომს რომ მიქებდნენ. მერე, ერთმა თქვა: ახლა სიამოვნებით შევჭამდი ჭერამსო. მაგაზე რაღა გაწყენინებთქი და ხეზე ავძვერი ამხელა ქალი. კრეფის დროს ტოტი მომიტყდა და ხის ფესვზე (მიწიდან კუხივით იყო ამოშვერილი) პირდაპირ ზურგით დავეცი. წამოდგომა ვცადე და ვედარ ავდექი. სახლის პატრონი (ექიმია ის ქალი), მაშინვე მიხვდა ჩემს უბედურებას: მოვარდა ხესთან, ბიჭებს გასძახა – სასწრაფოდ ძელი მოიტანეთო და ვენაში ტკივილგამაყურებელი გამიკეთა. საავადმყოფოში რომ მიმიყვანეს, სასწრაფო ოპერაციაა საჭიროო – თქვეს, მარა, ვერ გამიკეთეს იმ დღესვე – ფული არ მქონდა. ექიმებმა იფიქრეს, ალბათ უპატრონოაო... სასიკვდილოდ ვიყავი განწირული, მაგრამ ღმერთმა არ გამწირა, ახლობლებიც ამომიდგნენ გვერდში და 2 დღეში ფული მოიტანეს. თითქმის ხუთი საათი მიკეთებდნენ ოპერაციას. ხერხემლის ორი მალა გატეხილი მქონდა და მის ადგილას, ისე, რომ არაფერი დაზიანებულიყო, რკინის ნაჭერი უნდა ჩაედგათ. ურთულესი ოპერაცია გაკეთდა. როცა ქირურგმა ფანჯრიდან გადაიხედა, მთელი ეზო სავსე იყო ჩემი გულშემატკივრებით. ცრემლი მოადგა თვალზე: ამ ქალზე ამბობდით, უპატრონოაო?.. ბარბაქიდან გულმკერდამდე თაბაშირში ჩამსვეს, ასე უნდა ვყოფილიყავი 6 თვე, მაგრამ, როგორც უკვე მოგახსენე, ბევრ რამეს არ ვეპუები და ავადმყოფობას რაღა მოუხრიდი თავს?! სამ თვეში ავდექი, ჯერ წვალებით, მერე კი უფრო თავისუფლად გავიარე, ახლა ჯონს მაინც ვხმარობ, მარა მაგას აღარ დავებებ, რახან ცოცხალი გადავრჩი.

— ახლა დღევანდელ საქმიანობაზეც მიაბნეთ რაიმე!

– ეჰ, ნენა, აგი თუ საქმიანობა... იყიდე-გაყიდე მოსაბეზრებელია, მარა ნათქვამია, როგორც გიჭირდეს, ისე გიღირდესო. ვერასოდეს ვიფიქრებდი, თუ ამ საქმეს მოვკიდებდი ხელს... ჩემი და-ძმა უმუშევარია, მეც რომ სახელმწიფო სამსახურის იმედად დავრჩენილიყავი, რა გამოვიდოდა?! ამიტომაც ერთ ახლო-

ბელს ვთხოვე, ჯიხური ეშოვა ჩემთვის. მართლაც მომიხერხა და აგერ, ხომ ხედავ, სახლივით დგას. მთელი დღე აქ ვარ შუალამედე.

— როგორც ვიცი, ბევრს ნისიად მიაქვს პროდუქტი, როგორღა ახერხებთ ახლის შემოტანას?

– მაინც ვახერხებ. აბა, რომ გავჩერდე, ისე საქმე წინ არ წავა.

— სულ რამდენი აქვთ თქვენი ვალი უზნელებს?

– 4.500 ლარის პროდუქტი მაქვს გაცემული. აქედან ნახევარი დაკარგულია – წინდაწინ ვიცი. ერთ ახალგაზრდა კაცს 100 ლარი ვასესხე. ასე მითხრა, ორ კვირაში დაგიბრუნებო. ამას წინათ მანქანით ჩამიარა და ხელი დამიქნია. ვიფიქრე, მომესალმა-მეთქი და მეც ხელი ავუწიე. თურმე, ბინა გაუყიდა და ამერიკაში წასულა, ხელის დაქნევით კი დამემშვიდობა. ასეთი ასი ლარი (გინდ სესხით და გინდ ნისიად გაცემული) რამდენი მაქვს დაკარგული, ღმერთმა იცის. ბევრი ალბათ სულელადაც მთვლის, მაგრამ მაღლი რომ არ იკარგება, ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. ისე, ჯიხურში ყოფნამ უკეთ გამაცნო ადამიანები. სანამ სამეცნიერო საქმეს ვემსახურებოდი, ამ დუნიას ვარდისფერი სათვალით ვუყურებდი. ამ ჯიხურმა კი კარგიც ბევრი გამაცნო და ცუდიც. ერთს 500 ლარი ვასესხე და რომ უნდა დაებრუნებინა, მაღლობის და ბოდიშის ნაცვლად ასე მითხრა: ვინ გეხვეწებოდა, მომეციო? ნორმალურად არც მიცნობდი – თუ არ გინდოდა, ნუ მომცემდიო... უმრავლესობა მაინც კარგი მხრიდან გავიცანია. როცა გაჭირვებული სიკეთეს და მაღლს არ დაგიკარგავს, ამაზე ძვირფასი გრძნობა, განა არსებობს?!

— გაჭირვების მიუხედავად, მაინც ჩვეული ოპტიმიზმით თუ უყურებთ მომავალს?

– კი, მაინც ოპტიმისტი ვარ: სულ ასე გაუბედურებული ხომ არ იქნება საქართველო?! ჩვენი ერი მიწას, მეცნიერებას და მუზებს ემსახურებოდა უხსოვარი დროიდან და მწამს, მალე ისევ ასე იქნება.

აქ ამნავი ჩეხური „ლოუსტრისა“

მარინა ბაბუნაშვილი

ნამეტნავად შეწუხდა გაიოზა. ყოველი დილა ცოლის გაუთავებელი ზუზუნით იწყებოდა და ისე ღამდებოდა, სანამ ძილს არ მისცემდა თავს, იავნანასავით ჩაესმოდა. განსხვავება ის იყო, რომ „იავნანა“ ადამიანს ამშვიდებს, მაყვალას ზუილი კი ნერვებს უშლიდა და ღამით დაფეთებულს რამდენჯერმე ეღვიძებოდა.

საქმე ის გასლდათ, რომ სსვების „მაყურალ“ მაყვალას გულს უნეთქავდა სსვისი შენადენი, განსაკუთრებით კი – ჩეხური ბროლის ჭალი აღიზიანებდა. საკმარისი იყო, ვინმესთან სტუმრობისას ჩეხური „ლოუსტრა“ დაენახა, ის დღე წაშხამდებოდა და გაიოზასაც წაუხდენდა სმაჭამის გუნებას. არადა, გაიოზას მთელ ქუთაისში კაი პურისმჭამელისა და მომლხენის სახელი ჰქონდა გავარდნილი და რავარია, შუა ქეთეში ცოლის ზუზუნის მოსმენა, როცა ყველას თვალი მოგჩერებია?

ერთ-ერთი მორიგი ჩხუბის მერე, მაყვალამ ნამეტანი „გაუტბა“: რასაც შოულობ, ყველაფერს მუცელში იყრი, იმიტომაც გაგეზარდა მაგი ღიპი... მთელ ქუთაისს ჩეხური „ლოუსტრა“ მარტო „ზალაში“ კი არა, მგონი, ტუალეტშიც კი აქვს ჩამოკიდებული და შენ რა ღმერთი გაგიწყრა, რომ აქობამდი ვერ მოაქუჩე ფულიო... იცოდლე, თავს მოვიკლავ, ამ კვირის ბოლომდე თუ არ ამბდღვრიალე აქნე „ლოუსტრა“... როგორც გინდა და სადაც გინდა, იშოვე ფული, თვარა ტანისამოსიანად გელევირევი, იცოდლეო.

რა ექნა, საწყალ გაიოზას?! იმისთანა კაპასი ცოლი ჰყავდა, იცოდა, ჭალს თუ არ იყილდა, კვირის ბოლოს, დანიშნულ ქორწილზე (პარმენა გოგოს ათხოვებდა და გაიოზას სთხოვა სუფრის გაძლოლა) „იმფერ“ შეარცხვენდა, რომ ვინ იცის, თავი ველარ გამოეყო გარეთ.

იფიქრა, იფიქრა და გადაწყვიტა: ჩათრევას ჩაყოლა სჯობსო. მაყვალას ჩუმად „გადადგებული“ ფული აიღო და ცოლს სიურპრიზი მოულოდნელად გაუკეთა.



მაყვალას მართლა ძალიან გაუხარდა, რადგან ასე მალე ოცნების ასრულებას არ ელოდა.

ჩამოეკიდა ქმარს კისერზე და იმისთანა სიტყვები უთხრა გაიოზას, ღამის აატირა კაცი.

– ჩემო მაყვალა, პარმენას გოგოს ქორწილი ჩამთავებინე და მერე დაკვიდე ამ „ლოუსტრას“... ავი აწი არსად გაგვეძევა, მე კი ეს სამი დღე ისეთი გოდოლდებული საქმეები მაქვს, რომ ერთ წუთსაც ვერ მევიცილი.

– კი, კი, ჩემო გაიოზ, რახან ამას მევესწარი, რავა არ გადროვებ, შე კაცო. შეიძლებოდა ვინმეხა მეთხოვა და ჩამეეკიდა, მარა ჩეხურ „ხრუსტალს“ ვერავის ვანდობ, შენ გარდა!

ცოლ-ქმარი შეთანხმდა, რომ ქორწილის მერე დღეს ჩამოკიდებდნენ ჭალს...

იმისთანა ქორწილი გამართა პარმენამ, მაგიდები იზნიქებოდა და ნაირ-ნაირი საჭმლით გაწყობილი თეფშების ტეკა აღარ იყო მაგიდაზე. გაიოზაც ღირსეულად გაუძღვა 500 კაციან სუფრას. მაყვალაც ბედნიერ ღიმილს ჩუქნიდა ირგვლივმოყოფთ (მას მართლაც ჰქონდა ამის მიზეზი). ბოლოს, გაიოზა მერე კვირისთვის სუფრის გაშლას დაჰპირდა მძაკაცს – პარმენას და მის ახალ მოყვრებს და ბანცალ-ბანცალით წავიდა შინისაკენ.

გზად მაყვალა ტრადიციულად მოძღვრავდა:

– ა, ჩემო გაიოზ... დაპატიჟება და სუფრის გაშლა ქე გიყვარს და ჩეხური „ლოუსტრა“ რომ არ გეკონოდა, ხომ შეგვრცხვებოდი უცხო ხალხთან?

– მართალი ხარ, მართალი! – გაიოზა ენას ძლივს ატრიალებდა პირში.

– ხვალე, გათენდება თუ არა, მაშინვე ჩამოკიდე, იცოდლე, თვარა, ორშაბათიდან შენ ველარ მეიცლი და გადამიყვან ჭკუიდან. გაიოზა თავის კანტურსლა ასერხებდა.

მერე დღეს, ნათამადარსა და ნაქეთარს თვალის გახელა გაუჭირდა. ის-ის იყო, გვერდი უნდა ეცვალა და ძილი გაეგრძელებინა, რომ მაყვალა მომაჯადოებელი ღიმილით, ხელში ღანგრით, თავს დაადგა:

– ჰე, ახლა, ჩემი კაი ბიჭი, ადექი... ნუ იზმორები... ყოჩაღად წამოჯექი, ნახე, რაფერი კაი საუზმე მოგიტანე, „ლანჩს“ რომ ეძახიან ამერიკაში...


– „ლანჩს“ საუზმის მერე, 12 საათზე მიირთმევენ ამერიკაში და მადროვე მეც პაწა ხანს! – მუდარით შეზმულია გაიოზამ.

– აჰ, ერთ წუთსაც ვერ გადროვებ... ჯერ საუზმე მიირთვი და „ლოუსტრას“ რომ ჩამოკიდებ, მერე იმ „ლანჩსაც“ მოგიტან, ჩემო „კუჭკუჭი“ ბიჭო!

რაღა უნდა ექნა? წამოდგა გაიოზა. გაიარ-გამოიარა. პირზე ცივი წყალი შეისხა. მაგიდა შუაგულისკენ გააჩოჩა და რის ვაი-ვაგლახით ავიდა ზედ. ჯერ ძველი, „პრასტოი“ ჩამოხსნა, მერე კი მოწოდებულ ბროლის ჭალს წაავლო ხელი. „პახმელიაზე“ მყოფ გაიოზას ეშინოდა, „შიშველ დენს“ უნებურად არ შეხებოდა, ამიტომაც ნელა და ფრთხილად მოქმედებდა.

მაყვალა რამდენიმე წუთით სამხარეულოში გავიდა. როცა შემობრუნდა, „ლოუსტრასთან“ მოფუსფუსე გაიოზასადმი უსახლვრო სიყვარული იგრძნო: ჩუმად, ფეხაკრფით მიუახლოვდა და თავისი ჭკუით, გაეარშიყა ქმარს – მსუბუქად უჩქმიტა ერთ „უადგილო ადგილას“ და „შენ გეხუტუნე, ჩემო კუჭკუჭი ბიჭო“ – დააყოლა.


გაიოზა შეხტა, ეკონა, დენმა დამართყაო და ჯერ კიდევ დაუკიდებელი ჭალი ხელიდან გაუშვა. გაისმა ჩეხური ბროლის წკრიალა ხმა და ცოტა ხანში მთელი „ზალა“ ბრჭყვიალა ნამსხრევებით დაიფარა.



შაპონებით თქვენი გზააღვლოებითი გზისიარება შაპონებით თქვენი გზააღვლოებითი გზისიარება შაპონებით თქვენი გზააღვლოებითი გზისიარება შაპონებით თქვენი გზააღვლოებითი გზისიარება

20 წამის განმავლობაში დააკვირდით სურათზე გამოსახულ საკანცელარიო ნივთებს. შემდეგ, დააფარეთ სურათს ხელი და ჩამოწერეთ ყველა იმ საგნის დასახელება, რომლის დამახსოვრებაც შეძელით.

თქვენ მიერ შედგენილი ჩამონათვალი შეადარეთ პასუხში ჩამოწერილ სიას. თუ ნივთების თანმიმდევრობა ზუსტად არ დაემთხვა თქვენ მიერ ჩამოწერილს, შეცდომად ნუ ჩათვლით, მთავარია დარწმუნდეთ, რომ სურათზე გამოსახული ნივთები სწორად გაქვთ დამახსოვრებული და თქვენ მიერ დაწერილ ჩამონათვალშიც გაქვთ შეტანილი. დათვალეთ, რამდენი საგნის დამახსოვრება და სიაში ჩაწერა შეძელით სწორად.



სურათზე გამოსახულია შემდეგი საგნები:


- სამწიფე
- !ფეხ საყრდენი
- !სამწიფე
- !საჯდომი
- !საყრდენი
- !ადნე
- !სამწიფე
- !საყრდენი
- !სამწიფე
- !სამწიფე

თუ სწორად აღიდგინეთ 9 ან 10 საგანი, თქვენ საუცხოო მესსიერება გაქვთ, ეს განსაკუთრებით, მხედველობით მესსიერებას ეხება. კარგად შეგიძლიათ რაიმე საქმეზე კონცენტრირება და ამიტომაც, სწორად აღწევთ სასურველ შედეგს. 6-8 საგნის სწორად გახსენების შემთხვევაში, იცოდეთ, რომ საშუალო დონის მეს-

სიერება გქონათ, ეს კი საკმაოდ გიშლით ხელს პროფესიულ წინსვლაში. ეცადეთ, მეტი იკითხოთ და ორი-სამი დღის შემდეგ, გონებაში აღიდგინოთ წაკითხული ფრაზები. ასეთი ვარჯიშის შემდეგ, შედეგს აუცილებლად მიაღწევთ.

თუ 5 ან ნაკლები საგნის გახსენება შეძელით, არცთუ სახარბიელო მესსიერება გქო-

ნათ ან ჩვენს თამაშს ზედმეტად უყურადღებოდ მოეკიდეთ და სხვა საქმეზე ფიქრით იყავით გართული. სწორად და უფრო მონდომებით ჩაებით მსგავს თამაშებში — ეს აუცილებლად დადებითად აისახება თქვენს ყოველდღიურ საქმიანობაზე და დაგესმარებათ თქვენი იღუმალი გონებრივი პოტენციალის აღმოჩენაში. ■



ჯერ კიდევ სკოლაში, ბოტანიკის გაკვეთილებზე გვიხსნიდნენ, რომ მცენარეები ნახშირმჟავას შთანთქავენ და სუნთქვისთვის აუცილებელ ჟანგბადს გამოყოფენ. მაგრამ ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ ემოციების სფეროშიც იგივე წესი მოქმედებს. მცენარეებს შეუძლიათ შთანთქან ბოროტებისა და პესიმიზმის ენერგია და ის სიკეთის, აქტიუობისა და სიცოცხლისუნარიანობის ენერგიად გარდაქმნან. ამასთანავე, ამ ამოცანას ქოთნის მცენარეები უკეთ უმკლავდებიან, ვიდრე – მოჭრილები: ლარნაკში მოთავსებული ყვავილი მაცოცხლებელ ენერგიას უპირველესად, მოჭრის ადგილისკენ მიმართავს, რათა მცენარის ძალები წყალში არ გაიფანტოს. ამიტომაც უმჯობესია შინ ქოთნის მცენარეების მოშენება. თუ ისინი ხშირად ავადმყოფობენ და გარემოს ცუდად ეგუებიან, ე.ი. თქვენს გარემოცვაში არის ადამიანი, რომელიც ცუდი ხასიათით გამოირჩევა, მუდამ გაღიზიანებულია და იმ რაოდენობის ნეგატიურ ენერგიას გამოყოფს, რომ მცენარე მას ვერ უმკლავდება.

ფანჯრის რაფაზე პრაქტიკულად, ნებისმიერი მცენარის მოშენებაა შესაძლებელი, მაგრამ იმისთვის, რომ მათი დადებითი მუხტი გაიზარდოს, სასურველია ისინი თქვენს ზოლიაქოს ნიშნებს შეუსაბამოთ:

ვერძებს ყველაზე მეტად, ახალია (იელი) უხდებთ, ის სახლში მყოფთ სიმხნევის ენერგიას უნარჩუნებს და დაბუდებული კორების ატმოსფეროს გაწმენდაში ეხმარება. თუ სახლის პატრონი წარმატების მიღწევაზე ოცნებობს, მაგრამ მძიმე სამუშაოს უფრთხის – დამხმარედ ისევ ახალია მოველინება: იგი მუდმივად აფხი-

ოთახის მცენარე სიხუჭვიდ

მძიმე სამუშაოს შემდეგ, დაღლილობისა და სულიერი ნონას-წორობის დარღვევის დროს, სიმშვიდეს ადამიანები უმეტესად, ბუნებასთან ურთიერთობაში - პოვენენ ხოლმე, მაგრამ ყოველთვის როდი შეგვიძლია თავს იმის უფლება მივცეთ, რომ უამრავი საქმე მივატოვოთ და ბუნებას მივაშუროთ. სწორედ ამ დროს გვეხმარებიან ოთახის მცენარეები.



ზლებს ადამიანს და მის ინტელექტს მოღუენების საშუალებას არ აძლევს.

კურობებმა ფანჯრის რაფაზე ყოჩივარდები უნდა გაახარონ: ეს მცენარე ცვალებადი ხასიათის მქონე ადამიანებს დაეხმარება, დამთბობი ხასიათისას კი კარჩაკეტილობას დააძლევინებს და საკუთარ შეხედულებებს გაუძმყარებს. ყოჩივარდის დამსახურებით ოჯახში ლალი ურთიერთობები დაისადგურებს, ყვავილი დააწყნარებს ჭირვეულ ბავშვებს, ოჯახის წევრებს კი ერთმანეთისთვის სიამოვნების მინიჭების სურვილით გააერთიანებს.

ტყუპებს ყველაზე მეტად, ტრადესკანცია შეეფერებათ – ის სიხარულისა და ჭეშმარიტი გრძობების მცენარედ ითვლება. თუ ხშირად გსტუმრობენ შურიანი ადამიანები, ვისაც სხვისი წარმატება და მიღწევები მოსვენებას არ აძლევს, – აუცილებლად დაგჭირდებათ ტრადესკანცია. ის

„ცუდი თვალის“ ნეიტრალიზებას ახდენს, ადამიანებს იუმორის გრძობას უვითარებს და გენმარებათ, ღიმილით შეხედოთ ცხოვრებას. გარდა ამისა, მცენარე ფილტვების ანთებისგან და ბრონქიტის დაავადებისგანაც გიცავთ.

კირჩხიბებმა აუცილებლად უნდა გაახარონ აგავა: როცა ოჯახში ცოლიქმარი ხშირად ჩხუბობს, შვილები კი ამის გამო იტანჯებიან, სასწრაფოდ მიიტანეთ სახლში ქოთანში ჩარგული აგავა: ის მშვიდატმოსფეროს დაამკვიდრებს და მას სინაზით აავსებს; საკუთარ თავში მეტისმეტად დარწმუნებულებს, ცოდნის არეალს გაუფართოებს, იმავდროულად, მცენარე კუჭნაწლავთან დაკავშირებულ პრობლემებსაც მოგიხსნით.

თუ ლომებისთვის ძვირფასია ოჯახური ბედნიერება, მათ სახლში კალა უნდა გაახარონ: მას მოჩხუბარი და ჯიუტი ად-

ფულადი გადასახალი დასაშუალებების	საქარვაგი/მაფი	კეთილთვისებიანობა/სიმისივნე	ნასერეგებიანი დეგალი საწვავის ღობირებისათვის	„მე ... ნავში და მიედივარსახლში“	ანარქისტის შერი
გ ა ხ ი ი მ ა მ ე ი ი ნ ბ ხ ი ს შ ა მ ი ხ ი ი მ ი ხ ი ვ შ ი ვ ა ხ შ ა ვ					
არმია	სამშობლო	ერთ-ერთი თითი	დაწესებულებაში ნამუშევარი დრო	ისტორიის მუშა	მსახიობი კიანუ ...
					პოლონური რეველ სიმტერი


ბი ს იცავენ

ამიანების უარყოფითი ემოციების, დადებითი ემოციად გარდაქმნა ძალუძს. მის გვერდით მყოფი ადამიანები საშუალოდ ივიწყებენ დამორგუნველ, სასოწარკვეთის მომგვრელ გრძნობებს. კალა იმათაც დაეხმარება, ვინც მტკივნეულად განიცდის კრიტიკას. და კიდევ: კალა ავითარებს ფანტაზიას, საუბარს კი ლამაზ და ემოციურ ელფერს სძენს. ნებისმიერი ოპონენტი აღფრთოვანდება თქვენი სიტყვებით. ეს მცენარე დადებითად მოქმედებს გულის მუშაობაზე და მას ინფარქტის საშიშროებისგან იცავს.

მონსტერა თავისი ბუნებით, ქალწულებისთვის არის შექმნილი. ეს მცენარე წესრიგისკენ მოუწოდებს მას, ვისაც თავში ყველაფერი არეული აქვს. თუ სახლში ქაოსია, არც ერთი ნივთი თავის ადგილას არ დევს, პატრონის თავში კი უწესრიგოდ ირევა მრავალი აზრი, აუცილებლად მიიტანეთ შინ მონსტერა: ის ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს. ეს მცენარე ადამიანებს მოწამლისგანაც იცავს.

სასწორებს ყველაზე მეტად ჰორტენზია უხდებათ. იგი ყველა გარშემოცხად ავადმყოფური ექვიანობისგან და ადამიანთა მიმართ გაჩენილი ზიზღისგან იხსნის. ეს მცენარე სარგებლობას მათაც მოუტანს, ვინც მუდმივად „ღრუბლებში დაფრინავს“ და პრაქტიკულობას მოკლებულია, და მათაც, ვინც ზედმეტად მიწიერია. პრაქტიკულობა და ოცნებებისკენ ლტოლვა ერთმანეთთან ჰარმონიაში მოვა. ჰორტენზია აიძულებს ადამიანებს, მეტი ყურადღება მიაქციონ საკუთარ წონას: მისი წყალობით უფრო ადვილია ტკბილ და ცხიმიან კერძებზე უარის თქმა.

კაქტუსი ღრიანკალის მცენარეა. თუ ვინმე თქვენს ოჯახში ადვილად და ხშირად რისხდება – იქონიეთ კაქტუსი: ის სულიერ „ხანძარს“ ჩააქრობს. ღრიანკალი წყენიაა და სამაგიეროს გადახდაც უყვარს, კაქტუსი კი მას „ცული“ აზრებისგან დაიცავს. იმ სახლში, სადაც



კაქტუსია, ოჯახის წევრები ნაკლებად აძლევენ შენიშვნებს ერთმანეთს. და რაც ყველაზე მთავარია: დადებით კაქტუსი შემოსასვლელი კარის გვერდით ან ფანჯრის რაფაზე – ის თქვენ ბნელი ძალებისგან დაგიცავთ.

მშვილდოსნებს ცოტა მეტი თანხის გადახდა მოუწევთ, რადგან მათი შესაფერისია იაპონური მცენარე ბონსაი. თუ თქვენი ოჯახის წევრები მუცისმეტად არიან გატაცებულნი ფულზე ფიქრით, ეს მცენარე მათ სულიერ და მარადიულ საკითხებს გაახსენებს. იგი სიზმრების ადვილად ახსნასა და ცნობიერებასთან კავშირის დამყარებაშიც დაგეხმარებათ. ბონსაი ამგვრებს იმუნიტეტს და იცავს ორგანიზმს ავადმყოფობისგან.

თხის რქა ასკეტურობით გამოირჩევა, ამიტომ მას ყველაზე მეტად, ე.წ. „ფულის ხის“ სახელით ცნობილი მცენარე შეეფერება. მისი ხორციანი და სქელი ფოთლები ადამიანს სიღარიბეზე ფიქრს დაავიწყებს. ის განსაკუთრებით კარგ ზემოქმედებას ახდენს მათზე, ვისაც სამსახურებრივად, ფულთან აქვს საქმე – ბუღალტრებსა და ბანკირებზე. სამუშაოს შესახებ მძიმე ფიქრები და მატერიალური პასუხისმგებლობის გრძნობა ამ ადამიანებს მოღუტების საშუალებას არ აძლევს, სწორედ მათ დასახმარებლად არის განკუთვნილი „ფულის ხე“ – მისი მეშვეობით შინ მშვიდი, სტაბილური ატმოსფერო დაისადგურებს და ადამიანში შრომისმოყვარობის გრძნობას გააღვივებს.

მერწყულებს ყველაზე მეტად, ოთახის ნეკერჩხალი შეეფერებათ: ის ეფექტურად ებრძვის მძიმე განცდებს, დამორგუნველ აზრებს და უძიებო სევდას. ყველაფრით უკმაყოფილო მელანქოლიკები და პესიმისტები მის გვერდით სულიერად მაღლდებიან. თუ ცხოვრება მოწყენილი გეჩვენებათ, სამუშაო კი – მოსაბეზრებელი, დარგეთ ნეკერჩხალი, ის თქვენში ადამიანებისადმი სიყვარულის გააღვივებს. ეს მცენარე აწესრიგებს კონფლიქტებს, საუბრიდან კი შურაცხმყოფელ ინტონაციასა და სიტყვებს აქრობს.

ორქიდის ლამაზი ყვავილი მეოცნებე თევზების ცხოვრებისეული სტრესებისგან დაიცავს. ოჯახში, სადაც ორქიდეა ხარობს, სიცოცხლე უხარიათ, იქ ღებრესიისთვის ადგილი არ რჩება. თეთრი ორქიდეა ყველა ზრახვას „ათეთრებს“, ყვითელი – შემოქმედებას უწყობს ხელს, წითელი ზარმაცების შეგულიანება ძალუძს, ვარდისფერი კი გარშემოცხადი სიყვარულის მოპოვებაში დაგეხმარებათ. ეს ნაზი ყვავილი ადამიანის ორგანიზმში სრულ წესრიგს ამყარებს და ყურადღების გარეშე არც ერთ ავადმყოფ უჯრედს არ ტოვებს.

თურქეთის დედაქალაქი	ქალი	კონგინენტი	მსახიობი ბერიშორი	აჭარული სქჰვა	გემის გვერდი
ანკარა	ქალი	კონგინენტი	მსახიობი ბერიშორი	აჭარული სქჰვა	გემის გვერდი
ციური	რადიუმის ნათვის დამახასიათებელი გამოხსენიება	ქალაქის თევი	ფოტოფირის ცალკეული სურათი	ინდური ფიკუსი, იკეთებს ბევრ განს	ან ბან, (...), ლონ...

წმინდა და ნეტარი მამა იოსებ ალავერდელი იყო მოწაფე და თანამოსაგრე წმინდა იოანე ზედაზნელისა, რომელიც VI საუკუნეში თორმეტი ძმის თანხლებით ასურეთიდან ქრისტიანობის საქადაგებლად საქართველოში ჩამოვიდა. იმ დროს ივერიის სამოციქულო ეკლესიას რამდენიმე საუკუნის ისტორია ჰქონდა. ჰყავდა საეკლესიო იერარქიაც. კათალიკოსები და ეპისკოპოსები აღასრულებდნენ ღვთისმსახურებას. მაგრამ ურწმუნოება კვლავ მძლავრობდა, „ურწმუნოება არა სადა დაცხრომით იყო, არამედ კნინდა და სძლევდაცა“.


აბბა იოსები ღვთის ნებითა და ცხოველმყოფელი ჯვრის წინამძღოლობით დაემკვიდრა კახეთს, იმ ადგილას, სადაც დღეს ალავერდის ტაძარია.

გადმოცემით, აბბა იოსები განუშორებლად თან ატარებდა ჯვარს, გამოთლილს იმ ჯვრის ხისგან, რომელზეც აწამეს უფალი და მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე. იმ დროს ალავერდი უდაბური, კაცთაგან უვალი

და უნაყოფო ადგილი იყო. მრავალი ჭირი, ნაკლულოვანება და საშიშროება დაითმინა ღირსმა მამამ.

რადგან უწყოდა, უფალი იმაზე უფრო მეტ განსაცდელს არ მისცემს თავის რჩეულს, ვიდრე მას თავად შეუძლია იტვირთოს, ხოლო გაჭირვებასა და მატერიალურ „შეიწრებაში“ მყოფს ადამიანთა, მხეცთა და ფრინველთა მეშვეობით მოუვლენს ნუგეშს. უდაბნოში ბერად დაყუდებულ მრავალ წმინდა მამას ხომ ღვთისგან წარმოგზავნილი გუნდი ირმებისა აძლევდა მატერიალურ საზრდოს.

მხეცთა და ნადირთა სამკვიდრებელში განმარტობის ღვაწლს შემდგარ მამა იოსებს უფალმა მოუკლინა ვიდაც დიდებული მონადირე, რომელიც მრავალი ყმის თანხლებით გამოსულიყო იმ მიდამოებში სანადიროდ. მონადირემ, როგორც კი იხილა წმინდა მამა, მიხვდა, რომ მის წინ ღმერთშე-



მოსილი კაცი იდგა. ცხენიდან ჩამოხტა, თაყვანისცემით მიეხლა, ამბობორ-უყო და მდაბლად გამოჰკითხა ვინაობა და იქ ყოფნის მიზეზი.

ღირსმა მამამ ღვთის შემწევობით მასში სრული სარწმუნოება და საღმრთო სიყვარულისა და ჭეშმარიტებასთან მიახლების დაუოკებელი სურვილი დანერგა. დიდებულმა მონადირემ აღუთქვა აბბა იოსებს, რომ ტაძარს ააშენებდა ალავერდის უდაბნოში და შეასრულა კიდეც აღთქმა: საფუძველი დაუდო ალავერდის მონასტერს. ღირსმა მამამ დიდად გაიხარა ღვთივ-სათნო საქმის აღსრულებით.

მალე ხალხმა გაიგო ალავერდს წმინდა ბერის ყოფნის ამბავი და იქ სიარული იწყო, რათა ეხილა საკვირველი მამა და მოესმინა მისი სწავლება. მისი მოუკლებელი ღვაწლით ამ მხარეში აღმოიფხვრა ურწმუნოება და განმტკიცდა ღვთისმსახურება. იმ ადამიანთაგან, რომელთაც ბერის წმინდა ცხოვრება, განუსაზღვრელი სიყვარული და სასწაულები იზიდავდა უდაბნოში, ბევრი იქვე რჩებოდა სამოღვაწეოდ.

ღირსი აბბა იოსებ ალავერდელი

სხენების დღე 28 სექტემბერი

თანდათან მეუდაბნოეთა რიცხვი გაიზარდა და დიდი კრებული შეადგინა. წმინდა მამა იოსებ ალავერდელი იყო სამძოს პირველი წინამძღვარი.

დიდი ხნის მოღვაწეობითა და შრომით ხორციელად მოუძღურებულმა წმინდანმა აღსასრულის მოახლოება იგრძნო და მოემზადა უფლის წინაშე წარსადგომად. მოწაფეები შეკრიბა, დაარიგა, აკურთხა, წინამძღვარიც დაუდგინა და მშვიდად მიიცვალა. მოწაფეებმა დიდი პატივით დაკრძალეს წმინდა იოსები, მის მიერ აშენებულ ალავერდის ტაძარში.

იხარებს დღეს დღესასწაულსა შენსა ერი ქართველთა, თაყვანისცემასა შესწირვენ ღვთისა, რომელმან მისცა ესევეთარი მამაი მზრუნველი და მეოხი და შეიცვენ ლარნაკთა შენთა და შენ მიერ მოიღებენ ღვთისაგან წყალობასა ღირსო იოსებ.

წმინდა ისააკი და იოსები პარნუ-ქალაქში წამებულნი

სსენების დღე 29 სექტემბერი

თუ გავეცნობით წმინდანთა ცხოვრებას, არცთუ ისე იშვიათად წავაწყდებით ისეთ ფაქტს, როდესაც ისინი იზრდებოდნენ არაქრისტიანულ გარემოცვაში ან ერთ-ერთი მათი მშობელი მიჰყვებოდა სხვა აღმსარებლობას. ამდენად, ქრისტიანული ნათელ-შირონის მიღება და თავის ქრისტიანად აღიარება მთლიანად ინდივიდის სულიკვებებითა და კეთილი ნებით იყო განპირობებული. ცხადია, ამ გარემოების გამო ამ წმინდანთა ღვაწლი ჩვენს თვალში განსაკუთრებული ნათელით იმოსება.

წმინდა მოწამეების ისააკისა და იოსების დედა მართლმორწმუნე ქრისტიანი იყო, მამა კი მაჰმადის რჯულს მიჰყვებოდა. მამისგან მალულად, დედა, შვილებს ღვთისმოსავ ქრისტიანებად ზრდიდა. იმდენად დიდი იყო ძმებში ქრისტიანულად ცხოვრების სურვილი, რომ მათ ბიზანტიაში წასვლა და იქ ცხოვრება გადაწყვიტეს. ბიზანტიას ამ დროს კეთილშინაური მეფე ნიკიფორე ფოკა განაგებდა. ძმებმა ფარულად წერილი მისწერეს კეისარს და თავშესაფარი სთხოვეს.

ნიკიფორემ პატივით მიიწვია კარნულ დიდგვაროვანთა წრეში გამორჩეული და პატივცემული ძმები. ერთი ძმა დაუყოვნებლივ გაემგზავრა, წვრილშვილიანი იოსები კი მოუცლელობის გამო, თეოდოსიპოლში დარჩა და წმინდა ისააკიც თავისთან დატოვა.

თეოდოსიპოლის ამირამ შეიტყო

ძმების განზრახვა და ისააკსა და იოსებს კონსტანტინოპოლში ძმის წასვლის მიზეზი გამოჰკითხა. ძმებმა ამირას წარმოგზავნილებს დაუფარავად მიუგეს, რომ ბიზანტიაში მმათაგან ერთის წასვლის მიზეზი მათი ქრისტიანობა იყო. როცა ამირას მოახსენეს ყოველივე, მბრძანებელმა გადაწყვიტა, სარწმუნოების უარყოფაზე დაეთანხმებინა ძმები. ამასვე ურჩევდა მათ მოზუცი მამაც. მაგრამ ძმებმა მტკიცე პასუხი გასცეს ურჯულ ამირას: „ყოველი ხორცი თივა არს და ყოველი დიდება კაცისა, ვითარცა ყვაილი თივისა. განხმა თივა და ყვაილი მისი დამოსცვივა“. ჭაბუკთა კადნიერებამ ამირა განარისხა და ბრძანა მახვილით განემირათ ისააკი და იოსები.

ჯალათებმა წმინდანები მოსაკლავად წაიყვანეს. ძმებმა მცირე დრო მოსთხოვეს მტარვალებს ლოცვისათვის. მათ მუხლი მოიდრიკეს და მხურვალედ შეჰლადადეს უფალს: „მეუფეო უფალო, მამაო უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესო, მოიხილე მონათა ამათ შენთა ზედა, მითუალე შენდამი შეწირვაი, რომელნი ესე შეგწირავთ შენდამი თავთა ჩუნთა, და წმინდათა მოწამეთა შენთა თანა აღგურაცხენ და გვირგვინი სიმათლისა მოგუეც ჩვენ, რამეთუ „ყოველი მიცემული კეთილი და ყოველი ნიჭი სრული ზეგარდმო არს გარდამოსული მამისაგან ნათლისა“. გადაისახეს პირჯვარი და თავი მოიდრიკეს. ჯალათმა დაუნდობლად წარკვეთა თავი ღვთის მოწამეებს.

უსჯულოებმა წამებულთა გვაგები იქვე დატოვეს. ღამით ღვთაებრივი ნათელი დაადგა წმინდანთა ნეშტს. ამ საკვირველებამ შეაძრწუნა უსჯულოები და ქრისტიანებს უბრძანეს, დაეფლათ წმინდა მოწამეთა ნეშტები.

ქალაქის ეპისკოპოსმა და სამღვდლოებამ პატივით მიაბარეს წმინდანთა გვაგები მიწას. შემდგომ იმ ადგილას ეკლესიაც აიგო.

წმინდანო მოწამენო ისააკ და იოსებ, მოგვიხსენენ ყოველნი პატივთამცემელნი თქვენნი და ითხოვეთ ჩვენთვის ცოდვათა მიტევებაი!

რუბრიკის მასალები
მოამზადა ნინო ტარხაშვილმა



რუბრიკის მასალები



ჯობს ვიფიქროთ მოქმედებამდე, ვიდრე შემდეგ.

დემოკრიტე

მხოლოდ მაშინ გახდება ადამიანი, როცა ისწავლი სხვაში ადამიანის ხილვას.

ალექსანდრ რადიშვიცი

ნებისყოფა, ცოდნას მოწადინებული, არასოდეს ჩერდება მიღწეულზე.

ჯორდანო ბრუნო

ქედმაღლობა ყალიბდება თავის თავზე მეტისმეტად მაღალი და სხვაზე მეტისმეტად დაბალი წარმოდგენისაგან.

მიშელ მონტენი

შურისძიება არის სუსტთა გულისწადილი,

ღირსეულს გულში არ ექნება მისთვის ადგილი.

თეოდორ კერნერი

სად მომხდარა რომ ყორანი გამხდარიყო ფრთაქათქათა? ქურდს ქურდობა მოეშალა, თუ ის მართლა ქურდსა ჰგავდა?

ყოფილიყო ცოლი მშვიდი, საჭურისი — გამირთავმირი? მეფეს მონა ჰყვარებოდა მართალი და პირდაპირი?

პანჩატანტრა

მართლა თქმულა: არვის შეენის პირში ქება, უკან ზრახვა.

ვახტანგ VI

არაფერი ისე აუტანელი არაა, როგორც უსაქმურობა.

ჩარლზ დარვინი

... მოულოდნელად სიგნალიზაცია ჩაირთო. ისეთი განგაში ატყდა, საგამოფენო დარბაზში „საპატიო სტუმრებად“ მოწვეული თურქეთის თავდაცვის მინისტრი და მისი მეუღლე ერთმანეთს ასწრებდნენ, ძლივს დავაკავეთ.


სახლის ღვთისმშობლის სახლის ქარაღი

ელენე სალარიძე

„ყოვლად წმიდის ღვთისმშობლის ხატი, წელზევით გამოსახული, ხელებგაწვდენილი უფლისა მიმართ ისე, როგორც იწერება ვედრებაში. ძვირფასად შემკული და გასაოცარი“. – ასე ახასიათებენ სახულის კარედს რუსეთის ელჩები იმერეთში – დიაკვანი იევლევი და სტოლნიკი ტოლოჩანოვი 1650 წელს.

მაგრამ ამ დრომდე კარედი ბევრად უფრო ძვირფასი და სრულყოფილი იყო. თუმცა, მივყვით თავიდან.

სახულის მონასტერი სამხრეთ საქართველოს ძირძველ მიწაზე, ტაოში აუშენებია დავით III კურაპალატს, X საუკუნის მეორე ნახე-



სახულის ღვთისმშობლის ხატის კარედი

ვარში. სახოს ხეობა, ანუ იშხანი მძლავრი, ეკონომიკურად დაწინაურებული რეგიონი ყოფილა. დიდი, გუმბათოვანი ეკლესია, დღესაც ჩუქურთმებით შემკული და ფერწერული ფრაგმენტებით დამშვენებული იმაზე მეტყველებს, რომ აქ ოდესღაც სიცოცხლე დუღდა... XVI საუკუნეში ოსმალთა მიტაცების შემდეგ ფუძეს მოწვევტილი მხარე თურქეთის გამგებლობაშია და საქართველოს წარსულ დიდებაზე სახულის ტაძრის ფართოდ გაშლილი დეკორატიული თაღი თუ აუწყებს იქ კანტიკუნტად მისულ მნახველს.

... მონასტრის საგანძურთა შორის უპირველესი ყოფილა XII საუკუნის ღვთისმშობლის ვედრების ხატი, რომლის კარედიც ჯერ კიდევ ამ ხატის ჩასვენებამდე ორი საუკუნით ადრე ვერცხლის ჭედური ორნამენტული შემკულობით დაუმშვენებიათ. შემდეგ ხატი გელათის მონასტერში გადაუტანიათ ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაში. აქ იგი ხელახლა მოუჭედავთ: ცენტრალური ნაწილი ოქროთი, ხოლო კარედი ოქროთი დაფერილი ვერცხლით. მოჭედილობა ორი ოსტატის ნახელავი ყოფილა. ხატი სხვადასხვა დროს შეუქმნიათ ძვირფასი ქვებით, ტიხრული მინანქრით, ჯვრე-

ბით, რელიეფური ორნამენტებით, აჭურული ვარდულებით...

კარედის ბედი ძალიან ჰგავს ქვეყნისავე ბედს. მრავალჯერ გაუძარცვავთ, მრავალჯერ დაკარგულა ღვთისმშობლის ხატი... ამჟამად ამ ხატის მხოლოდ ლოცვად აღვლენილი ხელები და სახეა შემონახული – და ეს სახე და ხელები დღესაც უდიდესია მსოფლიოში, როგორც ტიხრული მინანქრის უნიკალური ნიმუში.

აღსანიშნავია ისიც, რომ ღვთისმშობლის ხატის ტიპი, თვალების გრძივი ჭრილი, ოდნავ კეხიანი ცხვირი, მომშვილდული წარბები, დამახასიათებელია ქართული ხელოვნებისათვის.

1859 წელს გელათის მონასტერი კიდევ ერთხელ გაუძარცვავთ და მინანქრის ხატიც გაუტაციათ. სხვადასხვა „გზით“ ხატის ზემოთ აღნიშნული ნაწილი (მარიამის სახე და ხელები) 1923 წელს რუსეთის საბჭოთა ფედერაციის ხელმძღვანელ ორგანოს საქართველოსთვის „გადმოუცია“...

ამჟამად ღვთისმშობლის ვედრების ხატის ეს უნიკალური ფრაგმენტები და კარედი, მართლაც რომ უჩვეულო ოსტატობით შემკულნი – საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშია დაცული. კარედი მნახველს აცვიფრებს თავისი მოცულობითა და სიმდიდრით (სიმაღლე 1,47 მ, სიგანე გაშლილი კარით 2,02 მ).

აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის განმარტებით, „მთელი კარედი ხატი დაფარულია მდიდრულად ორნამენტირებული ჭედური ფურცლებით. შუა ნაწილის ჭედურობა შესრულებულია ბაჯაღლო ოქროს ფურცელზე, გვერდითი ფრთებისა კი – ცხელი წესით მოოქრულ ოქრო-



სა და ვერცხლის შენად-
ნობზე. დეკორატიული
თვალსაზრისით სამივე
ნაწილი ერთი მთლი-
ანი ნაწარმოებია... ხა-
ტის მთლიანი შინაარსი
ირკვევა რელიგიურ კომპო-
ზიციათა სიუჟეტების ამსახვე-
ლი მინანქრული ფირფიტებით,
ქტიტორების მინანქრული გა-
მოსახულებებით, წმინდანების გა-
მოსახულებიანი მინანქრის მედ-
ალიონებით...”

ტრიპტიქონის ორივე ფრთის
ქვედა ნაპირზე შესრულებულია
ძველქართული წარწერა, რომელიც
გვაუწყებს, რომ ქართველთა მეფემ
დიმიტრი პირველმა, ძემ დავით აღ-
მაშენებლისამ შეამკო ღვთისმშობ-
ლის ხახულის ხატი მინანქრები-
ანი მოჭედილი კიდობნით.

... ხატის ბუდეც საკმაოდ დიდი
(54 X 41 სმ) და რაოდენ გულ-
დასაწყვეტია, რომ ამ ბუდეში მხო-
ლოდ ხატის გადარჩენილი ნაწილია
მოთავსებული... თუმცა კი ისიც
(ზემოთ აღწერილი ტიხრული მი-
ნანქრით შესრულებული მარიამის
თავისა და ხელების გამოსახულე-
ბა) ადასტურებს საქართველოში
საიუველირო ხელოვნების მაღალი
სკოლის არსებობას.

... ხელოვნების სახელმწიფო
მუზეუმში შესულს, დღეს, ბუნებრივ-
ია, გინდება კითხვა, დაცულია კი
სათანადოდ ის სიმდიდრენი, რომ-
ლითაც მსოფლიო კარგად იცნობს
ქართულ ხელოვნებას, მის კულ-
ტურასა და ისტორიას და რომ ეს
სიმდიდრენი ქართული გენის უკვ-
დავების უმთავრესი სიმბოლოა...

ამჯერად „მეგზურობას“ მი-
წვევს მუზეუმის დირექტორის
მოადგილე, ბატონი ვია
მარსაგიშვილი.

— 1952 წელს სრული-
ად საქართველოს კათა-
ლიკოს-პატრიარქის კალ-
ისტრატე ცინცაძის ლოც-
ვა-კურთხევით ხახულის
კარედი გელათის მო-
ნასტრიდან ხელოვნების
მუზეუმში გადმოაბრძანეს.
როგორც ცნობილია, ეს
კარედი არაერთგზის გაი-
ძარცვა და დაზიანდა. ძარცვი-
საგან გამორიდების გარდა, ხატს
კლიმატური პირობებისაგან დაც-
ვაც ესაჭიროება. პირველ რიგში,
ეს ტემპერატურა და ფარდობითი
ტენიანობის დაცვაა. ზამთარ-ზაფხ-


ორი ჯვარი ღვთისმშობლის გამო-
სახულებითა და მედალიონე-
ბით (განეკუთვნება ბიზან-
ტიური ორიენტაციის
ქართული მინან-
ქრების ჯგუფს).

ულ ჰაერის ტემ-
პერატურა 20-22

გრადუსი უნდა იყოს,
ხოლო ფარდობითი ტენი-
ანობა 50-54%. იქნებ გაგიკვირ-
დეთ, მაგრამ ზაფხულში, დამთვა-
ლიერებელთა ჯგუფი რომ შე-
მოღის, ტემპერატურამ შეიძლება
მცირედით აიწიოს (აღამიანთა სუნ-
თქვით), მაგრამ „კარადაში“, სადაც
ხახულის კარედია განთავსებული,
ტემპერატურული რეჟიმი მუდმივ-
ია. თუმცა კი დარბაზში ერთდროუ-
ლად 45 კაცზე მეტის შესვლა და-
უშვებელია. ამასთანავე, ექსპურსიებს
შორის აუცილებელია ინტერვალ-
ები, რომ ჰაერი გაიწმინდოს. ამი-
ტომ ზოგჯერ დამთვალიერებელი
გვსაყვედურობს, ცოტა ხნით თუ
ვალოდინებთ ხოლმე. დიდი მნიშ-
ვნელობა აქვს აგრეთვე საექსპოზი-
ციო „კარადების“ განათებას. სხვა-
დასხვა მეტალზე სხვადასხვა სი-
ნათლება დასაშვებია. ეტალონად ვერ-
ცხლი გვაქვს აღებული...

— თითქოს უხერხულია ამ
კითხვის დასმა, მაგრამ რამდენ-
ნად საიმედოა მუზეუმში დაცვის

ოვალური მედალიონი დედოფლის ხარე-
ბის კომპოზიციით (ქართული ხელობა)



მექანიზმი?

— ოო, ეს მეტად კონფი-
დენციალური საკითხია. თუ-
მცა, რამდენიმე დეტალს
გაგიმხელთ. მსოფლიო
ბანკის კულტურული
მემკვიდრეობის დახ-
მარებით საშუალება
მოგვეცა, ბოლო პერი-
ოდში კიდევ უფრო გაგვე-
ძლიერებინა დაცვის სისტე-
მა (ბატონი ვია დარბაზში შე-
მოსულ ერთ-ერთ დამთვა-
ლიერებელს მობილური ტელე-
ფონის გამოთვის სთხოვს და მეუბ-
ნება, თუ ტელეფონი დარეკავს, სიგ-
ნალიზაცია მაშინვე ჩაერთვება).

— კიდევ რა შემთხვევაში
შეიძლება სიგნალიზაცია ჩაირ-
თოს, რაიმე კუროზს ხომ არ
გაიხსენებდით...

— ერთხელ ექსპურსიამძღოლს
შემთხვევით ბეჭედი მოუხვდა ვიტ-
რინის მინაზე. მოულოდნელად სიგ-
ნალიზაცია ჩაირთო. ისეთი განგა-
ში ატყდა, რომ საგამოფენო დარ-
ბაში „საპატო სტუმრებად“ მო-
წვეული თურქეთის თავდაცვის მინ-
ისტრი და მისი მეუღლე ერთმა-
ნეთს ასწრებდნენ. ძლივს და-
ვაკავეთ... ერთხელ კიდევ მოსწავ-
ლეთა ჯგუფი გვყავდა. ერთ გოგო-
ნას საჰაერო ბურთები ეჭირა ხე-
ლში და, ეტყობა, ტემპერატურული
ცვლილების გამო, ბურთი გასკდა.
ამჯერადაც ისეთი განგაში ატყდა,
ამერიკული ფილმების სპეცეფექტე-
ბი მოგონილი გეგონებოდათ...


— ასე რომ, ჩვენი მკითხ-
ველი უნდა გავაფრთხილოთ,
მუზეუმში მობილური ტელე-
ფონებით და საჰაერო ბურთე-
ბით არ შემოვიდნენ...

— არა უშავს, ოღონდ შე-
მოვიდნენ და ამასაც ავიტანთ.
გულდასაწყვეტია, რომ მუ-
ზეუმს დამთვალიერებელი
დღითი დღე აკლდება. ისე
კი, ვიტრინების ზედმეტი
რხევა, ზედმეტი ხმაური და
მით უმეტეს, ნივთებზე ხე-
ლით შეხება, დამცავი ფაქ-
ტორების „გაღიზიანებას“ იწ-
ვევს...

მქრქალი მინის უზარმაზარი
ვიტრინის მიღმა ხახულის კარე-
დი დღესაც არანაკლები სიბლით
იზიდავს მნახველს.



დევიდ ლუხოვნი:
ჩემ თეას
არავის დავეთმობ



თეა ლეონეს უჩველი ოჯახი მანბრული სექსის ბაკვეთილზე ჩაისახა

„ოჯახი – ყველაზე წმინდაა, რაც კი შეიძლება აღამიანს ცხოვრებაში ჰქონდეს“, – გამუდმებით იმეორებს თეა ლეონი. „განსაკუთრებით მაშინ, როცა შენი ქმარი დევიდ ლუხოვნია!“ – ნიშნის მოვებით ეხმიანებიან ფოქს მალდერის – „საიდეულო მასალების“ პოპულარული აგენტის თაყვანისმცემლები. ისინი ვარსკვლავური წყვილის შეუღლებისთანავე წყევლა-კრულვით იკლებდნენ თეას, მაგრამ შემდეგ ბედს შეურიგდნენ, რადგან ლუხოვნი-ლეონის ოჯახური ბედნიერება მართლაც ზღაპარს ჰგავს.

მაგრამ თაყვანისმცემლები ცდებიან: ოჯახის ცნება თეასათვის ბავშვობიდანვე წმინდა იყო. მისი ადვოკატი მამა და დიეტოლოგი დედა, ყოველთვის სამაგალითო მუღღლევად თივლებოდნენ. „მუღამ მჩვენებოდა, რომ ჩემი მშობლები ზღაპრის მაგვარ ქორწინებაში ცხოვრობდნენ, – იხსენებს თეა. – ადრეული ბავშვობიდან მახსოვს, როგორ დადიოდნენ ხელიხელჩაკიდებულნი და ერთმანეთს კოცნიდნენ“. საკუთარი მომავალიც თეას უეჭველად ასე სწორხაზოვნად წარ-

მოედგინა: სრულყოფილი განათლება, იბლანის ქორწინება და დამჯერი შვილები. ყველაფერი სწორედ ასე მიმდინარეობდა. თეა გოგონათა ძვირად ღირებულ სკოლაში შევიდა, შემდეგ, პრესტიჟულ კოლეჯში, ანთროპოლოგიასა და ფსიქოლოგიას სწავლობდა, მიზნად ჰქონდა დასახული, მამის მსგავსად, ადვოკატი გამხდარიყო. იმავდროულად შეთვალაიერებული ჰყავდა თავზიანი და ბეჯითი თანაკურსელი ყმაწვილები რესპექტაბელური ოჯახებიდან, მაგრამ მისი გეგმები მოულოდნელად შეიცვალა:

ერთხელ, ღამით თეას შიმისაგან გაეღვიძა: გაუგებარია საიდან, მაგრამ უცებ გაუჩნდა გრძობა, რომ ყველაფერი, რასაც აკეთებდა, სწორი არ იყო, მაგრამ რა იყო ის, რაც სინამდვილეში უნდა ეკეთებინა – არ იცოდა. გამოსავლის მოსაძებნად, სანბუშო შეიღმა სამაგალითო მშობლებს მიმართა. ოჯახური თათბირი რამდენიმე დღე გაგრძელდა და ასეთი გადაწყვეტილება მიიღო: თეა უნდა გაემგზავროს სხვადასხვა კონტინენტზე და მოგზაურობისას თავად იმოვოს თავის სარჩენად საჭირო ფული. თუ ასეთი ცხოვრება

მოსწყინდა, მშობლები დაუყოვნებლივ დაეხმარებოდნენ.

მოგზაურობა რამდენიმე წელიწადი გაგრძელდა – მანამდე, სანამ თეა სერიალის – „ჩარლის ანგელოზების“ გაგრძელების სინჯებზე არ მოხვდა. მართალია, ის სერიები აღარ გადაუღიათ, მაგრამ თავად ფაქტმა, რომ თეამ ათასობით პრეტენდენტის დამარცხება შეძლო, გოგონა იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ მოგზაურობა დასრულდა. თეა ლეონიმ გადაღებებში მონაწილეობა დაიწყო და რამდენიმე წელიწადში კომედიის – „მიშველი სიმართლის“ წყალობით, საკმაოდ ცნობილიც გახდა.

რაც შეეხება ოჯახს, მის წარმოსახვაში ხელიხელჩაკიდებული ქალისა და მამაკაცის ღრმად ჩაბეჭდილი ხატების წაშლა პოლიუდმაკ ვერ შეძლო. ოცდახუთი წლის ასაკში თეა რეკლამის სპეციალისტსა და ბიზნესმენს ნეილ ტარდიოს გაჰყვა ცოლად და დარწმუნებული იყო, რომ მისი ქორწინება მთელი ცხოვრების მანძილზე გაგრძელდებოდა. „ჩვენ იმედი გვქონდა, რომ განსაკუთრებულ ოჯახს შევქმნიდით, მა-

გრამ ძალიან ახალგაზრდები ვიყავით და ერთმანეთს არ შევეფერებოდით. ჩვენი ოჯახური ცხოვრება ორი წელიწადიც არ გაგრძელდა. განქორწინება ჩემთვის შოკის მომგვრელი იყო. საკუთარ თავს ვეკითხებოდი: რატომ ვერ შევძელი ისეთი ოჯახის შექმნა, როგორიც ჩემს მშობლებს ჰქონდათ?! და გადავწყვიტე – აღარ გავთხოვილიყავი, თუ, რა თქმა უნდა, ამისთვის ძალიან მნიშვნელოვანი მიზეზი არ მექნებოდა“.

განქორწინებიდან სულ მალე, „მიშველი სიმართლის“ პროდიუსერთან – კრის ტომპსონთან გაჩაღებულ ნახევარწლიან სამსახურებრივ რომანში, როგორც ჩანს, თემ „მნიშვნელოვანი მიზეზი“ ვერ აღმოაჩინა...

ის ამბავი, თუ როგორ გაიცნო თეა ლეონიმ დევიდ ლუხოვნი, ზუსტად არის ცნობილი: 1992 წელს ისინი ერთმანეთს ტელევიზიაში, პროგრამის – „სადამოს შოუს“ ჩაწერაზე შეხვდნენ. თეა აღელვების გამო, ძალიან ბევრს ლაპარაკობდა და თავიდან დევიდის კეთილგანწყობის მოპოვება ვერ შეძლო. იმის შესახებ კი, როგორ გაჩაღდა მათ შორის რომანი ამ ამბიდან ხუთი წლის შემდეგ, – უამრავი ვერსია არსებობს.

ზოგი ამბობს, რომ ისინი შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს ტანტრული სექსის გაკვეთილზე და მაშინვე ნასწავლის პრაქტიკაში გამოყენება გადაწყვიტეს: ამისთვის ახლომდებარე სასტუმროს მიაშურეს და იქიდან სამი დღე არ გამოსულან... მეორე ვერსიის თანახმად, თეა წვეულებაზე დევიდთან მივიდა, სიყვარულში გამოუტყდა და განუცხადა, რომ მზად იყო მაშინვე დანებებოდა. ამის შემდეგ ისინი ახლომდებარე სასტუმროსკენ გაემართნენ და იქიდან ერთი კვირის შემდეგ გამოვიდნენ... არსებობს კიდევ ერთი ვერსია, რომლის თანახმადაც, თეა და დევიდი ერთმანეთს წვეულებაზე გამოელაპარაკენ, შემდეგ დევიდი ქაღალდის ფოტოებზე ურეკავდა, ერთხელაც, ბოლოს და ბოლოს, თეა შეხვედრაზე დაითანხმა და ეს პაემანი



თეას საყვარელი გართობა გოლფი და მალიბუს პლაჟზე ნებივრობაა



ახლომდებარე სასტუმროში დასრულდა, საიდანაც ისინი... და ასე შემდეგ. თუ გავითვალისწინებთ, რომ ყველა ვერსიაში წყვილი ახლომდებარე სასტუმროში სიყვარულით საკმაოდ დიდხანს ტბებოდა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ფაქტი სიმართლეს შეესაბამება.

ის, რაც შემდეგ მოხდა – ცნობილია: ოთხთვიანი მღელვარე რომანი საიდუმლო ქორწინებით დასრულდა, რომელსაც მხოლოდ ახლობელი ადამიანები ესწრებოდნენ. ქორწინებას იბულებითი განშორება მოჰყვა: დევიდ ლუხოვნის „საიდუმლო მასალების“ გადაღებები ვანკუვერში ჰქონდა, თეა კი ლოს-ანჯელესში მიემგზავრებოდა. ტელეფონზე უსასრულო საუბრების შემდეგ, დუხოვნის მითხოვნით, გადაღებები ლოს-ანჯელესში გადაიტანეს. ამ ყველაფერს მოჰყვა თეას ფეხმძიმობა და გოგონას – მადელაინ ვესტის დაბადება, პატარას მძიმე ავადმყოფობა და გამოჯანმრთელება. ცოლ-ქმარი სულ ცდილობდა, რომ ერთმანეთს წუთითაც არ დაშორებოდა, სრული ოჯახური იდილია სუფევდა მალიბუში, ოკეანის სანაპიროზე მდებარე ძველებურ, სამილიონად ღირებულ სახლში: „ვერც ერთი ჩვენგანი ვერ წარმოიდგენდა, რომ ყოველ დღით ერთმანეთის სიყ-

ვარულით გავიღვიძებდით. მე ისეთი ოჯახი შეეჭმინა, რომელზეც მუდამ ვოცნებობდი. ალბათ ეს ბედისწერაა“.

ეს მართლაც ბედისწერას ჰგავს, სხვაგვარად ძნელია იმის ახსნა, რომ ჰოლივუდის ერთ-ერთი ცნობილი მექალთანე დევიდ ლუხოვნი საქვეყნოდ მსჯელობს მონოგამიური სიყვარულის უპირატესობებზე და ამბობს, რომ მეუღლეს ვერ უღალატებს. თავად თეაც დევიდის გვერდით თავს ბედნიერად გრძნობს. მათ ბევრი საერთო აქვთ: უყვართ ხმაურიანი წვეულებები, გოლფის თამაში და აფასებენ ოუმორის გრძობას.

თეა ლეონე საკმაოდ ცნობილ ფილმებშია გადაღებული, მათ შორისაა: „ცუდი ბიჭები“ (1995), „შეჯახება უფსკრულთან“ (1998), „მეოჯახე“ (2000) და „იურული პერიოდის პარკი III“ (2001).

ქმართან ერთად თეა არასოდეს გადაუღიათ. „ვერ წარმოვიდგენია, როგორ უნდა გუყურო თვალებში საკუთარ ქმარს და ვიღაცის მიერ შეთხზული სიტყვები წარმოვთქვა“, – ამბობს მსახიობი. თეას თავისი ფილმების ყურებაც არ უყვარს: „ბოლოს, როცა ეს ვცადე, ერთადერთი, რაც თვალებში მომხვდა, ჩემი კბილები იყო; მაშინვე ვთქვი: „ღმერთო ჩემო, დევიდ, რატომ არ მითხარი, რომ ასეთი დადრეცილი კბილები მქონდა?! მე მათ რამეს მოვუხერხებდი!“

ყველაზე მეტად თეას თურმე ადრიანი დილით ადგომა ეძნელება. თუ ეს მოახერხა, შემდეგ ყველაფერი თავისით ხდება. ის მუდამ ცდილობს, შეიღობოს თან წაიყვანოს გადაღებებზე, ამიტომ დედობისა და აქტიური სამსახიობო კარიერის შეთავსება არ უჭირს.



ნიკოლას კეიჯთან ერთად ფილმში „მეოჯახე“



თალიბთა ჯგუფი ლოცვის დროს ძველი სამეფო სასახლის ფონზე, რომელიც 1992-1996 წლის სამოქალაქო ომის დროს დაინგრა

ამერიკის სამხედრო მანქანის საჩივნი

როგორ ცხოვრობს ქვეყანა, რომელიც აშშ-მა ნომერ პირველი ტერორისტის მფარველად და, შესაბამისად, თავისი ანტიტერორისტული ოპერაციის უპირველეს სამიზნედ გამოაცხადა? რას წარმოადგენს სახელმწიფო, რომელიც საბჭოთა კავშირის მიერ დახმარებად წოდებული აგრესიის შემდეგ, შექმნეს თალიბებმა? ამ კითხვებზე გვიპასუხებს ნერილი, რომელიც უცხოური პრესის მასალების მიხედვით მომზადდა.

ავღანეთში იშვიათად ჩასული ჟურნალისტებისთვის თითქმის შეუძლებელია მათი საქმიანობის განხორციელება ქვეყანაში არსებული მკაცრი რეჟიმის გამო. თვით ინფორმაციის ძიება იქ კანონის დარღვევის ტოლფასია. ამგვარად, იქ დაბეჭდილი ფოტოსურათები დიდი სიფრთხილით არის გადაღებული.

ავღანეთში ჩასულ კორესპონდენტს ეძლევა სპეციალური ჩამონათვალი იმ

ძირითადი წესებისა, რომლის დაცვა აუცილებელია. მაგალითად: აკრძალულია სტუმრობა ავღანურ ოჯახში, ქალებთან საუბარი; როგორც ადამიანების, ისე ცხოველების ფირზე აღბეჭდვა, განმარტოებით სეირნობა, რადგან, აუცილებელია თალიბანთა მიერ შერჩეული თარჯიმნის თანხლება. გარდა ამისა, აუცილებელია მხოლოდ თალიბების მიერ მითითებული სატრანსპორტო საშუალებებით სარგებლობა. ეს ყველაფერი იმ კომმარს ჰგავს, რომელსაც მხოლოდ ფრანს კაუკას ნაწარმოებში შევხვდებით.

ოთხი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში თალიბები მოვიდნენ და მათ მიერ დამყარებული რეჟიმი დღითი დღე მკაცრდება, რაც მოსახლეობის ცხოვრებას გაუსაძლისს ხდის. ქაბუ-

ლის ქუჩებში გამუდმებით მოძრაობენ ე.წ. „რელიგიური პოლიციის“ ჯგუფები და ამოწმებენ, თუ როგორ სრულდება ხელისუფლების მიერ შემოღებული წესები. ისინი დღეში ზუთჯერ ხალხს ატყობინებენ ლოცვის დაწყების მოახლოებას და მოუწოდებენ ყველას, მიაშურონ ახლომდებარე მეჩეთებს. ამ დროს მალაზიები და სხვა ობიექტები დროებით იკეტება.

თალიბების გადაწყვეტილებით ქალებს ეკრძალებათ მუშაობა, ხოლო გოგონებს – სკოლაში სიარული. აუცილებელია ჩადრის ტარება, რომელიც განსაკუთრებით აუტანელია ზაფხულის ცხელ დღეებში. მრავალ ოჯახში ჩადრისაგან შეწყუებული ქალები იძულებულნი არიან, ამოქოლონ ფანჯრები, რათა შემთხვევით თალიბებმა არ დაინახონ, რასაც უმკაცრესი სასჯელი მოჰყვება.

ამასთანავე, მათ არა აქვთ უფლება, მყვირალა ფერის ტანსაცმელი ატარონ.

თალიბთა რეჟიმი არც მამაკაცებს უქმნის საამური ცხოვრების პირობებს. მათ ეკრძალებათ წვერის გაპარსვა, თვით წვერის სიგრძეც დადგენილი და რეგლამენტირებულია, ნორმის დარღვევა კი რამდენიმე დღით პატიმრობით ისჯება. მამაკაცებს აკრძალული აქვთ გრძელი თმის ტარებაც; ეს თალიბებს ბრიტანულ-

ავღანელი ქალები, რომელთა მდგომარეობა განსაკუთრებით გაუსაძლისია: მათ მუშაობის უფლებაც კი არ აქვთ, გარდა მედიცინის სექტორისა



ამერიკულ მოდას აგონებს. აკრძალულია აგრეთვე მუსიკა და ცეკვა. ერთ-ერთი ავღანელი ექიმი ამბობს: „გვიან ღამით ვაქრობ სინათლეს, ვწვები ლოგინში და მალულად, ბალიშის ქვეშ მოთავსებული პატარა მაგნიტოფონით ვუსმენ მოცარტს“.

2001 წლის თებერვლის დადგენილებით, სპორტის აკრძალულ სახეობებს კრივი და ჭადრაკი დაემატა. ამგვარ აკრძალვათა ნუსხა დროდადრო იზრდება.

1979 წელს ავღანეთში საბჭოთა ჯარები შეიჭრნენ და მას შემდეგ ქვეყანა საომარ მდგომარეობაშია. მაგრამ, ნამდვილი უბედურება ავღანეთში საბჭოთა ჯარების გასვლის შემდეგ დაიწყო: ბედის ანაბარად დარჩენილი, კბილებამდე შეიარაღებული ავღანელი მეზობლები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, რასაც საბოლოოდ, ქვეყანაში თალიბების გაბატონება მოჰყვა.

1992 წელს ავღანეთში სამოქალაქო ომი დაიწყო. რისი განადგურებაც საბჭოთა ჯარმა ვერ შეძლო, თავად თალიბებმა დაანგრეს და მიწასთან გაასწორეს. დედაქალაქი ქაბული, დიდ სასაფლაოს დაემსგავსა. შეიარაღებული ავღანელები რელიგიური, ეთნიკური და კლანური ინტერესების მიხედვით დაიყვნენ.

ბრძოლა თალიბებსა და მოჯაჰედებს შორის დღესაც გრძელდება, ქვეყნის ჩრდილოეთში.

მოჯაჰედებს და თალიბთა მოწინააღმდეგე სხვა ძალებს გამოცდილი მეთაური — აჰმად შაჰ მასუდი ხელმძღვანელობდა, რომელიც ხშირად ტერიტორიებსაც ართმევდა თალიბებს. თუმცა მისი განეი-



გოგონათა არაღვანულური სკოლა, სადაც ავღანელი ბავშვები ჩუმად მანძი იღებენ ელემენტარულ განათლებას


ტრალემა მანძი შეძლეს. ამერიკაში მომხდარ ტერაქტებამდე ერთი კვირით ადრე, იგი ორმა კამიკაძემ ააფეთქა. მას მეტსახელად „ანჩირის ლომს“ ეძახდნენ. დღესდღეობით მოჯაჰედები მთლიანი ტერიტორიის 20%-ს აკონტროლებენ.

ერთ დროს ავღანეთი თავისი დიდსულოვნებით და ტოლერანტობით იყო ცნობილი: აქ მრავალი რელიგიური მიმართულება თანაბარი უფლებებით სარგებლობდა: ბუდიზმი, ისლამი, შამანიზმი თუ სხვა. ახლა ავღანეთი ძველ წიგნს ჰგავს, რომლიდანაც თალიბები საუკეთესო ფურცლებს გლეჯენ. ერთ-ერთი ცნობილი ავღანელი მომღერალი მერმან პარვენი, რომელიც დღეს გაქცეულია ქვეყნიდან, იხსენებს ქაბულს, სადაც მდიდარი პაკი-


სტანელები უქმეების გასატარებლად ჩამოდიოდნენ. ეს ნამდვილი ოქროს ხანა იყო. დედაქალაქში მრავალი ბარი, საცეკვაო დარბაზი, კლუბი და კინოთეატრი იყო.

ცივი ომის დაწყებამ უარყოფითად იმოქმედა ავღანეთზე. რეგიონში ერთმანეთს საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესები შეეჯახა. კომუნისტები ავღანეთს იაფი პირველადი მოხმარების ნაწარმით ამარაგებდნენ, ამერიკელები კი სხვადასხვაგვარ პროექტს აფინანსებდნენ. ჩრდილოეთში რუსები ქარხნებსა და ხიდებს აშენებდნენ, სამხრეთში — ამერიკელები კაშხლებსა და აეროპორტებს. კომუნისტების მიერ აგებულ ელექტროსადგომებს ამერიკელები კანზასში მოყვანილი ხორბლით ავსებდნენ.

საჯარო ლოცვა ქალაქის მოედანზე



თალიბთა შეხვედრების გრაფიციული ადგილი ჩაის სახლია





ერთადერთი აუზი ქაბულში, რა თქმა უნდა, მხოლოდ კაცებისათვის არის გათვალისწინებული. განსაკუთრებით შთამბეჭდავია საცურაო კოსტიუმების სიგრძე...



▲ კარგე საკპის შიიტების სასაფლაო. სამოქალაქო ომმა ქაბული დიდ სასაფლაოდ აქცია

▼ კრივის არაღებლური კლუბი: თალიბთა აზრით, შარიათი თავში დარტყმას ეწინააღმდეგება, რადგან მისი საშუალებით ალაპთან კავშირის დამყარება ხდება



საბჭოთა ჯარის შესვლამ 5 მილიონი ავღანელი ლტოლვილად აქცია. შეიქმნა მრავალი შეიარაღებული დაჯგუფება. ამერიკა და პაკისტანი მათ დიდი რაოდენობით იარაღს აწვდიდა. საბჭოთა ჯარის გასვლის შემდეგ ვაშინგტონმაც დაკარგა ინტერესი რეგიონისადმი. შეიარაღებული დაჯგუფებები უკონტროლოდ, ბედის ანაბარად დატოვეს. ამ ანარქიის დროს პაკისტანმა თალიბების ხელით მშვიდობის დამყარება გადაწყვიტა, რითაც აისრულა დიდი ხნის ოცნება – შეექმნა ახალი სახელმწიფო, რომელიც მის პოლიტიკას გაატარებდა. თალიბები ის თაობაა, რომელიც პაკისტანის რელიგიურ სკოლებში გაიზარდა. მათ შშირად საულის არაბეთი აფინანსებდა. 1996 წელს, როდესაც ქაბული აიღეს, უმრავლესობას ეს ქალაქი თვალთაც არ ჰქონდა ნანახი. თალიბები პუშტუნთა ეთნიკურ ჯგუფს მიეკუთვნებიან. მათი რელიგიური ლიდერია მოლა ოჰამად ომარი.

ქვეყნის სათავეში თალიბების მოსვლას მოსახლეობა მშვიდობის დამყარების იმედით, მშვიდად შეხვდა, თუმცა უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობა ავღანელთა მუდმივი უკმაყოფილების საფუძველს წარმოადგენს. ქაბულში მრავალი უმუშევარი დაეხეტება და ამოდ ეძებს სამუშაოს. სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი ამბობს: „უკვე მეხუთე კურსზე ვარ და მიკროსკოპიც კი თვალთ არ მინახავს, სწავლება ძირითადად თეორიულია, წიგნებში კი, რელიგიური აკრძალვების გამო, სურათების ნახვა თითქმის შეუძლებელია. დამთავრების შემდეგ ექიმად რომ მომიწიოს მუშაობამ, მოსახლეობას დიდ საფრთხეს შევეუქმნი“. თალიბებს კი მხოლოდ ალაჰი და შარიათი აინტერესებთ...

მოამზადა ანდრო ასლანიშვილმა

▼ ქორწილი შიიტებით დასახლებულ რაიონში. რიგვალი ყოველგვარი მუსიკისა და გართობის გარეშე გარდება და დაკრძალვის ცერემონიას უფრო ჰგავს



ჩვენი ახალი რუბრიკის მეშვეობით გვინდა მკითხველის ყურადღება მივაპყროთ ქართული ენის დამახინჯების ტიპურ მაგალითებს, რომელიც ბეჭდური სიტყვის ნებისმიერი ნიმუში „იწონებს თავს“ — პრესა იქნება ეს, პერიოდული გამოცემა თუ სხვადასხვა სფეროს ლიტერატურა. ამ რუბრიკით შემოგთავაზებთ ცნობილი მხატვრული ნაწარმოების ნაწყვეტს ან ისტორიული მოვლენის ამსახველ ტექსტს, რომელიც „გამდიდრებულია“ დღეს გავრცელებული შეცდომებით. თქვენი ამოცანაა აღმოაჩინოთ ეს შეცდომები და სწორი ვარიანტებით შეცვალოთ ისინი.

რუბრიკას უძღვება
ლია შარვაშიძე

თერთმეტი ფუთი სიმინდი (ნოდარ დუმბაძე. „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი.“)

ილიკოს ღორს დიდი, ჩამოფლარტული ყურები, პატარა თვალები, გარმონივით დაკუჭული, მოკლე და ზევით აბრეხილი დრუნჩი ჰქონდა, ამიტომ მთელ სოფელში სერაპიონას ეძახდნენ. ნამდვილი იორქშირისა იყო, წელიწადში ორჯერ მკობდა, ადრე გაზაფხულზე და შემოდგომაზე, თორმეტ-თორმეტ გოჭს იგებდა. ილიკო, რასაკვირველია, ყიდა გოჭებს და კარგი შემოსავალიც ქონდა. ომის წლებში ილიკომ გოჭების სიმინდზე გადაცვლა დაიწყო და სიმინდიც ყოველთვის უღვევი ჰქონდა... ხელის გულზე ატარებდა ამ ათფუთიან ღორს. თუ გინდოდათ ილიკოს გულის მოგება, ღორი უნდა გექოთ...

აი, ახლაც ვზივართ ილიკოს ეზოში აბინებულ კონდარზე, გვერდით მოღრუტუნე, თვალმინაბული, ჰოჭოკებ გაჭიმული სერაპიონა გვიწევს და ილიკოს ვესაუბრებით.

— სად იშოვნე, ილიკო, ასეთი ჯიშინი ღორი? — ვეკითხები მე...

— მაგი, ჩემო ზურიკელა, არა და, მაგის ბებია, ბებიანემ კალენტის მოყლია თავპანტიდან მზითავდა. ბაბუანემ ხარიტონას დაუმორცხვებია... როგორ შემოუშვა ოჯახშიო და გადაგდება დაუპირებია.

— გადაგდება ვინ გაიგონა, უნდა დაეკლათ! — თქვა ილარიონმა.

— მაშინ ვინ ჭამდა ჭირიან გოჭს, ახლა რომაა, ისე კი არ იყო, — თქვა ილიკომ.

— ახლა ომია და უჭირს ხალხს...

— ...ჩვენ რა გვიშავს, ლენინგრადში თურმე კატებს და თავგებს ჭამდა ალყა დარტყმული ხალხი.

— ლენინგრადი რად გინდა შე კაცო, სახლში გაცილების შემინია! — თქვა ილარიონმა.

— რა გჭირს? — კითხა ილიკომ. — რა მჭირს და, რომ გავიცინებ და კბილს გამოვჩინებ, ჩემს მამალს სიმინდი ჰკონია

და ქორივით შემომაფრინდება ცხვირპირზე... — ჰოდა, იმას გიყვებოდით, — განაგრძო ილიკომ, — ეს ჩემი სერაპიონა იმ ქეციანი გოჭის ნაგრამია.

— ღორი კი არა, ბერ ვაჟკაცს ვკობნია, — ვთქვი მე...

— მე თუ მკითხავ, ჩემო ილიკო, რათ გინდა, თვალებდაქაჩული ნაყანადარი ბაბუაშენის სურათი რომ გიკიდა ბუხრის თავზე, დაუძახე პავლეშა ფოტოგრაფს, გადაუღე სერაპიონას სურათი... და მაგის უკეთესს რას დაკიდებ ოთახში.

— ილარიონა შეგარდნაძე, შენ თუ არ გვკობდეს ეს ღორი, მაგის კუბო გამეტანოს მაშინ ამ ოჯახიდან! — თქვა ილიკომ და ილარიონს ისე შეხედა, მიგზვდი, ჩხუბი დაიწყებოდა.

— მაგას უყურებ, ილიკო? ღორი კი არა, ენა რომ მისცა, ადამიანია, — ვთქვი მე. ილიკომ გამომცდელათ შემხედა, უტეხად გაეუსწორე თვალი, ხუმრობის ნატამალი რომ ვერ წაიკითხა ჩემ სახეზე, ადგა და ბუხლუნით წავიდა არაყის გამოსატანად.

— ...მაგის დრუნჩიან ღორს უბატონოდ ხმას ვერ უნდა ცვემდე? — განწირული ხმით თქვა ილარიონმა. ილიკომ... ერთი ბოთლი არაყი, ორი დაობებული ჯანჯუხა მოიტანა და წინ დაგვიდგა. ორი პირველი სასმელი უნძოდ გადავკარით. მართო თავები დაეუქნიეთ ერთმანეთს, მესამეზე ილიკომ სიტყვა წარმოსთქვა:

— ზურიკელა, შენ ახლა ნასწავლი კაცი გქვია, მართალია დიდი წვალებით



ო, ენავ ჩემო...

და ცოდვის ტრიალით, მაგრამ მაინც ხომ გადაეთრე მეცხრე კლასში? ჰოდა, გაგონილი გექნება, რომ ჩვენი წინაპარი მაიძუნი ყოფილა... არ მგონია სულ მთლად ასე ყოფილიყო, მე მგონია სხვადასხვა ადამიანს სხვადასხვა წინაპრები ჰყავდა. შეხედე, აგერ ჩემს სერაპიონას და შეხედე მერე სერაპიონა სევერთელაძეს, არ არიან ტყუპები? მერე რა მოხდა, ჩემმა სერაპიონამ ლაპარაკი რომ არ იცის... ხომ იბადება ზოგი კაცები მუნჯი?... ახლა უკეთესი კიდევ, ამ ჩვენს ილარიონას ხომ უყურებ? — ილარიონი რაღაც უბედურების მოლოდინში გაინაბა.

— მაგის ჯიუტი ხასიათი ხომ იცი? მაგის სიცილი ხომ მოვისმენიათ, ყროყენს რომ გავს?

თავი დაუქნიე.

— ჰოდა, დამიმტკიცე ახლა, თუ ბიჭი ხარ, რომ ილარიონას წინაპარი ვირი არ იყო!

ილარიონს ჯანჯუხა ყელში გაეჩხირა, ხველება აუვარდა, თხილს და ფელაბუშს საფანტივით ისროლა პირიდან. ხველება რომ გაათავა, ადგა, ქული აიღო, ჭიშკრისკენ წავიდა, სასოებით გამოხედა ბოთლში დარჩენილ არაყს, მერე მობრუნდა, დაასხა არაყი, სულ მოუთქმელად გადაკრა და უხმოთ წავიდა. ჭიშკართან რომ მივიდა, ისევ შემობრუნდა.

— ჰაი, შე ბრუციანო, შენ! — დასჭყვივლა ილიკოს და კარი გაიხურა...

თავის შესამონებლად, ჟურნალის 64-ე გვერდზე გთავაზობთ შეცდომების გასწორების სრულ ნუსხას. დაშვებულია 20 შეცდომა

დასაწყისი იხ. გზა №38

ფანჯრებიდან ოთახში სინათლე შეიპარა. ოთახი ნელ-ნელა აივსო სინათლით და სიბნელე გამოდევნა. კედლებზე გამოიკვეთა ოდესღაც ვარდისფერი, ზოლიანი შპალერი, რომელიც დროთა განმავლობაში გახუნებულიყო. ფიცრის იატაკსაც კარგა ხანია საღებავი გადასცლოდა. მხოლოდ აქა-იქ შემორჩენოდა მუქი აგურისფერი შეფერილობა.

ოთახში ერთი ძველებური ჭურჭლის კარადა, ბებიები რომ „ბუფეტს“ უწოდებენ, მაგიდა და ოთხი სკამი იდგა. კუთხეში ტახტი მოჩანდა, რომელზედაც ქალი იწვა. მას ბამბის ძველი, გაცრეცილი პლედი ეფარა. სინათლე ქალს სახეზე მიაღვია.

ერთ დროს ლამაზი სახე ნაოჭებს დაეფარა. მზისგან გარუჯული, დამსკდარი კანი, დაძარღვული ხელები და ფეხები ასაკს მატებდა. ტახტის კიდეზე იწვა, ხელებით იატაკს ეხებოდა. მოუსვენრად ეძინა, ბორგავდა. საშინლად ხვრინავდა, ხრიალის მსგავს ხმას გამოსცემდა. მხოლოდ გვერდის შეცვლისას, ცოტა ხნით ჩუმდებოდა ხოლმე და მერე ისევ ტვინის მბურღავი ხმებით ივსებოდა ოთახი. ძველი ტახტი კი, მის ყოველ გადაბრუნებაზე ჭრიალებდა...

მეზობელ ოთახში ზამბარებიანი საწოლის ჭრიალის ხმა გაისმა. კარი გაიღო და პერანგისამარა ია გამოჩნდა. დედას მიუახლოვდა.

– დედა, დედა, – ფრთხილად შეეხო ხელზე, – გაიღვიძე.

– მმ... – სახე უსიამოვნოდ მოეჭმუნხნა, ხელი გაიქნია.

– დედა, გაიღვიძე! – შეაჯანჯლარა მშობელი.

– გამანებე თავი! რატომ მალვიძებ? – რუსული აქცენტით ძილბურანში ჩაილაპარაკა და ცალი თვალი გაახილა. იას არყის ონშივარი ეცა.

„მოუსწრია“... – გაიფიქრა და უფრო მაგრად შეაჯანჯლარა მოზუხლუნე დედა, რომელსაც გამოღვიძებდა არ უნდოდა.

– გაიღვიძე! რაღაც უნდა გითხრა! – არაფერი რომ არ გამოუვიდა, სამზარეულოში გავარდა, წყლით სავესე ჩაიდანა გამოიტანა და დედას თავზე დაასხა.

– **Стерва!** – წამოხტა თმაგაწეწილი ქალი, – რას აკეთებ, ხომ არ გაგიჟდი!

– გაჩერდი! – მბრძანებლური ხმით წამოიძანა იამ და დასარტყმელად გამზადებულ, მაღლა აღმართულ ხელში სწვდა, – მომისმინე! მე და იგორი მივიღივართ.

– **Скатертью дорога! Идите к чертям, чтоб вас...** – ისტერიკულად დაიყვირა და ისევ დაწოლა დააპირა.

– მომისმინე, თორემ დავამტვრევ! – ტახტთან დადგმულ არყის ნახევრად სავესე



თინა ღალაქიშვილი
ღაღო ნაპირელი

შვანყვი

ბოთლს ხელი წამოავლო იამ.

– **Дай сейчас же, а то...** – დაემუქრა სიბრაზისაგან სახელეწილი ქალი.

– გუუბნები – მომისმინე, თორემ დავამტვრევ! – ბოთლი მადლა ასწია და დედას თვალებში შეხედა.

– **Ну, хорошо, выкладывай!** – უთხრა ცოტა შერბილებული ტონით და თან მხერა არყის ბოთლისკენ გააპარა.

– მე და იგორი ამ ქალაქიდან მივდივართ. სად წავალთ, არ ვიცი. ალბათ, რუსეთის რომელიმე ქალაქში, – იცრუა იამ.

– **Что вы там потеряли?!** – თვალები მოიფშვნიტა და ყურადღება უფრო დაძაბა.

– არ გვინდა შენთან ცხოვრება... – თავი დახარა იამ და სათქმელი ჩქარჩქარა მიაყარა: დიახ, დიახ, – დაამატა, როდესაც მისი თვალები დედის გაკვირვებულ თვალებს შეეფეთა, – ნორმალური, ადამიანური ცხოვრება მინდა, შენთან კი ამას ვერ ვეღირსები. აქ ჭაობია, თუ გავჩერდები, ჩავიძირები... ჰოდა, ამიტომ უნდა წავიდე!

– მარტო მტოვებ, ასე ბედის ანაბრად?! – წამოიქნაულა ქალმა და თვალებში შიში ჩაუღვია.

– რატომ გიკვირს? განა ჩვენ ბედის ანაბრად არ ვიყავით?! ასე არ ვიზრდე-

ბოდით?! უჭმელ-უსმელნი, დაუბანელ-დაუვარცხნელნი, უყურადღებოდ მიყრილები... ახლა რას მსაყვედურობ? შენ არა გაქვს ამის უფლება! შენ არ გისწავლებია ჩვენთვის არც სიყვარული, არც სიკეთე, არც დედაშვილური სიტბო! რას მოითხოვ ჩემგან? მოვიარო, ვიპატრონო და მე და ჩემი ძმა, ამ ჭაობში ჩავკვდეთ? არა, ამის პირობას ვერ მოგცემ. შენ ისედაც ღალი დასვი ჩვენს სულს. და ეს, ახლა თუ არა, მომავალში გამოჩნდება... – ბოლო სიტყვები ძლივს წარმოთქვა, ხმამაღალი ქვითინი წასკდა, ჩაიკეცა და თავი ხელებში ჩარგო.

დედა გაშვებული იდგა. უცქეროდა შვილს და გონებაში, განვლილი ცხოვრების ნაცნობი სურათები ამოუტივტივდა.

„მე მგავს, მე – ვერა გლუშკოვას,“ – წაიბუტბუტა, თვალები ჭერს მიაპყრო. მერე არყის ბოთლს ხელი სტაცა და პირზე მიიყუდა.

ვერა გლუშკოვამ სახლიდან გაქცევა გადაწყვიტა. საბუთები მონახა, ტანსაცმელი პატარა, ძველებურ, კუთხეებში რკინის „ნალებშიმგარებულ“ ჩემოდანში ჩაალაგა და საწოლის ქვეშ შეაფარა.

მეორე დღეს, უთენია, როდესაც მზე ის-ის იყო ამოიწვერა, ფრთხილად წამოდგა, ტანსაცმელი ჩაიცვა, ფეხი თექუერებში ჩააცურა, ტყაპუჭი გადაიცვა, ჩემოდანი აიღო და ჩუმი, ფრთხილი ნაბიჯით შემოსასვლელი კარისკენ გაემართა.

რაზა გადასწია. ძლიერმა ქარმა დაუბერა და კარი თვითონ გაიღო. ვერა სწრაფად გავიდა სახლიდან.

როდესაც თავისი ეზოს ორღობეს გაცდა, მოტრიალდა და გადახედა იმ ადგილს, სადაც თავისი ბავშვობა და ყრმობა გაატარა.

თვალებზე ცრემლი მოადგა. ხელთათმანიანი ხელით მოიწმინდა და სადგურისაკენ მიმავალ გზას დაადგა.

თოვლი სასიამოვნოდ ხრამუნობდა... ცივი ქარი სახეში უბერავდა და სუნთქვას უშლიდა. უეცრად მოვარდნილი თოვლის კორიანტელი თვალებზე ბადესავით ეფარებოდა. ზოგჯერ ქარი ისეთი სიძლიერით უბერავდა, ნაბიჯის გადადგმაც უჭირდა.

„რა თბილი ამინდები იყო ეს ერთი კვირა და ახლა ისევ აცივდა. იანვარია მაინც... – ფიქრობდა ვერა გლუშკოვა, ცდილობდა, ყველაფერზე ეფიქრა, გარდა თავისიანებისა... რაღაცა სტკიოდა, აწუხებდა. გული მწარედ უკენსოდა... – ხომ არ დაებრუნდე? – წამიერად გაუელვავა, მაგრამ თავს შეუძახა, – გემინია, არა?!“

სადგურამდე კარგა მანძილი იყო დარ-

ჩენილი. მოკლევზე გაუხვია.

„ამ ფერდობს რა ჩაივლის. თუმცა... აბა, ჩემო ჩემოდანო, აქამდე მე გატარე, ახლა შენი ჯერია!“

ჩემოდანი დალო, ზედ დაჯდა, ფეხებით უბიძგა და ადგილიდან დაძრა. დაღმართზე დიდი სისწრაფით ჩასრიალდა... ქვემოთ რალაცას წამოედო და თოვლში თავით ჩაერჭო... უცბად წამოხტა, ტყაპუჭიდან თოვლი ჩამოიბერტყა. ფეფქები უხვად აკკვროდა მის ტანსაცმელს. სიცილი აუტყდა, ჩემოდანს დასწვდა, გადაწმინდა და სირბილით გაუყვა გზას.

ვერამ ბილეთი აიღო და მოსაცდელში მერხზე ჩამოჯდა. მატარებელი იგვიანებდა. შესცივდა. შენობაში გათობა არ იყო. ადგა, ბოლთის ცემა დაიწყო. ამანაც რომ ვერ უშველა, ფეხები აბაკუნა. ხელთათმანები გაიხადა, ხელები პირთან მიიტანა, რომ ორთქლით გაეთბო.

ამასობაში მატარებელიც მოვიდა და ვერა ვაგონში ავიდა.

– რომელი ადგილია თქვენი, ქალიშვილო? – მიუახლოვდა გამცილებელი ქალი.

– მეთვრამეტე...

– აქეთ მობრძანდით, თუ გნებავთ ჩემოდანი აქ ჩადეთ, – ღერმატინიანი სახურავი ასწია.

– გამადლობთ, – უთხრა ვერამ და ჩემოდანი ჩაღო.

– სად მობრძანდებით?

– ღონეცკში.

– როდესაც მიუახლოვდებით, შეგატყობინებთ, – გაიღიმა გამცილებელმა და თეთრი კბილები გამოაჩინა.

– დიდი მადლობა, – გაუღიმა ლურჯფორმიანი, თავაზიან გამცილებელს.

მატარებელი შეინძრა და წასვლის სიგნალიც გაისმა. ნელ-ნელა აიღო სიჩქარე და ჩაქაჩუქით ლიანდაგზე გასრიალდა.

ვერამ დაორთქლილი მინები ხელთათმანით გაწმინდა და უცებ დედას მოჰკრა თვალი. მათი მხერა ერთმანეთს შეხვდა.

– ვერა! ვერა! – გაკვირდა ქალი, მობოლა და თან თავმალს ისწორებდა – **Ушла всё-таки, стерва, а? Гадюка Ты!..** – დანარჩენი აღარ გაუგონია. მატარებელმა კიდევ ერთხელ შეიკვია და მისმა ხმამ შთანთქა ქალის ყვირილი.

ვერა შორდებოდა დედას, რომელიც მატარებელს სირბილით მისდევდა, თავმალნი მხრებზე ჩამოვარდნოდა და ქერა თმას ქარი უწევდა...

ვერას თითქოს რალაც ჩასწვდა... კარგა ხანს იჯდა ხელებში თავჩარგული, მერე ცრემლები წამოუვიდა. კუბეში მარტო იყო და მის ტირილს ვერავინ გაიგონებდა...

წერილები საქართველოდან

„გამარჯობა, ლუდარკა! ძალიან მომ-

ენატრე. რამდენი ხანია არ მინახიხარ. რაც ღონეციდან ჩამოვედი, მხოლოდ ერთხელ გელაპარაკე ტელეფონით. ძალიან მაკლიხართ შენ და ვალია. თქვენთან სულ სხვაგვარი მეგობრობა მაკავშირებდა, დებივით ვიყავით. აქ ჩვენებურ, ჩამოსულ გოგონებთან ვერ მოვხანხე საერთო ენა. მართალია, ვამხანაგობთ, მაგრამ ახლობელი ადამიანი სულ სხვაა, ვისაც შეგიძლია შენი სიხარული და ღარდი გაანდო.

ოთხი თვეა, რაც ჩამოვედი და თერთმეტი გოგონადან ექვსი უკვე გათხოვდა. აქაურ ბიჭებს გაჰყვნენ ცოლად. ვაგეცინება, რომ გითხრა: კონკურსია ჩვენზე, კავალრები თავზესაყრელადაა. მეც ოთხი-ხუთი ქართველი დამდეგს, მაგრამ არც ერთი ჩემს გულს არ ეკარება. მარტო გათხოვება ხომ არაა... უნდა გიყვარდეს კიდევ. აი, ერთი კი, სხვებთან შედარებით უფრო მომწონს. უცნაური სახელი ჰქვია – ენერი. სხვა რაიონიდან – ჭიათურისაა ჩამოსული და აქ, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში მუშაობს. კუდში დამდეგს, სადაც არ უნდა გავიხედო, მას ვხედავ. რომ იცოდე, რა კარგად ხატავს!..

ქართველები პოეტური ბუნების ხალხია. თითქმის ყველა მღერის, ცეკვავს, უყვარს ლამაზად ლაპარაკი. ჩამოსულებს ძალიან დიდ პატივს გვცემენ. ქარხნის ხელმძღვანელობამ საერთო საცხოვრებელში საუკეთესო ოთახები გამოგვიყო. ხელფასიც ნორმალური გვაქვს. არ ვნანობ, აქ რომ წამოვედი სამუშაოდ. სიმართლე რომ გითხრა, დიდი სიამოვნებით დავრჩებოდი აქ...

რუსულ-ქართული ლექსიკონი შევიძინე. საღამოობით ვმეცადინებო. რთული ენაა ქართული. საოცრად ძნელად გამოსათქმელი სიტყვებია, ენას მოიტყვის ადამიანი.

ჩემს თავზე რამდენს გექაქანები, არა? ალბათ, თავი შეგაწვინე. მომწერე, როგორ ხარ, რას საქმიანობ. ინსტიტუტს რომ დაამთავრებთ, შენ და ვალიას ალბათ სადმე გაგანაწილებენ სამუშაოდ. კარგი იქნება, საქართველოში რომ მოხვდეთ.

აბა, ჯერჯერობით! შენი ვერა“

„ჩემო საყვარლებო, ლუდა და ვალიჩკა! მივიღე თქვენი წერილი. რომ იცოდეთ, როგორ გამიხარდა. თვალწინ წარმომიდგება ერთად გატარებული წლები, ჩვენი საერთო საცხოვრებელი, ინსტიტუტი. ძალიან მენატრებით... ვერ ვძლებ უთქვენოდ. იქნებ, როდესაც შეგებულებას ავიღებ, თქვენთან ჩამოვიდე. ვნახოთ, რადგან წინასწარ რაიმეს დაგეგმვა ძნელია.

ცოტა ჩემს ამბებსაც მოგიყვებით. ამ ერთი კვირის წინ ექსკურსიაზე ვიყავით მესხეთ-ჯავახეთში – მხარეა ასეთი. ვარძიის კომპლექსი მოვინახულეთ, ვარძიის კლდეშია გამოკვეთილი, მრავალი სენაკით,

ღარბაზით და ერთ ღროს საუკეთესოდ მოხატული ეკლესიით. ჩემს კითხვაზე – ნუთუ XI-XII საუკუნეში საქართველოში ასე იყო განვითარებული ხუროთმოძღვრებამეთქი? – ჩემს ქართველ ამხანაგებს გაეცინათ. იქვე ჩამიტარეს მოკლე ექსკურსი საქართველოს ისტორიაში.

თურმე აქამდე მოღწეულ ძეგლთაგან ყველაზე გრანდიოზული – სამეფო რეზიდენციის, არმაზციხის მშენებლობა, ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე III საუკუნეში დაწყებულია.

ენვერი დამპირდა, მთელ საქართველოს მოგატარებ, ნახავ, რამდენი ისტორიული ძეგლია ჩვენს ქვეყანაშიო.

მოკლედ, დიდი ისტორიის ქვეყანაა და ეს ხალხსაც ემჩნევა. თავის თავში დარწმუნებული, ლალი, ჭკვიანი ერია...

გუშინ ენვერმა სიყვარული ამიხსნა. ცოტა ფრთხილად უნდა ვიყო. სანამ ცოლად გაყოლას არ მთხოვს, არ დაუეხსლოვდები ძალიან...

თქვენკენ რა არის ახალი? დაწვრილებით მომწერეთ.

სიყვარულით, თქვენი ვერა“.

იგორს უღალატო ინტუიცია ჰქონდა. სამიზნის მონახვა არ უჭირდა. ყოველთვის გრძნობდა, ვისთან არ გაუჭირდებოდა „მუშაობა“.

ჯერ კიდევ რუსთავში გაიწაფა ჯიბეების „გასუფთავებაში“. დღე არ გავიდოდა, რამე არ ემოვა. ფულს არ ხარჯავდა და გამოადგა კიდევ.

თბილისში ერთოთახიანი იზოლირებული ბინა დაიქირავა. დიდი არჩევანის საშუალება არ ჰქონდა და-ძმას, რადგან იმავე დღეს თუ ვერ მოახერხებდნენ ბინის შოვნას, ღია ცის ქვეშ მოუწევდათ დამის გათევა. ამიტომ, გაზეთ „სიტყვა და საქმეში“ ამოკითხულ თბილისის გარეუბანში მღებარე სახლზე შეაჩერეს არჩევანი. ფასიც, სხვა ბინებთან შედარებით, დაბალი იყო.

წინასწარ დარეკეს მინიშნებული ტელეფონის ნომერზე და ერთ საათში ორი სამგზავრო ჩანთით, ტენა-ტენით, მაღალ კორპუსს მიადგნენ.

სახლის კედელზე ლურჯი საღებავით საღარბაზოების ნომრები ეწერა. მესამე საღარბაზოში შევიდნენ. ლიფტი არ მუშაობდა – დენი არ იყო. ფეხით აუყვნენ კიბეს. მეექვსე სართულის ბაქანზე შეჩერდნენ. იამ რკინის კარზე დააკაკუნა. ხანში შესულმა ქალმა გაუღო.

– გამარჯობათ, ჩვენ ბინის თაობაზე მოვედით.

– აჰ, ეს თქვენ ხართ, წელან რომ დარეკეთ, არა? – სანდომიანი ღიმილი შეაფრქვია სახლის პატრონმა, – მობრძანდით, მობრძანდით. თქვენ ერთმანეთის

რა ხართ?

— და-ძმა, — უპასუხა იამ და ოთახს მოავლო მხერა. — ასეც ვიფიქრე.

სახლის პატრონმა ბინა დაათვალიერებინა. გაწკრივლებულ ოთახში ორი გასაშლელი დივან-სავარძელი, პლასტმასის ფეხებზე შემდგარი შავ-თეთრი ტელევიზორი „ელექტრონიკა“, მაგიდა და ორი სკამი იყო.

— ახალი გარემონტებულია. ახლა სამზარეულოში მობრძანდით. ყველაფერი მაქვს, რაც საჭიროა: ორკამფორიანი გაზქურა, პატარა მაცივარი, მაგიდა, ორი ტაბურეტი. ერთი, რაც არ არის, ცხელი წყალია. „ატმორის“ დაყენება მინდობდა და ვერ მოვახერხე.

— მე გააკეთებ, — თქვა ივორმა.

— ძვირი არ ჯდება, მისამართს მოგცემთ და შეგიძლიათ ხელოსანი გამოიძახოთ.

ია გაფაციცებული ათვალიერებდა ოთახებს. მისი სახე სიხარულს ასნივებდა. თავისი სარემონტო, მოუწყობელი, უღაბათო სახლის მერე, სამეფო აპარტამენტებში ეგონა თავი.

— შეგიძლიათ ფარდით გატინხროთ ოთახი. ჩემი ქმარი მოგეხმარებათ. მხოლოდ ორი სამაგრი და თოკი იქნება საჭირო. მძიმე ფარდას ჩამოკიდებთ და ორი იზოლირებული ოთახი გექნებათ. ჩემს ტელეფონის ნომერს დაგიტოვებთ თუ რაიმე დაგჭირდებათ, დარეკეთ, არ მოგერიდოთ. მე მთაწმინდაზე ვცხოვრობ. ეს ბინა ცხონებულმა ბებიაჩემმა დამიტოვა. თავიდან გაყიდვა მინდობდა, მერე გადავიფიქრე. ბინის ქირა ყოველთვიური ფულია, ხელფასივითაა. ხომ იცით, როგორი ცხოვრებაა. დღეს სამსახური გაქვს, ხვალ კი შეიძლება ბოდიში მოგიხალონ და თავაზიანად გამოგაბუნძულონ... — სიტყვაუხვი აღმოჩნდა დიასახლისი.

— ივორმა დას გადახედა.

— მოგწონს? — შეეკითხა.

— სუფთა ბინაა, საჭირო ავეჯიც გექნებათ, წვალბა არ დაგჭირდებათ, არც ქირაა დიდი, — სიტყვის თქმა აღარ დააცადა დიასახლისმა იას.

— კარგი, — თქვა ივორმა. დამაც, თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, — შევთანხმდით.

— დღესვე გადმოხვალთ? — დაინტერესდა დიასახლისი.

— კი, — უპასუხა იამ.

— მაშინ გასაღებს დაგიტოვებთ. ერთი თხოვნა მაქვს... სახლს გაუფრთხილდით...

— მაგის დარდი ნუ გექნებათ, — დაამიქდა იამ, — კმაყოფილი იქნებით.

სახლის პატრონი დაემშვიდობა და წავიდა. ია ივორს მივარდა და კოცნა დაუწყო.

— ივორ, ვერ წარმოიდგენ, როგორ მიყვარხარ! რამხელა სიხარული მანუქქევრც წარმოვიდგენდი, თუ ოღესმე ასეთ სახლში ვიცხოვრებდი. რა ბედნიერი ვარ, რომ იცოდე, ალბათ პირველად ჩემს ცხოვრებაში... — სიტყვა ველარ გააგრძელა და ტირილი აუვარდა, — მეც ვიმუშავე, ვისწავლი, ნელ-ნელა ავიწყობთ ცხოვრებას.

— ჰო, ჰო, — თავს უქნევდა ივორი და თმაზე ხელს უსვამდა.

— ორი თვე დამრჩა გამოცდებამდე. ბევრი ვიფიქრე და გადავწყვიტე. უნივერსიტეტში უცხო ენათა ფაკულტეტზე ჩავაბარო. სხვა თუ არაფერი, ინგლისური ნებისმიერ საქმეში გამოიმაღლება. ძალიან კი მეშინია. არ ვიცი, გამომართლებს თუ არა... რა მეშველებოდა, ივორ, შენ რომ არ მყავდე... ამ სიტყვების გაგონებაზე ივორს სახე გაუბრწყინდა. დას გაუღიმა. ბედნიერი იყო, როდესაც დას გახარებულს ხედავდა. ამ ორ ადამიანს ხელინელჩაკიდებულს თავისი გზა მარტოდ-მარტო, დამოუკიდებლად უნდა გაეკაფა იმ დაუნდობელ, უკიდევანო სამყაროში, რომელსაც ცხოვრება ჰქვია.

ენვერი ჩაფიქრებული იჯდა სკამზე. ხელში პატარა თოჯინა ეჭირა.

— რა ლამაზია, არა?

— მიუბრუნდა ვერა ქმარს, როდესაც იგი თოჯინის თვალიერებით გართული დაინახა. — დღეს ჩვენმა იამ ბევრი საჩუქარი მიიღო. ყველაზე ძალიან თეთრმაქმანებიანი წითელი კაბა მომწონს...

ფიქრებში წასული ენვერი ცოლის ლაპარაკს ყურადღებას არ აქცევდა.

— ვერა, — მოულოდნელად მიმართა, — ძალიან მინდა, შენ და პატარა ია დაგხატოთ, იქნებ, აიყვანო ბავშვი და ამ ფანჯრის პირდაპირ დაჯდეს... ისე, რომ შუქი სახეზე გექნებოდეს.

— ენვერ, ხომ ხედავ, რამდენი ჭურჭული მაქვს დასარეცხი, სახლიც დასალაგებელია. არ მცალია.

— ძალიან გთხოვ!

— ჰო, კარგი, — ხელი ჩაიქნია ვერამ, წინსაფარი შეიხსნა, ლოგინზე მიგორებული ბავშვი ხელში აიყვანა და ფანჯარასთან, სკამზე ჩამოჯდა. — ასე? — მიუტრიალდა ფუნჯის წმენდით გართულ ქმარს.

— არა. იცი, როგორ მინდა დაგხატო? ტანსაცმლის გარეშე — შიშველები. იაკო ბუძუს უნდა წოვდეს.

— ჰმ, — წამოხტა განაწყინებულ ვერა, — მერე, მე ხალხმა სურათზე შიშველი მნახოს? უცნაური ხარ, რა მოხდება, ჩამული რომ დამხატო? — უცებ თავში რაღაც აზრმა გაუელვა და გახარებულმა წამოიძახა:


— გინდა, შვინდისფერ კაბას ჩაიცვა? — ქართული სიტყვები ველარ მონახა და რუსულად გააგრძელა.

— ჯერ ერთი, ქერას შვინდისფერი არ უხდება... უფერულს და უშინაარსოს ხდის მის სახეს. მეორეც, შიშველი დედა და მასზე მიკრული ბუბუთა ბავშვი ემოციურად უფრო მეტადაა დამოუხტული... რა თქმა უნდა, მხატვრის გემოვნებას გააჩნია. აი, მაგალითად, ჰოლანდიელ მხატვარს, რემბრანდტს, უფრო მეტად, ძვირფასი სამკაულების და სამოსის ხატვა უყვარდა. მერე, როგორ გენიოსურად ხატავდა. ყოველი მაქმანი, გამჭვირვალე ქსოვილი, სამკაულები, რა ნატიფად არის შესრულებული. დიდძალ ფულს იხდიდა ამ სამშვენისებში და სასკიას, თავის საყვარელ მეუღლეს ანებებდა ამ ძვირფასი საჩუქრებით... მართალია, მე რემბრანდტის ფრჩხილადაც არ ვღირვარ — რა თქმა უნდა, როგორც მხატვარი, — დააყოლა და ეშმაკურად ჩაიცინა. — მაგრამ მე ჩემი შეხედულებები მაქვს. პირველყოფილი სილამაზე უფრო მიზიდავს...

— შენ რა გიზიდავს, სულაც არ მინტერესებს! ერთხელ უკვე გითხარი, რომ ჩემს სხეულს ვერ გამოვფენ სხვა ადამიანების საჭვრეტად.

— ვერ ვუვებთ ერთმანეთს, ჩემო ვერა, — ქართულად პასუხობდა ენვერი და მშვიდი ღიმილით თვალს ადევნებდა გაწიწმატებულ ცოლს, — მაგრამ ერთი კი ვიცი: მიყვარხარ, ძალიან მიყვარხარ! მიყვარს შენი სახე, აბრეშუმით ნაზი თმა, შენი ცვირიანი ტუჩები, მკერდი...

— Ой, перестань, ради бога!



ქუთაისის მახლობლად, სოფელ ბანოჯაში ცხოვრობდნენ ბალანჩივაძეები — გლეხები, რომლებიც ბატონყმობის დროს „საეკლესიო ანუ წმინდა გიორგის გლეხებად“ ირიცხებოდნენ. ანდრია ბალანჩივაძე შეძლებული მოსახლე იყო, საუცხოო ხმაც ჰქონდა და სოფლის პატარა საეკლესიო გუნდში გააღობდა. მისი მეუღლეც, გვარად ქორიძე ხალხური სიმღერების კარგი მცოდნე, მუსიკალური ნიჭის მქონე ქალი იყო. მათ ერთადერთი ვაჟი — ამირანი ჰყავდათ, როემლიც 10 წლისა იყო, ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში რომ მიაბარეს... ყმანვილს, როგორც ჩანს, თავი გამოუჩენია სწავლაში, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენილა.

ლელა ჯიყაშვილი



მელიტონ ბალანჩივაძის ქართული გუნდი. ცენტრში — კომპოზიტორი

უხუცესი ქართული კომპოზიტორი, ჩოხურსა და პიანინო სახელოვანმა ჩუბინშვიტონმა უსახსოვრა



მელიტონ ბალანჩივაძე

ახალგაზრდა დიაკვანი — ამირან ბალანჩივაძე ქუთაისის ეპარქიაში მოგზაურობისას თან ახლდა ეპისკოპოს გაბრიელს. სწორედ ამ მოგზაურობისას, 1852 წელს გაიცნო ლეჩხუმში ივლიტა ასათიანი. მუსიკისადმი საოცრად მგრძობიარე სულის ყმაწვილი ამ ახალგაზრდა ქალის სიმღერას შეუძრავს. მოწონება სერიოზულ გრძობაში გადაიზარდა და ახალგაზრდებმა ერთგულების ფიციც კი მისცეს ერთმანეთს თურმე... მაგრამ ასათიანების ოჯახი სასტიკად ეწინააღმდეგებოდა ამ სიყვარულს. ქალის მშობლებს სრულიად არ უნდოდათ სიძედ „ვილატ“ იმერელი გლეხი, დიაკვანი ბალანჩივაძე. კიდევ კარ-


გი, ეპისკოპოსი გაბრიელი გულმოწყალებე აღმოჩნდა და შეყვარებულებს ნებართვა მისცა, რომ გაპარულიყვნენ, თორემ საქართველოს არ მოევლინებოდა მათი ვაჟიშვილი — მომავალი ნიჭიერი, ახალგაზრდა კომპოზიტორი მელიტონ ბალანჩივაძე. ასე იყო თუ ისე, ამირან ბალანჩივაძემ „მოტაცებული“ ქალი თავის სოფელ ბანოჯაში ჩაიყვანა. ახალი ოჯახი მამაპაპისეულ კერაზე დასახლდა. თვითონ მღვდლად ეკურთხა და ამირან ბალანჩივაძე მამა ანტონი გახდა.

მელიტონ ბალანჩივაძე 1862 წლის 24 დეკემბერს დაიბადა. ის მეხუთე შვილი იყო ოჯახში, მაგრამ ანტონისა და ივლიტას პირველი ოთხი ბავშვი ადრეულ ასაკში, მელიტონის დაბადებამდე გარდაიცვალა... როდესაც ის 8 წლის გახდა, ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს. იმ დროს საეპისკოპოსო გუნდს დიმიტრი აღნიაშვილი ხელმძღვანელობდა. მას არ გამოჰპარვია იშვიათი ნიჭი და წკრილა ხმა, რომლითაც ბუნებამ დააჯილდოვა მელიტონ ბალანჩივაძე: ჯერ კიდევ სრულიად პატარა, 25 მგალობლისაგან შემდგარ საეკლესიო გუნდში ჩარიცხა. ასე მოხდა თავისი ინტერესის სფეროში ნორჩი მელიტონი, მაგრამ მას არ აკმაყოფილებდა მხოლოდ დიდი გუნდის წევრობა:

თვითონაც შექმნა პატარა გუნდი ტოლ-ამხანაგებისაგან. ხელმძღვანელობდა და ასწავლიდა მეგობრებს საეკლესიო საგალობლებსა და ხალხურ სიმღერებს. სასულიერო სასწავლებელი ვილას ახსენდებოდა?! ან რიტორიკისა თუ თეოლოგიის სწავლის დრო საიდან უნდა დარჩენოდა?! მთელი მისი ენერჯია უკვე მუსიკას ეკუთვნოდა. რამდენჯერმე სასწავლებელში მისი გარიცხვის საკითხიც დადგა, მაგრამ ამას მელიტონი რაღაცნაირად მაინც გადაურჩა...

1874 წელს ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიაში შევიდა. მეცადინეობა იქაც არ იზიდავდა. ყაზარმული წესები, რომელიც იმ დროს გიმნაზიებში იყო გაბატონებული, თრგუნავდა. მან ასეთი გამოსავალი იპოვა: გიმნაზიის საეკლესიო გუნდში დაიწყო გალობა. მაინც მხოლოდ 3 წელი გაძლო გიმნაზიაში — და თბილისის სასულიერო სემინარიაში გადავიდა.

თბილისშიც უმაღლესი შეამჩნიეს მისი ნიჭი. ეგზარქოსის გუნდის ლოტბარმა აუშევა მრავალ ყმაწვილში გამოარჩია და თითქმის ყოველთვის, ამა თუ იმ საგუნდო ნაწარმოების დაწყების წინ, ზუმრობით ეუბნებოდა: „მელიტონ, მომე ტონი!“ სწორედ აუშევი იყო მისი პირველი სერიოზული პედაგოგი, რომელიც საგუნდო ხელოვნების საფუძვლებსა და



მელიტონ ბალანჩივაძის ვოკალური ნაწარმოებები ილიას ლექსებზე

თეორიას ასწავლიდა.

1880 წელს თბილისში ჩამოვიდა იტალიაში ნამყოფი ცნობილი საოპერო ბანი ფილიმონ ქორიძე. მისი დახმარებით მელიტონი საოპერო გუნდში ჩაირიცხა.

რაც უფრო იზრდებოდა, უკეთ ხედავდა, როგორ შევიწროებას განიცდიდა ეროვნული კულტურა, რწმუნდებოდა, რომ ხალხური შემოქმედება დაღუპვის პირას იყო. თავისი წვლილის შეტანა სწავდა ამ რთულ საქმეში. მძიმე ჩასაწერი აპარატებით დატვირთულნი, ხშირად იწერდნენ ის და ფილიმონ ქორიძე ხალხურ სიმღერებს და ნოტებზე გადაჰქონდათ... საქმისადმი თავგანწირულმა სიყვარულმა ოჯახს მოსწყვიტა. კონფლიქტმაც არ დაახანა. იმ პერიოდში მელიტონ ბალანჩივაძეს მუდღეუ – გაიანე ერისთავი და ორი შვილი – ნინო და აპოლონი ჰყავდა. თანდათან ცოლთან ურთიერთობა დაეძაბა. ბოლოს კი, განქორწინებამდეც მივიდა საქმე. და ვიდრე მომავალი კომპოზიტორი პეტერბურგს წავიდოდა სწავლის გასაგრძელებლად, მათი ოჯახი ოფიციალურად დაირღვა.

პეტერბურგში მიმავალს, ერთი ოცნება ასულდგმულებდა: საოპერო მომღერალი უნდა გამოსულიყო. გამოცდები კონსერვატორიაში იოლად ჩააბარა და ვოკალური ფაკულტეტის სტუდენტად ჩაირიცხა. მუსიკისმცოდნე პავლე ხუჭუა თავის წიგნში იხსენებს, რომ

საკურსო გამოცდა კონსერვატორიის დირექტორთან – ანტონ რუბინშტეინთან ჩააბარა. კმაყოფილი იყო, კარგად იმღერა. ის იყო, დარბაზიდან უნდა გასულიყო, რომ რუბინშტეინმა გამოიძახა და რამდენიმე კითხვა დაუსვა. საუბარში მელიტონმა ახსენა, რომ კომპოზიციაშიც ჰქონდა რაღაც საცდელი ნამუშევრები. დიდი პიანისტი – რუბინშტეინი ამ თხზულებებით დაინტერესდა. მელიტონმა მორიდებით გაუწოდა ნოტები რომანსისა „როდესაც გიცქერ“. როიალთან თავად რუბინშტეინი დაჯდა. მელიტონ ბალანჩივაძემ საკუთარი რომანსი შეასრულა. კონსერვატორიის დირექტორი ალერსიანი დიმილით მიუბრუნდა სტუდენტს:

„აი, რა, ძვირფასო კავკასიელი! თქვენ კარგი ხმა გაქვთ, მაგრამ საოპერო მომღერლად არ გამოდგებით, დაბალი ტანის გამო სცენაზე დაიკარგებით. უმჯობესია, ხელი მოჰკიდოთ კომპოზიციას. ამით თქვენ გაცილებით მეტ სარგებლობას მოუტანთ თქვენს სამშობლოს...“

კომპოზიცია მოსწონდა და აინტერესებდა კიდევ, მაგრამ მუშაობის არანაირი საშუალება არ ჰქონდა: პიანინოს ქირაობაც კი არ შეძლო ხელმოკლეობის გამო. დარცხვენნილს შეუბედავს რუბინშტეინისათვის: ამ მიზეზების გამო, კომპოზიციაში მუშაობაზე უარის თქმა მომიწევსო...

მელიტონ ბალანჩივაძე მეოთხე

სართულზე ცხოვრობდა. გამოცდის მეორე დღეს მის კარზე კაკუნი გაისმა. კარი რომ გააღო, მუშები შერჩა, რომლებსაც მძიმე პიანინო მოეტანათ: ისინი თურმე თავად რუბინშტეინის განკარგულებას ასრულებდნენ. ამრიგად, მელიტონ ბალანჩივაძის კომპოზიტორობას მორალური და მატერიალური ბიძგი კეთილშობილმა რუბინშტეინმა მისცა.


ახალგაზრდა კომპოზიტორი რუსეთის ქალაქებში „ქართულ საღამოებს“ მართავდა. დაუღალავად შრომობდა, მუსიკის შექმნის წყურვილით იყო შეპყრობილი. ბუნებრივია, რომ მალე ოპერის დაწერის მოთხოვნილებაც გაუჩნდა. მისი „თამარ ცბიერი“ მთელი 30 წლის განმავლობაში იწერებოდა. ნინო ნაკაშიძე იხსენებდა: 1895 წლის ზამთარში მე და ჩემი მუდღეუ რესტორან „კიუბაში“ სადილად დაგვპატიჟა მელიტონ ბალანჩივაძემ. მელიტონი მაშინ პეტერბურგში ცხოვრობდა... ცალკე კაბინეტში ვისხედით; მელიტონი სულ მუსიკაზე ლაპარაკობდა: „ქართველებს ოპერა არა გვაქვს და მინდა დაწერო, მაგრამ ისეთი თემა უნდა მოვნახო, რომ მთელი ჩვენი ერის გენია გამოჩნდეს: მინდა ოპერის თემაღ „მეფე დიმიტრი თავდადებული“ ავირჩიო. უწინ ვფიქრობდი „დედა და შვილზე“ შევჩერებულყავი, მაგრამ ოპერისათვის ძალიან პატარაა. დიდი ხანია მაქვს კიდევ ერთი თემა – აკაკის „თამარ ცბიერი“. „დიმიტრი თავდადებული“ დიდებული თემაა ოპერისათვის, მაგრამ ქალი არ ურევია და ოპერა უქალოდ?! მართალია, შევსება შეიძლება: მეფეს ხომ ეყოლებოდა ცოლი, ქალიშვილი, ვინმე მზეთუნახავი საყვარელი, უიმისობა არ იქნებოდა, – გადაიხარხარა მან და განაგრძო: „თამარ ცბიერში“ კი ყველა და ყველაფერია, თავისტეხა არ გვჭირდება.“

1901 წელს მელიტონ ბალანჩივაძის 100 მანეთიანმა ლატარიის ბილეთმა 200.000 მანეთი მოიგო. მრავალ მატერიალურ პრობლემას მიჩვეულმა, სიღუხჭირეგამოვლილმა ხელოვანმა, უცებ თავი ბედნიერ „მილიონერად“ იგრძნო. ორი პატარა ოთახის ნაცვლად, შესანიშნავი, მდიდრულად მორთული ბინა დაიქირავა, საკუთარი ეტლი შეიძინა,

ფინეთში, დაბა ლაუნატიოკში მშენებელი სააგარაკო სახლი აიშენა. ნაცნობ-მეგობრები არც მანამდე აკლდა. კოტე ფოცხვერაშვილი იხსენებდა: „მელიტონთან მუდამ უცნობი ქართველები მოდიოდნენ. ვინ ფულად დახმარებას სთხოვდა, ვის გზის ფული ესაჭიროებოდა სამშობლოში დასაბრუნებლად, ვის სტიპენდიის საკითხის მოგვარება სურდა ან სადმე სამსახურში ან სასწავლებელში მოწყობა. მელიტონი კი უარს არ ეუბნებოდა, შეძლებისდაგვარად ყველას ეხმარებოდა“. ფულმა კიდევ ბევრს გაუჩინა მასთან „მეგობრობის“ სურვილი... ეტყობა, ქუთაისურმა დარღვიანდულმა ბუნებასაც თავი იჩინა მის პიროვნებაში და ისიც განცხრომას მიეცა. ვიღაც გაიძვერებმა ჩაითრიეს არახელსაყრელ კომერციულ გარიგებებში: ფული ჩაადებინეს და შედეგად, უკიდურესად მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. 1917 წლისთვის ის უკვე სრულიად უსახსროდ იყო დარჩენილი. თუმცა, ფული რომ ჰქონოდა, „წითლები“ მაინც არ ახეირებდნენ. მოკლედ მას „ყველა პირობა შეექმნა“, რომ კომპოზიციას დაჰბრუნებოდა.

იშვიათად, მაგრამ მაინც გამოუმჟღავნებია ქართველისთვის ჩვეული ფეთქებადი ხასიათი. მაგალითად, ერთხელ რუსულ გაზეთში წაუკითხავს – სვანური სიმღერის ნოტებით

პეტერბურგში გამდიდრებულმა ბალანჩივამ შემსანიშნავე ბინაც დაიქირავა და საკუთარი ეტლიც შეიძინა



გადმოცემა შეუძლებელიაო. აღმფოთებული წასულა ექსპედიციაში სვანეთში, სიმღერებიც ჩაუწერია და „თვალსაჩინოებისათვის“, სამიოდე სვანიც წამოუყვანია, ცოცხალ შემსრულებლად კონცერტზე რომ გამოეყვანა...

1918 წელს მელიტონ ბალანჩივამ ქუთაისში მუსიკალური სასწავლებელი დააარსა.

საბჭოურ გრივალს ვერ გადაურჩა. ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა. თვითონ მელიტონ ბალანჩივამ წერდა: „მე მახსოვს, რომ ამხანაგი სტალინი 1926 წელს თბილისში უსმენდა „თამარ ცბიერს“, მან მადლობა გამომიცხადა იმ სიამოვნებისათვის, რომელიც ჩემი ოპერისაგან მიიღო და დასძინა, რომ ჩემი შემოქმედების მანერა მას რიმსკი-კორსაკოვს მოაგონებს. მე ვუპასუხე ამ სტალინს, ვარ ამ რუსი კომპოზიტორის მოწაფე-თქო. ამ სტალინმა დამავალა დამეწერა კანტატა ზაქესთან ლენინის ძეგლის განსახე. მეც დავწერე ეს კანტატა...“

საინტერესოა, რომ მელიტონ ბალანჩივამ იყო პირველი ქართველი, ვინც პეტერბურგის კონსერვატორიის კომპოზიციის ფაკულტეტი დაამთავრა! ის საქართველოში კომპოზიციის განვითარების გარიჟრაჟზე მოღვაწეობდა, ამიტომ თავისი შემოქმედებით დიდად მნიშვნელოვანი საქმე გააკეთა სამშობლოსათვის.

1937 წლის გაზაფხული მელიტონ ბალანჩივამ ქუთაისში გაატარა. შემდეგ უახლოეს მეგობართან – ექიმ კოწია მიქაბერიძესთან გაემგზავრა ფოთში. გზაში გაცივდა. მოხუცს ეს გაცივება სიკვდილის ფასად დაუჯდა: 21 ნოემბერს გარდაიცვალა.

ბესტი ერუდიციაზე

1. რომელი ბრძოლა ჰქონდა მოთარბებული ალფრედ ჰინკოქს?




- ა) იუმორის;
- ბ) შიშის;
- გ) სიყვარულის.

2. ადამიანის სხეულის რომელ ნაწილს შეისწავლის პროქტოლოგი?



- ა) გლანდებს;
- ბ) ბრმა ნაწლავს;
- გ) სწორ ნაწლავს.

3. ვინ იყო ალფრედ კრუიკ?



- ა) კინორეჟისორი;
- ბ) სპორტსმენი;
- გ) ბიზნესმენი.

4. სადაურიბა წარმოშობით ზურაბ ძაფინანიძე?



- ა) კახელი;
- ბ) ინგილო;
- გ) რაჭველი.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე



ჯაბხიოლეტი SC430

კომპანია LEXUS-ის პირველი კაბრიოლეტი, რომლის დებიუტი წლებადღელ გაზაფხულზე შედგა, დიდ ბრიტანეთში იმდენად კარგად მიიღეს, რომ სარეალიზაციოდ დაგეგმილი 250 მანქანა უმაღლესად ახალია, ინგლისში ავტომობილებს ასაწვევი საბარგულით ვერაფერს გააკვირვებ, მაგრამ მას ისეთი სტანდარტული ტექნიკური აღჭურვილობა აქვს, რომლითაც ამ კლასის ბევრი ავტომობილი ვერ დაიკვირვებს.

ამ აღჭურვილობაში შედის ABS-ი, სამუსრუტე გამანწილებელი EBD, სამუსრუტე გამაძლიერებელი BREAK ASSIST, ფრონტალური და გვერდითი უსაფრთხოების ბალიშები, საბურავებში წნევის დაცემის მაუწყებელი სისტემა TPWS. დაამატეთ ამას განსაკუთრებული კონსტრუქციის საბურავები, რომელიც საშუალებას იძლევა, გახვრებიტს

შემთხვევაში, 90 კმ/სთ სიჩქარით კიდევ 160 კმ (!) გაიაროს. დაბოლოს – კლიმატ-კონტროლის „მოაზროვნე“ სისტემა: იმისდა მიხედვით, რა სიჩქარით მოძრაობს ავტომობილი, ახსნილი აქვს თუ არა სახურავი, ის არა მარტო არეგულირებს ტემპერატურის რეჟიმსა და სალონის ვენტილაციის ინტენსივობის დონეს, არამედ ოპტიმალურად აწვავს მგზავრებს შორის ჰაერის ნაკადს! მანქანას შხის გამოსხივების ხარისხის განმსაზღვრელი ხელსაწყოც კი აქვს.

თითოეული „ლექსუსის“ სალონი საოცარი სიმდიდრით მოგვრით თვალს: ელექტრორეგულირებით, გამათბობლითა და „მეხსიერებით“ აღჭურვილი სავარძლების გარდა, მასში დამონტაჟებულია HI-FI-ის ტიპის აუდიოსისტემა MARK LEVINSON-ი, 6 კომპაქტ-დისკისთვის გათვალისწინებული CD-ჩეინჯერი და

უმაღლესი ღონის სანაივაციო DVD-სისტემა ინტერაქტიური ეკრანით.

კაბრიოლეტი „ლექსუსისავე“ 4,3 ლიტრიანი V8 ბენზინის ძრავით (282 ცხ.ძ.) არის აღჭურვილი, რომელიც ავტომობილს 100 კმ/სთ სიჩქარემდე 6,4 წამში „გაარბენინებს“. ავტომობილის მაქსიმალური სიჩქარე 250 კმ/სთ-ია. დასახელებული პარამეტრების მისაღწევად, მანქანის კონსტრუქციაში უახლესი ტექნოლოგიის რამდენიმე ნიშნა გამოყენებული. მაგალითად, აეროდინამიკური წინააღმდეგობის კოეფიციენტის შესამცირებლად, ძარის ფსკერს სპეციალური ფირფიტები აქვს აკრული. ეს ფირფიტები მინი-ანტიფორთხის როლს ასრულებს, რომელიც დიდი სიჩქარით მიმავალ ავტომობილს გზის საფარს მიაჯაჭვავს.

კაბრიოლეტს სუთსაფეხურიანი ავტომატური გადაცემათა კოლოფი აქვს, რომელსაც მძღოლის მართვის ინდივიდუალურ სტილითან და გზის საფარის ხარისხთან ადაპტირების უნარი ახასიათებს.

LEXUS SC430-ის პირდაპირი კონკურენტებია MERCEDES SL 500 (ის უკვე გამოვიდა ქარხნიდან) და JAGUAR XK8, რომლებიც მასზე საშუალოდ, 8.000 დოლარით მეტი ღირს. გარდა ამისა, „ლექსუსის“ ღონის კომპლექტაციამდე ამ მანქანების მისაყვანად შესაბამისად, 8.500 და 15.600(!) დოლარი იქნება საჭირო.

ბოლოს დავეძინო, რომ „ლექსუსის“ კაბრიოლეტის ღირებულება, საფრანგეთის ქალაქ მარსელში მდებარე სტუდია EO2-ში მომუშავე ვეროპელ და იაპონელ სპეციალისტთა ერთობლივი შრომის შედეგია. ■

4 ხეხი საგზაო პოლიციელის



1) აუმაღლეთ ინსპექტორს წოდება.

მაშინაც კი, როცა ხედავთ, რომ დარღვევისთვის უმცროსმა ლეიტენანტმა გაგაჩერათ, ზრდილობიანად უწოდეთ მას „ბატონო კაპიტანი“: რა თქმა უნდა, ძალიან ესიამოვნება და უფრო ღმობიერადაც მოგექცევით, რადგან ჩათვლის, რომ ისეთ ელემენტარულ რამეშიც ვერ ერკვევით, როგორც პოლიციელთა ჩინია.

2) არასოდეს დაიფიქროთ, რომ მართალი ხართ!

თუ ტრასაზე ხელსაწყოთი შეიარაღებული ინსპექტორი გაგაჩერებთ და გაცნობებთ, რომ გზის მარცხენა ზოლში 164 კმ/სთ სიჩქარით მიქროდით, არ გიჩრევეთ, პირზე დუჟმოდგარმა უმტკიცოთ, რომ თქვენი მანქანა 120 კმ/სთ-ზე მეტს საერთოდ ვერ ავიტარებს, ინსპექტორს და მის ხელსაწყოს ძალიან არ უყვართ, როცა მათ იღიოტებად თვლიან.

სჯობს, მაშინვე დაეთანხმოთ და საზღაური სწრაფი სიარულისთვის მორჩილად გაიღოთ.

3) არ წამოეგოთ პროვოკაციას!

თუ ინსპექტორი გვიან დამით გაგაჩერებთ, მანქანის სალონს დაგვკვებულ მზერით შეათვალიერებს და მკაცრი ხმით გაითხავთ: „რა დალიეთ?“ არ ღირს კანონმორჩილი მოქალაქის გამომეტყველების მიღება და იმის მტკიცება, რომ ვანშაშვ მხოლოდ ერთი ჭიქა ღვინო მიირთვით. სჯობს უპასუხოთ წყნარად, მტკიცედ და, რა თქმა უნდა, უარყოფითად – „არაფერი!“ ზედმეტმა ემოციურობამ და გულზე მჯიღის ცემა შეიძლება პოლიციელის არცთუ ისე უსაფუძვლო ეჭვი გამოიწვიოს და ალკოჰოლური ტესტირების უსიამოვნო პროცედურითაც დასრულდეს.

4) გაითვალისწინეთ ადამიანური ფაქტორი.

Mercedes-Benz Pullman




MERCEDES-BENZ PULLMAN-ი ცოტა ხანში სახელმწიფოთა მეთაურებს ახალ ავტომანქანებს შესთავაზებს. S კლასის ახალი ლიმუზინი V8 (306 ცხ.ძ.) ან V12 (367 ცხ.ძ.) ძრავებით იქნება აღჭურვილი, რის შესაბამისადც ავტომობილებს S500 და S600 PULLMAN-ის სახელები მიენიჭება.

საბორობლე ბაზა ერთი მეტრით არის დაგრძელებული, ჩვეულებრივ გრძელ S კლასთან შედარებით. ძარის გასაძლიერებლად შეტანილი უამრავი სხვა ელემენტის გარდა, შტუტგარტში ახალი სამსუქციანი მუსლა ლილევიცა და საკიდრის დეტალები შეიმუშავეს. ძარის შუა ნაწი-

ლის პანელებს ლიუკების ფორმა აქვს, რომელიც გაუადვილებს მექანიკოსს დაზიანებულ სისტემამდე მიღწევას.

საგანგებოდ არის აღსანიშნავი, რომ ავტომობილის შექმნაზე სახელგანთქმული სატიუნინგო კომპანია AMG-ის სპეციალისტებმაც იშრომეს.



VOLVO S80-ის ლიმუზინი

„მოსათვინიეხებდა“

ერთი ძალიან ჭკვიანური წიგნის „ვიქტიმოლოგია – მსხვერპლის ქცევის მეცნიერება“ – შესავალში ვკითხულობთ: თუ უეცრად განრისხებული მანიაკი დაგესხათ თავს, ტრაგიკული შედეგის თავიდან აცილების ერთადერთი გზა თქვენთვის ის არის, რომ სცადოთ, აგრძნობინოთ – თქვენ არასტანდარტული პიროვნება ხართ და არა მის ხელში აკივლებული მორიგი მსხვერპლი. თუმცა, იმის შესახებ, როგორ განვახორციელოთ ეს, შრომის ავტორები არაფერს გვეუბნებიან. ალბათ ყურადღება მაშინვე რაღაც ამბავზე – ვთქვათ, თქვენი ბავშვობის დროინდელ გულის ამაჩუყებელ დრამაზე უნდა გადაატანინოთ, ან რაღაც ტკივილი შესწივლოთ... შესაძლოა, თქვენმა ემოციამ მასში გამოძახილი პოვოს ან სულაც, თავისი წარსული გაახსენოს და მან შეგიბრალოთ...

სწორედ მსგავსი პრინციპი უნდა გამოიყენოთ სახელმწიფო მოხელესთან და საგზაო პოლიციელთან ურთიერთობისას: სცადეთ, ფორმაში გამოწყობილი ადამიანის ყურადღება თქვენი ცხოვრების არასტანდარტული წვრილმანებით მიიპყროთ, ამასთან, რაც უფრო მიახლოებული იქნება თქვენი მონათხრობი ფანტასტიკასთან, მით უფრო მეტი შანსი გაქვთ, რომ ის მოგისმენთ. თქვენი ფანტაზიის გაქანება ჩადენილი დარღვევის პირდაპირპროპორციული უნდა იყოს. მთავარია, თავად ირწმუნოთ ის, რასაც ჰყვებით და არავითარ შემთხვევაში არ იფიქროთ იმაზე, რომ სულელად ჩავთვლიან: საკმარისია, თქვენი მეთოდის სისწორეში დაეჭვდეთ, რომ მარცხს ვერ აცილებთ თავიდან, თუმცა, თუ სქელი ჯიბე გაქვთ, ყველა ეს ეშმაკობა და თავის მტვრევა არ დაგჭირდებათ.

კიდევ ერთ ლიმუზინს შესთავაზებს პოტენციურ მომხმარებელს კომპანია „ვოლვო“, რომელმაც თავისი S80-ის ბაზაზე დაგრძელებული „სამთავრობო“ ავტომობილი შექმნა. მისი სიგრძე 134 სმ-ით აღემატება ჩვეულებრივ S80-ს და ორი – 4-კარიანი და 6-კარიანი ვერსიით გამოვა. მას დამატებითი აღჭურვილობის ნუსხა, ისევე, როგორც „მერსედესის პულმანს“, პრაქტიკულად, უსასრულო აქვს. ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, შვედური ლიმუზინი „სასწრაფო დახმარების“ მანქანების გამოშვებით განთქმულ სკანდინავიურ ფირმასთან – YNGVE NILSSONS KAROSSERIFABRIK-თან ერთად არის შექმნილი. საინტერესოა, რომ ეს კომპანია კატაფალკებსაც უშვებს, თანაც – როგორც „ვოლვოს“, ასევე „მერსედესის“ ბაზაზე...

რა არის ავადმყოფობა

**რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამასაშვილი**

- ავადმყოფობა ცოდვილი ცხოვრების შედეგია!
- ავადმყოფობა თქვენი სულის განწმენდის გზაა!
- ავადმყოფობა უფლის მიერ ბოძებული ტვირთია თქვენდა სასიკეთოდ!
- ავადმყოფობა სხეულის ტკივილი და სულის წრთობაა!
- ავადმყოფობა მძლავრი ბიძგია, რათა დაფიქრდეთ თქვენი ყოფნის ჭეშმარიტ არსზე!
- ავადმყოფობა სხეულებრივი განსაცდელია, მაგრამ იგი გიხსნით ჭეშმარიტი განსაცდელისაგან!
- ავადმყოფობა არ უნდა გახდეს თქვენი სასოწარკვეთის საბაბი!
- ავადმყოფობა ის მდგომარეობაა, როცა კიდევ ერთხელ მად-

- ლი უნდა შესწიროთ უფალს იმისათვის, რომ მას ახსოვხართ!
- ავადმყოფობა თქვენს ღრმარწმენას მისცემს დასაბამს.
- და გჯეროდეთ: „თქვენივე რწმენა განგკურნავთ თქვენ!“
- „თქვენი რწმენისამებრ მოგვეგებათ“ თითოეულს!
- სწორედ ავადმყოფობაში გამობრძმედილი რწმენა გახდება თქვენი განკურნების საფუძველი.
- თქვენ არ გინდათ ავადმყოფობა, მაგრამ თქვენ უნდა გინდოდეთ, რომ ავად არ იყოთ, ამისათვის კი გააცნობიერეთ ავადმყოფობის ძირეული მიზეზი – „ღამუხტეთ“ ექიმის მიერ გამოწერილი რეცეპტები თქვენი რწმენით და დაუღალავი ლოცვით, სინანულით განვლილი ცოდვილი ცხოვრების გამო და მაშინ, როცა, როგორც იოანე ოქროპირი იტყო-



და, „მრავალგზის ცეცხლში გამოვლილ ოქროს ემსგავსება სული, განსაცდელგამოვლილი და განწმენდილი ტანჯვასა შინა“, სწორედ „მაშინდა დაგიხსნით უფალი განსაცდელისაგან, რათა არ დაეცნენ ესოდენი გვემისაგან“.

ფილოსოფიის კუთხე

სიკეთე არის მხოლოდ ის, რაც შედეგია სიყვარულის.
 ეცადეთ სინათლეში მეტი სინათლე დაინახოთ, ხოლო სიბნელეში – ნაკლები სიბნელე.
 ვინც ჭეშმარიტ ცოდნას ეუფლება, ის ღუმილს სწავლობს.
 სიყვარულის წვეთი ბედნიერების ოკეანეა.
 სიცოცხლე ძილია, სიკვდილი – გამოფხიზლება.
 გააცნობიერეთ ძილის პროცესი და იძინეთ ფხიზლად!
 როცა მარტივში რთულს დაინახავთ, მაშინ თქვენთვის რთული გამარტივდება.
 ყოველი გაცნობიერებული შეცდომა წინსვლაა.

თუ გსურთ, დიდი გახდეთ, უნდა დაპატარავდეთ. ბოლომდე დაინხარჯეთ, მაგრამ ჯერ ჭეშმარიტ წყაროს მიაგებით; წინააღმდეგ შემთხვევაში, ბევრს ვერაფერს გაიღებთ.
 ის, რასაც ვერ სწვდებით, თქვენთვის არ არსებობს, მაგრამ თქვენ არსებობთ მისთვის, ნუ უარყოფთ მას!
 თქვენი ცოდნა მხოლოდ თქვენ მიერ განვლილი გზაა, ხოლო ინფორმაცია გასავლელის შესახებ მას შემდეგ გარდაიქმნება ცოდნად, როცა მას თავად განიცდით.
 თქვენ არ გსურთ, ავად რომ ხართ, მაგრამ თქვენ უნდა გსურდეთ, რომ ავად არ იყოთ!

ლოცვა თავის ტკივილისას

**წმინდა იოანე
ნათლისმცემელი**

ტროპარი: ხსენება მართლისა ქებით აღესრულების, ხოლო შენდა კმა არს წამება უფლისა, წინამორბედო, რამეთუ ჭეშმარიტად გამოსჩნდი უდიდებულეს წინასწარმეტყველთა და რამეთუ ქადაგებულსა მას შენ მიერ წყალთა შინა ღირს იქ-

მენ ნათლისმცემად და იწამე ჭეშმარიტებისათვის. და სიხარულით ახარე მყოფთა ჯოჯოხეთისა ღმერთი ხორციითა გამოჩინებული და აღმზმველი ცოდვათა სოფლისათა, რომელი მოგვანიჭებს ჩვენ ღიდსა წყალობასა.
 კონდაკი: წინამორბედისა დიდებულისა თავის კვეთა განგებულება

იქმნა საღმრთო, რაითამცა მყოფთა ჯოჯოხეთისათა უქადაგოს მოსვლია მაცხოვრისა, გოდებიდან აწ, იროლიადა, უსჯულოსა მისთვის კვლევობისა, რამეთუ არა შეიყვარა სჯული ღმრთისა ცხოველისა, არცა სუფევა საუკუნო, არამედ საწუთო ესე ამო.

სამკურნალო მინერალური წყლები

ხანგრძლივი გამოცდილებით და კლინიკური დაკვირვებებით დამტკიცებულია, რომ სამკურნალო (მინერალური) წყალი მთელ რიგ ქრონიკულ დაავადებათა დროს მძლავრ თერაპიულ ფაქტორს წარმოადგენს.

მინერალური წყლები მტკნარი წყლები-ისაგან თავისი ქიმიური შედგენილობით, ფიზიკური თვისებებით, ტემპერატურით, გემოთი და სუნით, ფიზიოლოგიური მოქმედებითა და სამკურნალო ეფექტიანობით განსხვავდება.

მინერალური ეწოდება ისეთ წყალს, რომლის ერთ ლიტრში ზომადი მინერალიზაცია (გახსნილ მკვრივ ნივთიერებათა რაოდენობა) უდრის ან აღემატება ერთ გრამს, ანდა მისი ტემპერატურა აღემატება 20 გრადუსს, ან შეიცავს განსაზღვრულ რაოდენობაზე მეტ გაზს, ანდა ამა თუ იმ განსაზღვრულ რაოდენობაზე მეტ ბიოლოგიურად აქტიურ ელემენტს.

წარმოშობის მიხედვით მინერალური წყლები ორ ჯგუფად იყოფა: ზედაპირული და სიღრმისეული.

ქიმიური შემადგენლობის მიხედვით მინერალური წყლების სამედიცინო კლასიფიკაცია ასეთია:

1. ჰიდროკარბონატული (HCO_3) წყლები, რომელშიც სხვა იონებს სჭარბობს HCO_3 ანიონი;
2. ქლორიდული (CL) წყლები;
3. სულფატური (SO_4) წყლები;
4. ნახშირმჟავა (CO_2) წყლები;
5. სულფიდური (H_2S) წყლები;
6. რადონული (რადიაქტიური) წყლები;
7. ბიოლოგიურად აქტიური (FE, AS, BR, I და სხვ. შემცველი) წყლები;
8. აზოტანი, მეთანიანი, კაჟიანი ან ორგანულ ნივთიერებათა შემცველი წყლები;
9. რთული შედგენილობის წყლები. დღეს მოკლედ შევხებით I კლასის მიკუთვნებული მინერალური წყლების სამკურნალო მოქმედების მექანიზმს და მათი მიღების ჩვენებას.

ჰიდროკარბონატული წყლები

ამ ჯგუფის წყლებში ანიონთაგან წამყვანი ადგილი უჭირავს HCO_3 ან-

იონს, ხოლო კათიონთაგან – ნატრიუმს, კალციუმს და უფრო იშვიათად მაგნიუმს. ამის მიხედვით არსებობს ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმიანი, ჰიდროკარბონატულ-კალციუმიანი და ჰიდროკარბონატულ-მაგნიუმიანი წყლები. ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმიანი წყალია მსოფლიოში ცნობილი ბორჯომის მინერალური წყალი. ამ ჯგუფის წყლები ჩვეულებრივ შეიცავს ნახშირორჟანგს (CO_2) გაზს და მათ ნახშირმჟავა წყლებს უწოდებენ.

სოდა, რომელიც აღნიშნული წყლების ძირითადი კომპონენტია, ადვილად შეიწოვება კუჭ-ნაწლავში და ხვდება სისხლსა და ლიმფაში. აქ იგი ანეიტრალებს მჟავე პროდუქტებს და აძლიერებს ორგანიზმის ტუტიანობას.

თუ ბორჯომის წყალს ავადმყოფი მიიღებს ჭამამდე 1-1,5 საათით ადრე, ეს გამოიწვევს კუჭის სეკრეციული ფუნქციის დაქვეითებას, ხოლო თუ ამ წყალს დაღვეთ ჭამამდე 5-10 წუთით ადრე ან საჭმელთან ერთად, მაშინ სეკრეციული ფუნქცია გაძლიერდება. ამიტომ მათ, ვისაც აწუხებს კუჭის ჰიპერაციული (მომატებული მჟავიანობით) გასტრიტი და წყლულოვანი დაავადება, ენიშნებათ I ჩაის ჭიქა, შემთბარი (30-40 გრადუსი), გაზგასული ბორჯომი 3-ჯერ დღეში საჭმლის მიღებამდე 1 – 1-1/2 საათით ადრე.

დაქვეითებული მჟავიანობის შემთხვევაში ბორჯომი ავადმყოფს უნდა მიეცეს იმავე დოზით, ისევე შემთბარი და გაზგასული, მაგრამ 5-10 წუთით ადრე, საჭმლის მიღების წინ ან საჭმელთან ერთად.

კუჭის ნორმალური მჟავიანობით მიმდინარე კატარის დროს ეს წყალი ავადმყოფს ეძლევა 40-45 წუთით ადრე საჭმლის მიღებამდე და ასეთივე რაოდენობით.

სანაღვლე გზების ანთების დროს მინერალური წყალი ავადმყოფს ეძლევა შემთბარი (35-40 გრადუსი) სამჯერ დღეში I ჩაის ჭიქა. ხოლო საშარდე გზების დაავადებების დროს მეტი რაოდენობით (1-1/2 ჩაის ჭიქა 4-5-ჯერ დღეში).

ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმიანი მინერალური წყლებით მკურნალობისათვის ნაჩვენებია შემდეგი დაავადებები:

- 1) ქრონიკული გასტრიტი;



- 2) წყლულოვანი დაავადება;
 - 3) ქრონიკული კოლიტი და ენტეროკოლიტი (ნაწლავების ანთებითი დაავადებები);
 - 4) სანაღვლე გზების და ღვიძლის ქრონიკული ანთებები;
 - 5) ნაღვლ-კენჭოვანი დაავადება;
 - 6) ნივთიერებათა ცვლის დარღვევები – დიაბეტი, პოდაგრა, სიმსუქნე, დიათეზები;
 - 7) საშარდე გზების ქრონიკული ანთებითი პროცესები;
 - 8) ჰიპერტონიული დაავადება, გულის კუნთის სკლეროზულ-დისტროფიული ცვლილებები;
 - 9) ნერვული სისტემის ფუნქციური დაავადებები;
 - 10) ზედა სასუნთქი გზების არატუბერკულოზური ქრონიკული დაავადებები.
- უკუჩვენებებია: პილორუსის სტენოზი (შევიწროება), კუჭის ლორწოვანი გარსის ატროფია (სრული გამოფიტვა, როცა მჟავიანობა ძალიან არის დაქვეითებული), გულის მძიმე უკმარისობა, ფილტვის ტუბერკულოზი.
- ისარგებლეთ ჩვენი ბუნების მიერ ნაბოძები სიმდიდრით, მიწის წიაღიდან ამოსული უებარი მინერალური წყლით – ბორჯომით. სხვა მინერალური წყლების შესახებ ჩვენს მომღვენო ნომრებში გე-საუბრებით.

რჩევები

ახალი წამალი

ქოლესტერიდი -

ქოლესტერინის ბლოკატორი

ადამიანის ჯანმრთელობისათვის დიდი ზიანი მოაქვს სისხლში ქოლესტერინის მაღალ დონეს. ქოლესტერიდი წარმოადგენს ნატურალურ კომპონენტებზე დამზადებულ პრეპარატს, რომელიც ამცირებს ქოლესტერინის შემცველობას კვებისა და ცხოვრების ჩვეული რეჟიმის შეცვლის გარეშე. ეს პრეპარატი:

- აგარიდებთ სისხლძარღვთა ათეროსკლეროზს, ინფარქტს, ინსულტს.
- ამცირებს ქოლესტერინის დონეს კუჭ-ნაწლავის ტრაქტში მისი შერჩევითი შეკავშირების გზით.
- წარმოადგენს ნატურალურ კვებით დანამატს გვერდითი მოქმედებების გარეშე.

რბილი ქსოვილების დახურული დამიანებები ამოვარდნილობა

ამოვარდნილობა ეწოდება სახსარში შემავალი ძვლების ერთმანეთისაგან დაც-



ილებას ნაწილობრივ ან მთლიანად. ძვლების მთლიანი დაცილების დროს გვაქვს სრული ამოვარდნილობა, ხოლო ნაწილობრივის დროს - არასრული. ამოვარდნილობა შეიძლება იყოს თანდაყოლილი და შექმნილი. შექმნილი ამოვარდნილობა თავის მხრივ იყოფა პათოლოგიურ და ტრავმულ ამოვარდნილობად.

ტრავმული ამოვარდნილობა გარეგანი, არაპირდაპირი ტრავმის შედეგია (მა-

გალითად მხრის ამოვარდნილობა გაჭიმულ ხელზე ვარდნის შედეგად). შინაგანი ძალით გამოწვეულ ამოვარდნილობას იწვევს კუნთების მძლავრი შეკუმშვა (პირის გაღების ან დამთქნარების დროს ქვედა ყბის ამოვარდნილობა), რომლის დროსაც გასათვალისწინებელია იოგოვანი აპარატის თანდაყოლილი ან შექმნილი სისუსტე. ყურადსაღებია ჩვეული ამოვარდნილობა, როდესაც სახსრის იოგოვანი აპარატი იმდენად მოღუნებულია, რომ უმნიშვნელო ძალასაც კი შეუძლია ამოვარდნილობის გამოწვევა, მაგალითად, ასეთია ხელის მოქნევის დროს მხრის ამოვარდნილობა ან პირის ფართოდ გაღებისას ქვედა ყბის ამოვარდნილობა. ასეთი ამოვარდნილობის ჩაყენება რთული არ არის.

ამოვარდნილობის კლინიკური ნიშნებია: სახსრის ფორმის შეცვლა, კიდურის იძულებითი, ცალკეული ამოვარდნილობისთვის დამახასიათებელი მდებარეობა, მოძრაობის მკვეთრი შეზღუდვა და ძლიერი ტკივილი.



ნუ გარეცხავთ ჭურჭელს სარეცხი ფხვნილით

● სარეცხი ფხვნილები რამდენიმე სახის ქიმიურ ნივთიერებას შეიცავს, მათ შემადგენლობაში შედის, ე.წ. ზედაპირულად აქტიური ნივთიერებები, რომელიც კარგად ქაფდება და ჭუჭყსა და ცხიმს ამორებს. მაგრამ სპეციალური გამოკვლევებით დადგინდა, რომ ამ შენაერთებს სერიოზული ნაკლი აქვს: ის ძნელად სცილდება. მაგალითად, ზედაპირულად აქტიური ნივთიერება სულფანოლ ნპ-1, რომელსაც ყველაზე ხშირად იყენებენ, ნახევრადფხვნილით გარეცხილი თევზების, ჭიქებისა და

ქვების მერვედ, მეცხრედ გამოცვლილ წყალში. მეთერთმეტე გავლების შემდეგ ერთ ლიტრ წყალში აღმოჩნდა 2,1 მგ სულფანოლ ნპ-1, ხოლო ალუმინის ქვების გარეცხვისა და გავლების შემდეგ მერვედ და მეცხრედ გამოცვლილ წყალში სულფანოლ ნპ-1 იყო 3,8 და 3,7 მგ რაოდენობით.

ეს ნიშნავს, რომ ჩაის, სადილისა და სამზარეულოს ჭურჭლის გასარეცხად სარეცხი ფხვნილების ხმარება დაუშვებელია.

● ბოსტნეულის კერძებს ხშირად ნუ მოურევთ, ქვაბი მხოლოდ დროდადრო შეანჯღრიეთ, ქვაბი ძირზე არ მიიწვას. ხარშვისას ქვაბს სახურავს ნუ ახდით, თორემ ჰაერში შემავალი ჟანგბადი ვიტამინებს შლის.

● კერძები უმჯობესია შევკაზმოთ არა ლიმონის ან ღვინის სიმჟავით, არამედ პამიდურის წვენი ან ტყემლით, ანდა ისრიმით (მკვანე ყურძნის წვენი). ეს წვენები გამზადებულ კერძებს კიდევ უფრო ამდიდრებს ვიტამინებით.

● საჭმელი სოდა (ნატრიუმის ბიკარბონატი), რომელსაც ხანდახან კერძში უმატებენ, რომ ბებერი საქონლის ხორცი ან ლობიო ადრე მოიხარშოს, ვიტამინებს შლის.

● თუ წვნიანს კვერცხით აზავებთ და გეშინიათ, კვერცხი არ აგეჭრათ, გათქვეფის დროს ჩაუმატეთ რამდენიმე წვეთი ლიმონის წვენი ან ცოტა მაწონი. ასეთი წვნიანი უფრო გემრიელიც იქნება.

● თუ ზეთისხილის დიდხანს შენახვა გვსურს ისე, რომ გემო არ დაკარგოს, ერთი საათით უნდა მოვათავსოთ ცივ წყალში. შემდეგ წყალს გადავაქცევთ. ზეთისხილს ქილაში ჩაყვრით, შიგადაშიგ ჩაუმატებთ ლიმონის ნაჭრებს და მოვასხამთ მშვესუშვირის ზეთს. ზეთისხილი სასიამოვნო არომატს მიიღებს, წვნიანი და ნოყიერი იქნება.

● სამზარეულოში უსიამოვნო სუნის გაქრება, თუ იქ ლიმონის ან ფორთოხლის გამხმარ ქერქს დავწვავთ.

● თუ პლასტმასის ქილაში ყველს ან ხახვს ინახავდით და არასასიამოვნო სუნის შერჩა, გამოავლეთ სოდიანი წყალი, სუნის მამინვე გაქრება.

● ნაქარგები და არშიები უკუღმა პირიდან დააუთოეთ, რომ ნახატი ამობურცული დარჩეს.

● თუჯის ნივთებს რომ პეწი დაუბრუნდეს, გაწმინდეთ შუაზე გაჭრილი ხახვით, შემდეგ კი ზეთში დასველებული სუფთა ნაჭრით გააპრიალეთ.

კითხვა



პასუხი

ტუბერკულოზი კაცობრიობისათვის ცნობილი უძველესი დაავადებაა. მის შესახებ ცნობებს ჯერ კიდევ ძველეგვიპტურ მანუსკრიპტებში ვხვდებით. დღეისათვის ტუბერკულოზი ყოველწლიურად კლავს 3 მილიონამდე ადამიანს — უფრო მეტს, ვიდრე შიდა, მალარია და ყველა სხვა ინფექციური დაავადება, ერთად აღებული. სამწუხაროდ, ამჟამად ტუბერკულოზის ებიდემიის გაფართოება შეინიშნება. ამიტომაც გთავაზობთ კრებით ინტერვიუს ამ დაავადებასთან დაკავშირებულ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე.

— როგორ გადაეღება ადამიანს ტუბერკულოზი?

— ტუბერკულოზი ჰაერწვეთოვანი გზით გადაეღება, მაგრამ ინფიცირებულ ადამიანთა მხოლოდ ნაწილი ავადდება, ხოლო უმრავლესობა ჯანმრთელი რჩება, რადგან მათი იმუნური სისტემა ეწინააღმდეგება ტუბერკულოზის მიკრობაქტერიის გამრავლებას. ამ დაავადების გამომწვევი შეიძლება, ორგანიზმში ჩაბუდებული იყოს წლების განმავლობაში ისე, რომ არ მიაყენოს მას რაიმე ზიანი, მაგრამ როგორც კი დაქვეითდება დამცველი ძალები, ბაქტერია გააქტიურდება და გამოიწვევს დაავადებას. ამას ხელს უწყობს სტრესი, არასრულფასოვანი კვება, ცხოვრების პირობების გაუარესება. იმუნიტეტი ასაკთან ერთად სუსტდება, ამიტომ ინფიცირებული ადამიანი შეიძლება რამდენიმე წლის შემდეგ, ხანდაზმულ ასაკში დაავადდეს.

— რა ნიშნებმა შეიძლება დაგვაჩვენოს, რომ გვაქვს ტუბერკულოზი?

— ეს ნიშნებია: ადვილად დაღლა, სისუსტე, მადის დაქვეითება, ოფლიანობა, ქოშინი ფიზიკური დატვირთვის დროს, სხეულის ტემპერატურის უმნიშვნელო მომატება, ხველა — მშრალი ან ნახველიანი, ზოგჯერ სისხლის მინარევით. დროულად გამოვლენილი სენი მთლიანად შეიძლება განიკურნოს, ხოლო მძიმე, მიუხედავად ფორმის დროს, მკურნალობა წლების მანძილზე გრძელდება და ყოველთვის არ იძლევა შედეგს.

— ჩემი კარის მეზობელი დაავადებულია ტუბერკულოზით. მყავს პატარა ბავშვი, საშიშია თუ არ არის?

— ტუბერკულოზით დაავადებულებს სამკურნალო დაწესებულებიდან უშვებენ მხოლოდ მაშინ, როცა მისი სენი გადამდები არ არის. თქვენი ბავშვი შესაძლოა დაინფიცირდეს, თუ მეზობელი სახეში მიახველებს. უნდა ერიდოთ ახლო კონტაქტს.

— გამიგონია, რომ ტუბერკულოზის ზუსტი სადიაგნოსტიკო მეთოდია ნახველის ბაქტერიოლოგიური ანალიზი. მაშ, რა აზრი აქვს ფლუოროგრაფიის გაკეთებას?

— ფლუოროგრაფია (რენტგენოლოგიური გამოკვლევა) იძლევა ტუბერკულოზის ადრეული სტადიის დიაგნოსტიკის შესაძლებლობას, ხოლო ნახველის ბაქტერიოლოგიური ანალიზი

იზი ადასტურებს დიაგნოზს.

— გაზეთში ნაფიქსირებულ, რომ ბევრი გამყიდველი ბაზრობაზე დაავადებულია ტუბერკულოზით. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ საშიშია ბაზრობაზე პროდუქტების შეძენა?

— ხანმოკლე კონტაქტი იშვიათად იწვევს ტუბერკულოზის გადაღებას, თუ არ ჩავთვლით იმ შემთხვევას, როცა ადამიანი დასუსტებულია ან უკვე დაავადებულია რაიმე ინფექციური სნეულებით. და მაინც, გირჩევთ, პროდუქტი შეიძინოთ ცივილიზებულიად მოწყობილ ბაზრობებზე, მაღაზიებში, კარგად განიავებად, ნათელ ადგილებზე. მიკრობაქტერიები შვის სხივების ზემოქმედებით იხოცება. ასევე მოქმედებს მათზე ალულება და მალეზინფიცირებელი საშუალებები. ჩვენს ბაზრობებზე ხშირ შემთხვევაში, ირლვევა ჰიგიენის ელემენტარული ნორმები. ამასთან, დაავადებულთა დიდი ნაწილი, თქვენთვის ცნობილი მიზეზების გამო, დაავიანებით მიდის ექიმთან და ამიტომ, ბევრმა ავადმყოფმა არც კი იცის, რომ ავადაა. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ავადმყოფები თვითნებურად ტოვებენ საავადმყოფოს ვაღაზე ადრე და ისინი საშიში არიან გარემომყოფთათვის. ნუ ატარებთ თან ბავშვებს დახუთულ ბაზრობებზე, რადგან მათი გაუკაჟებელი იმუნიტეტი ყოველთვის ვერ აღუდგება წინ ინფექციას.

— მართალია თუ არა, რომ განიდა ტუბერკულოზის ნამლის მიმართ მდგრადი ფორმები, რომელიც არ ემორჩილება არანაირი პრეპარატი მკურნალობას?

— ნამდვილად არსებობს ასეთი ფორმები. მდგრადი შტამები უვითარდებთ იმ ავადმყოფებს, რომლებიც არარეგულარულად მკურნალობენ. უმჯობესია, საერთოდ არ იმკურნალოთ, ვიდრე დაიწყოთ და არ დაამთავროთ მკურნალობის სრული კურსი. პრობლემა ის არის, რომ ავადმყოფთა დიდი ნაწილი სწორედ ასე იქცევა. შემდეგ ამ მდგრადი შტამებით ისინი სხვებს აინფიცირებენ. დაავადების ასეთი ფორმის მკურნალობა გაცილებით რთულია და ხშირად ცუდად მთავრდება. და მაინც, ექიმი ეძებს ინდივიდუალურ მიდგომას თითოეულ პაციენტთან. კეთდება ნახველის ანალიზი სხვადასხვა ანტიბიოტიკის მიმართ მგრძობილობაზე და შეირჩევა ყველაზე ეფექტური პრეპარატი. თუ ავადმყოფს სურს მკურნალობა და გაითვალისწინებს ექიმის ყველა რეკომენდაციას, ის აუცილებლად გამოჯანმრთელდება.

— როგორია მკურნალობის თანამედროვე მეთოდები?

— ავადმყოფს უნიშნავენ კომბინირებულ თერაპიას — 3-5 პრეპარატს ერთდროულად, რადგან ერთი პრეპარატი მკურნალობა (მონოთერაპია) არაეფექტურია: ტუბერკულოზის მიკრობაქტერიები ძალიან სწრაფად გამოიმუშავებს მდგრადობას წამლის მიმართ და მასზე აღარ რეაგირებს. მკურნალობის ორთვიანი კურსის შემდეგ ამოწმებენ ნახველს. თუ აღინიშნა გაუმჯობესება, მაშინ იცვლება თერაპიული გეგმა — მცირდება წამლების დოზები. თუ ავადმყოფს ნახველში არ აქვს მიკრობაქტერიები, მისი დაავადება არ არის გადამდები და იგი არ არის საშიში გარემომყოფთათვის, ამიტომ არ არის აუცილებელი ავადმყოფის იზოლაცია, საკმარისია მან მხოლოდ მიიღოს დანიშნული წამლები და რეგულარულად მიაკითხოს ექიმს. დაუშვებელია მკურნალობის დროზე ადრე შეწყვეტა — ამან შეიძლება გამოუსწორებელ მდგომარეობამდე მივიყვანოთ.



ქრისტიანული ერის ორი ათასწლეულის მანძილზე დედამიწის მოსახლეობა მეოთხედი მილიონიდან 6 მილიარდ კაცამდე გაიზარდა. დღეს, როგორც კი დაიწყებენ ლაპარაკს დემოგრაფიულ აფეთქებასა და ბუნებრივი რესურსების შემცირებაზე, კეთილი სიტყვით ან აუგად მოიხსენიებენ ადამიანს, რომელიც ამ მდგომარეობას სხვებზე ადრე ქვრივდა. ეს ადამიანია ინგლისელი ეკონომისტი თომას მალტუსი. მისი სახელი ორი ასეული წელია, საყოველთაოდ არის ცნობილი, მალტუსის უმთავრესმა ნაშრომმა — „ქვეყნის მოსახლეობის კანონის გამოცდილება“ ეკონომიკური მეცნიერებისა და დემოგრაფიის განვითარებისთვის არანაკლები როლი შეასრულა, ვიდრე ნიუტონის „ნატურალური ფილოსოფიის მათემატიკურმა სანყისებმა“ — მათემატიკის და დარვინის „სახეობათა წარმოშობამ“ — ბიოლოგიის განვითარებაში.

demografiuli mesangre

... თქვენი დემოგრაფიული პოტენციალი!

პირველი პოლიტიკონომი

გამოჩენილი ეკონომისტები ინგლისს მალტუსამდეც ჰყავდა — საკმარისია დავასახელოთ თუნდაც ადამ სმიტი. მაგრამ სმიტს „მორალური ფილოსოფიის“ (სხვაგვარად რომ ვთქვათ — ეთიკის) პროფესორის თანამდებობა ეკავა, მალტუსი კი პირველი ბრიტანელი პოლიტიკონომი გახდა. უფრო მეტიც — სწორედ მან დაუდო სათავე მთელ ამ სამეცნიერო დისციპლინას.

თომას რობერტ მალტუსი 1766 წლის 13 თებერვალს, ქალაქ ღორკინგის (სურეის საგრაფო) მახლობლად დაიბადა. მამამისი სრულიად გამორჩეული პიროვნება იყო: სხვადასხვა მეცნიერებაში მოღვაწეობდა, თავისი დროის თვალსაჩინო მოაზროვნეებთან — ლევიდ ჰიუმთან და ჟან-ჟაკ რუსოსთან მეგობრობდა. სწორედ რუსო იყო საშინაო განათლების მომხრე, დენიელ მალტუსმაც, რომელიც ფრანგი მოღვაწის დიდი თაყვანისმცემელი იყო, გადაწყვიტა, რომ შვილისთვის კერძო მასწავლებელი დაეჭირა. ეს მისია ადგილობრივი, მომცრო კოლეჯის რექტორმა იკისრა. შემდეგ, თომასმა, მშობლიურ ქალაქთან ახლოს მდებარე კემბრიჯის ერთ-ერთ სასწავლებელში — JESUS COLLEGE-ში განაგრძო სწავლა.

სწორედ კემბრიჯში გამოძვლავნდა

დემოგრაფიის მომავალი ფუძემდებლის გამორჩეული შესაძლებლობანი. ის საუცხოოდ დაუფლა ლათინურ და ბერძნულ ენებს (რისთვისაც დიპლომებით დაჯილდოვდა), დიდ წარმატებებს მიაღწია ლიტერატურისა და ისტორიის ათვისებაში, დაბოლოს — მათემატიკაში (თანატოლებმა მეტსახელად „მრიცხველიც“ კი შეარქვეს). გარდა ამისა, თომასი აქტიურად მისდევდა სპორტს (კრიკეტს, ციგურებს, ცურვას, სროლას). სწავლის დასრულებისთვის კი თომასი იმდენად გაიტაცა რელიგიამ, რომ დიპლომის დაცვისთანავე სასულიერო წოდება მიიღო.

კემბრიჯში მალტუსი სამსახურს ვერ იშოვიდა — ამაში მეტყველების თანდაყოლილი დეფექტი უშლიდა ხელს, რომელიც ახალგაზრდა მღვდელს გამართულად ქადაგების საშუალებას არ აძლევდა. მას წყნარი სოფლის მრევლი ჩააბარეს, რომელსაც მამისეულ სახლს სულ რამდენიმე კილომეტრი აშორებდა. ეს სოფელი ინგლისში წლების მანძილზე, მოსახლეობის რეკორდული ზრდით გამოირჩეოდა. მართალია, საეკლესიო სტატისტიკა მხოლოდ მონათლულ და გარდაცვლილ ქრისტიანთა რაოდენობას აღრიცხავდა და არა ფიზიკურად დაბადებულ და იმქვეყნად წასულ ადამიანებს, ამასთან, მის სიზუსტეშიც შეიძლება ეჭვის შეტ-

ანა, მაგრამ მაინც, მალტუსის ცხოვრების გარემოებებს თუ გავითვალისწინებთ, ადგილობრივი დემოგრაფიული ბუმის ამბავი ფრიად სიმბოლური ჩანს...

წლების შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, მალტუსმა მაინც მიიღო მასწავლებლის ადგილი თავის ALMA MATER-ში, მაგრამ კოლეჯში ხშირად არ დადიოდა, დაოჯახების შემდეგ კი, 1804 წელს სულაც წავიდა კემბრიჯიდან. მომდევნო წელს კი, უკვე არა მარტო ინგლისში, არამედ კონტინენტზე ცნობილი 39 წლის მეცნიერი, ისტორიისა და პოლიტიკური ეკონომიის პროფესორის თანამდებობაზე, მისთვის საგანგებოდ შემოღებულ პოსტზე ქალაქ ჰელიბერიში მოქმედმა ვესტ-ინდოეთის კოლეჯმა მიიწვია. სწორედ იქ იღვაწა თომას მალტუსმა სიცოცხლის ბოლო დღემდე.

ის 1834 წლის 29 დეკემბერს გარდაიცვალა — საშობაო ზეიმზე საკურორტო ქალაქ ბატში ნათესავეებთან ვიზიტისას გაცივდა. სამეფო საზოგადოების წევრი, პარიზის, ბერლინის, პეტერბურგისა და მრავალი სხვა აკადემიის წევრი, ევროპულ მეცნიერთაგან ყველაზე ცნობილი და ავტორიტეტული მეცნიერი, იქვე დაკრძალეს.

მალტუსის საფლავის ქვაზე ეპისკოპოსმა ოტერმა ასეთი წარწერა გააკეთებინა: „მან განვლო სუფთა და ბედნიერი ცხოვრება, რომელიც მთლიანად

მიეძღვნა ჭეშმარიტების ძიებასა და გავრცელებას და გავჯერებული იყო მშვიდი, მაგრამ მტკიცე რწმენით იმისა, რომ სასარგებლო საქმეს აკეთებდა“.


რეაქციული პროგრესიები

თომას მალტუსის მთავარი ნაშრომი ქვეყნის მოსახლეობის თეორიის ესეე წარმოადგენს. როგორც ბიოგრაფები ამტკიცებენ, ის მეცნიერის მამასთან ცხარე კამათის შემდეგ დაიწერა: დენიელ მალტუსი იცავდა რუსოსაგან ნასესხებ თეორიას „სრულყოფილი საზოგადოების“ არსებობის შესაძლებლობის შესახებ, რომელშიც მხოლოდ „გაუმჯობესებული“ ადამიანები იცხოვრებდნენ. თომას მალტუსი კი, რომელიც ყველაზე მეტად ფაქტებს უწევდა ანგარიშს, მამის ყველა საპოლემიკო შეხუდელებას ანგრევდა და ციფრებით ოპერირებდა. შვილის არგუმენტაცია იმდენად შთამბეჭდავი და დამარწმუნებელი აღმოჩნდა, რომ მამამ ურჩია, ეს ყველაფერი ქალაქში გადაეტანა.

წიგნის – „ქვეყნის მოსახლეობის გამოცდილებისა და იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებს იგი საზოგადოების მომავალ სრულყოფაზე, ბ-ნი გოლდინის და მარკიზ დე კონდორსესა და სხვა ავტორების იდეებთან დაკავშირებით გამოთქმული შენიშვნებითურთ“ – პირველი გამოცემა ანონიმურად, 1798 წელს გამოვიდა. ხუთი წლის შემდეგ, ის მეორედ გამოიცა და შევსებული – თითქმის ორჯერ გაზრდილი სახე მიიღო: მალტუსმა მას ნორვეგიაში, ფინეთში, შვედეთსა და რუსეთში მოგზაურობის დროს დაგროვილი მასალა შემატა. მეცნიერი იკვლევდა ისეთ მოვ-

ლენებს, როგორებიცაა ცხოვრების დონე, მედიცინის მდგომარეობა, სურსათის ფასები, ამავე დროს ის, თუ როგორ მოქმედებდა ამ ყველაფერზე ადგილობრივი კანონმდებლობა, ომი, კლიმატი და ა.შ.

დაგროვილი მონაცემების შესწავლისა და სისტემატიზების შედეგად, მალტუსმა მთავარი და საკმაოდ სამწუხარო დასკვნა გამოიტანა: იდეალური – ე.ი. ომების, სნეულების, მომქანცველი შრომის, სოციალური უთანასწორობის გარეშე არსებული იდეალური საზოგადოების შექმნის ოცნება, რომლისკენაც მუდამ ისწრაფოდა კაცობრიობა, მიუწვდომელია. ამის მთავარ მიზეზად კი, მალტუსს კაცთა მოდემის სრულყოფილების მიღწევის შეუძლებლობა მიანდა: თვით ადამიანის ბუნება უბიძგებს მას, გაუმდებთ შობოს თავისნაირები, რის გამოც კაცობრიობა დაუსრულებლად განიცდის სურსათისა და არსებობისთვის სხვა აუცილებელ საშუალებათა ნაკლებობას. სხვადასხვა ქვეყნის (მათ შორის ყველაზე ახალგაზრდა სახელმწიფოს – აშშ-ის) მონაცემების შედეგად გაკეთებული სტატისტიკური გამოთვლები ადასტურებდა, რომ მოსახლეობა – თუმის თავისუფალ კვლავწარმოებას არ უშლი ხელს, – ყოველ 25 წელიწადში ორმაგდება, რაც გეომეტრიული პროგრესით მის ზრდას ნიშნავს. ამავე დროს, სიცოცხლის შესანარჩუნებლად



მალტუსი პირველი იყო, ვინც შეამჩნია, რომ დედამიწა უფრო და უფრო ვიწროვდება; მისი დასკვნის სისწორეს დღემდე ადასტურებს სტატისტიკა

საჭირო რესურსები მხოლოდ არითმეტიკული პროგრესიით იზრდება.

სწორედ მალტუსის ეს უკანასკნელი დასკვნა იყო მცდარი. თუმცა, საიდან უნდა სცოდნოდა XX საუკუნის მიღწევების შესახებ? არადა, მეცნიერის სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ თავად, თავის „არითმეტიკულ პროგრესიას“ არა მეცნიერულ აღმოჩენად, არამედ მხოლოდ გონივრულ ვარაუდად და იმ სასტარტო საზომად მიიჩნევდა, რომელსაც გამუდმებით ესაჭიროება კორექტირება.

სამაგიეროდ, მისი ზოგადი დასკვნა, „მოსახლეობა–არსებობის საშუალებები“-ს დისბალანსის შესახებ აბსოლუტურად სწორია. და მაინც, დისკუსია მალტუსის იდეების ირგვლივ, რომელიც ზოგჯერ „რეაქციული მალტუზიანიზმის“ კრიტიკაში გადადიოდა, ორი ასეული წელიწადი გაგრძელდა.

როცა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ გამრავლებით, კაცობრიობა საკუთარ თავს უთხრის სამარეს, მეცნიერმა დასვა კითხვა – არსებობს თუ არა მოსახლეობის ზრდის შემზღუდავი მექანიზმები, და თავადვე უპასუხა დადებითად: ასეთი მექანიზმები საყოველთაოდ არის ცნობილი, ეს არის ომები, ბუნებრივი კატაკლიზმები, ეპიდემიები, სიდ-

კემბრიჯის დამთავრების შემდეგ ის მღვდელი შეიძლება გამხდარიყო, მაგრამ ამაში მეგყველების თანდაყოლილმა დეფექტმა შეუშალა ხელი





დროთა განმავლობაში მალტუსის სახე, მისი იდეების დარად, ძალზედ საგრძნობლად შეიცვალა: წესიერი კათოლიკე და სერიოზული მეცნიერი კარიკატურის პერსონაჟად აქციეს

ატაკე, ადამიანის სხვადასხვაგვარი ცოდვა და სხვა ამგვარი.

მაგრამ მალტუსი ამას უემოციოდ როდი ამტკიცებს – პირიქით, ის სიმწრით ლაპარაკობს ამ მოვლენებზე, როგორც ეს ღვთისმსახურს შეეფერება. სამწუხაროა, რომ მხოლოდ დასახელებული ფაქტორები აკავებდა მოსახლეობის ზრდას, მაგრამ გაცილებით სამწუხარო იქნებოდა, კაცობრიობა მხოლოდ ამგვარ დაბრკოლებათა იმედად რომ ყოფილიყო და არ ეფიქრა სხვა საშუალებებზე.

ორსულობისგან ხელოვნურად თავის დაღწევა და, მით უმეტეს, მისი შეწყვეტა, მეცნიერი მღვდელმსახურისთვის ყოველად მიუღებელი იყო. ამიტომაც, შემთხვევითი არ არის, რომ კონტრაცეფცია მალტუსს ცოდვათა ჩამონათვალში აქვს შეტანილი. თავისი წიგნის მეორე გამოცემაში მას შემოაქვს ტერმინი, რომელიც რევოლუციურია როგორც იმ დროს გაბატონებული აზროვნების, ასევე თვით მალტუსის რელიგიური შეხედულებებისათვის: „მორალური შეზღუდვა“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ლაპარაკია ადამიანის ბიოლოგიური საწყისის ნაწილობრივ დათრგუნვაზე, რომელიც მომავალი თაობების წინაშე აღებულ პასუხისმგებლობას ნიშნავს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ საქმე არ შემოიფარგლება მხოლოდ

კონკრეტული ინდივიდის მორალური პასუხისმგებლობით – ლაპარაკია სახელმწიფოს ინსტიტუტები. დღევანდელი ტერმინოლოგიით, ამას დემოგრაფიულ პოლიტიკას ვუწოდებდით – არადა, მის გატარებაზე უდიდესმა სახელმწიფოებმა მხოლოდ XX საუკუნის დამლევისთვის დაიწყეს ფიქრი.

ღარიბთათვის დახმარების განვების მავნებლობის შესახებ

დასახელებულის გარდა, მალტუსს უამრავი სხვა ნაშრომი ჰქონდა, რომელიც ეკონომიკის საკითხებს იკვლევდა. სწორედ მან გამოიგონა ტერმინი „ფექტიანი მოთხოვნა“: მასვე ეკუთვნის ეკონომიკური კრიზისის პერიოდში საზოგადოებრივი სამუშაოს ორგანიზების იდეა. მდიდრებსა და ღარიბებს შორის ნაპრალის ზრდის თემაზე ჩატარებული კვლევა ბევრად უსწრებდა სხვა ცნობილი მეცნიერის – ჯონ კეინსის ნაშრომებს.

განსაკუთრებული ადგილი (ჯერ კიდევ მეცნიერის სიცოცხლეში), ცხადია, ქვეყნის მოსახლეობის მისეულ თეორიას უკავია, რომლის საფუძველზეც მალტუსიანელებად წოდებულ ეკონომისტთა მთელი სკოლა ჩამოყალიბდა. ინგლისელი მეცნიერის მიერ გაკეთებულ დასკვნებს გასაოცარი წარმატება ჰქონდა. ბუნებრივია, ყველაზე დიდი გავლენა მის შეხედულებათა იმ ნაწილმა მოახდინა, რომელიც სხვადასხვაგვარ პოლიტიკურ ძალებს სჭირდებოდა, თანაც იმდენად, როგორც ეს მათთვის იყო ხელსაყრელი: ბევრ პოსტულატს ცალმხრივად იყენებდნენ, ზოგჯერ კონტექსტიდან ამოგლეჯდნენ ან კიდევ, სულაც „ამოატრიალებდნენ“...

ეკონომიკა რომ გვერდზე გადავდოთ, მალტუსის იდეებმა უდიდესი ზეგავლენა მოახდინა ჩარლზ დარვინზე: ბიოლოგიის ფარგლებში, მისი დასკვნები დიდი მეცნიერის მთავარ დასკვნას ამტკიცებდა – ევოლუციის მამოძრავებელი ძალა ბუნებრივი გადარჩევის პროცესშია.

რაც შეეხება ეკონომიკას, თანდათან სულ უფრო პოპულარული გახდა აზრი (რომელსაც ასევე მალტუსს მიაწერენ), რომლის თანახმად, ღარიბთათვის დახმარების გაწევა არა მარტო ეკონომიკურად წამგებიანი, არამედ ამორალურიც კია: მათი მდგომარეობის ოდნავი გაუმჯობესებაც ზომ გამარავლებას უწყობს ხელს, დატაკთა შვილები კი, ისევ საარსებო საშუალებათა დეფიციტს წააწყდებიან და კვლავ დატაკები იქნებიან...

გასულ საუკუნეში მალტუსის თეორიას, სწორად, მტკიცე კაცთმოძულის, სოციალ-დარვინისტიკისა და ლამისაა, კაციჭამიის მიერ შექმნილ თეორიას ეძახდნენ. მაგალითად, 1948 წლის მსოფლიო კონგრესზე გამოსვლისას, მომავალმა ნობელის პრემიის ლაურეატმა ბოიდ-ორმა განაცხადა, რომ მალტუსი ბავშვთა სიკვდილიანობის აღმოსაფხვრელ ზომებს ეწინააღმდეგებოდა და მოსახლეობის უღატაკესი ფენებისათვის დახმარების ნებისმიერ ფორმას დაუშვებლად მიიჩნევდა – არადა, მსგავსს ვერაფერს ამოიკითხავთ მის ნაშრომებში.

ბუნება ადამიანის წინააღმდეგ

მართალი იყო მალტუსი თუ ცდებოდა, მეცნიერების განვითარებისთვის მისი მთავარი ნაშრომის მნიშვნელობა ძალზედ დიდია. მიუხედავად მისი იდეებისადმი დამოკიდებულებისა, ისინი დღეს არსებულ ეკონომიკურ თეორიათა განუყოფელ ნაწილად რჩება, – თუნდაც ინგლისელ მეცნიერთან შემდგომი პოლემიკის საბაზს რომ წარმოადგენდეს. მისი დასკვნები, თავი რომ დავანებოთ კონკრეტულ გამოთვლებს, მთელი ორი ასეული წლის მანძილზე, ზედმეტი ეკონომიკური ოპტიმიზმისათვის გონივრულ და სასარგებლო „მუხრუჭს“ მაინც წარმოადგენს.

ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ ბოლომდე ვერ შეიტყო თავის გამოთვლებში დაშვებული შეცდომების – კერძოდ, იმის შესახებ, რაც ბუნებრივი რესურსების ამოწურვის სისწრაფეს შეეხებოდა. ძალიანაც რომ ნდომებო-

და, ვერ წარმოიდგენდა, რა შეიძლებოდა კაცობრიობას გამოეგონებინა და კიდევ გამოეგონებს შიმშილის პრობლემის გადასაჭრელად: ტრანსგენური დანამატები, ინკუბატორები, ცხოველთა ახალი სახეობები, „მწვანე“ რევოლუცია, კლონირება და სხვა ამგვარი.

ამავე დროს, მალტუსი იმასაც ვერ წარმოიდგენდა, თუ რა ახალ პრობლემებს წარმოშობდა ახალი ტექნოლოგიები, რომელიც ძველი პრობლემების გადასაწყვეტად იქმნებოდა. ღრმად რომ ჩავუფიქრდეთ, ისეთი ფაქტორები, როგორცაა გარემოს დაბინძურება, მთელი ბიოლოგიური სახეობების გაქრობა, გენეტიკური დაავადებები, პლანეტის კლიმატის შეცვლა, შიდა, რადიოაქტიური დაბინძურება, ნარკომანია, ავიაკატასტროფები, გლობალური ეკონომიკური კრიზისები, – ეს ყველაფერი, ისევე მალტუსის მთავარი დასკვნის დასამტკიცებელი წონადი არგუმენტია.

ასეა თუ ისე, ის პირველი იყო, ვინც მიხვდა: პლანეტის რესურსები უღევი არ არის. და თუ კაცობრიობა არ დაიოკებს ბუნების ფეხქვეშ გათელვის სურვილს, ამას თვით ბუნება მოიმოქმედებს...


დღეს ხშირად იმეორებენ მალტუსის გამაფრთხილებელ წინასწარმეტყველებებს – მაგალითად, ასეთს: „შორს აღარ არის დრო, როცა გამრავლებული კაცობრიობა სურსათის ფატალური დეფიციტის წინაშე აღმოჩნდება და საკუთარ გამოკვებას ვეღარ შეძლებს“ – ამ ეფექტურ ადგილას, ჩვეულებრივ, ციტატას წყვეტენ, არადა, ავტორი თავის მსჯელობაში გაც-

ილებით შორს მიდის და მოსახლეობის მზარდი მატების შესახებ გვეუბნება: „პერიოდულ სიძნელეთა ეს მუდმივი მიზეზი კაცობრიობის ისტორიის დამდეგიდან არსებობდა, არსებობს ახლაც და იარსებებს მუდამ, თუ რაღაც გზით არ შეიცვალა ადამიანის ბუნების ფიზიკური კონსტიტუცია“.

განსაკუთრებით საგულისხმოა მისი დასკვნითი აზრები: „ქვეყანაზე ბოროტება იმისთვის კი არ არის გაბატონებული, რომ ჩვენ სასოწარკვეთას მივცევთ, არამედ იმისთვის, რომ ჩვენს აქტიურობას მისცეს სტიმული. სულაც არ უნდა დავმორჩილდეთ მას, პირიქით – ყველაფერი უნდა გავაკეთოთ საიმისოდ, რომ თავი დაავადწიოთ ბოროტებას. ეს არა მარტო თითოეული ინდივიდის პირადი სარგებლობისთვის არის საჭირო – ეს მისი ვალია, რომლის მიხედვით მოგვეთხოვება, განვდევნოთ ბოროტება, რაღაც არ უნდა დაგვიჯდეს, უპირველესად საკუთარი სულიდან, და ამ საქმეში რაც შეიძლება მეტი ადამიანი ჩავითრიოთ. და რაც უფრო მეტს იღვწის ადამიანი ამ ვალის აღსასრულებლად, მით უფრო ბრძნულად იქცევა და, შესაბამისად, მეტ წარმატებასაც აღწევს“.

საგულისხმოა, რომ მალტუსის ორივე ვაჟიშვილი დაოჯახებული იყო, მაგრამ შთამომავლობა არ დატოვა, ქალიშვილი კი 17 წლის ასაკში გარდაიცვალა. როგორც მალტუსის ერთ-ერთმა ბიოგრაფმა აღნიშნა, მოსახლეობის თეორიის შემქმნელი ამგვარად, იმ პრინციპების ერთგული დარჩა, რომელსაც თავის წიგნში გადმოსცემდა: მინიმუმამდე დაიყვანა დემოგრაფიულ აფეთქებაში თავისი მონაწილეობა...

„ყველაფერი უნდა გავაკეთოთ საიმისოდ, რომ თავი დაავადწიოთ ბოროტებას“, – მალტუსის ამ სიტყვებს თანამედროვე GREENPEACE-ის აქტივისტებიც მოაწერდნენ ხელს...



1911 წელს აკაკი წერეთელი პეტერბურგს ეწვია. იმ დროს, ქართველ სტუდენტობას ტრადიციად ჰქონდა სალამოს მოწყობა ღვაწლმოსილ თანამემამულეთა პატივსაცემად. რასაკვირველია, დიდი პოეტის სტუმრობის აღსანიშნავადაც, ჩინებული სალამო გამართეს. საზეიმო შეხვედრას ცნობილი რუსი ინტელიგენტები ესწრებოდნენ, მაღალი წრის წარმომადგენლები და პეტერბურგში მყოფი უცხოელები.

დიდად კმაყოფილი დაბრუნდა აკაკი თბილისში. სულ ორიოდე დღის ჩამოსული იქნებოდა, წვეულებაზე რომ მიიპატიჟეს. სტუმარია შორის იყვნენ პოლონელი სტუდენტები და ცნობილი სიმეხი მწერალი არწრუნი, რომელიც დაბადებიდან კუხიანი იყო...

პეტერბურგული შთაბეჭდილებებით კმაყოფილმა აკაკიმ, საუბრისას ამაყად აღნიშნა: „ხომ ავაყენ რუსეთის საზოგადოება ფეხზე და ერთგვარი პატივისცემით გაემსჭვალე ჩემი ქვეყნისა და ხალხისადმი“... – და, თან განაგრძო საკუთარი შეხედულებების გამოთქმა მიცკევიჩის, სენკევიჩისა და პშიბიშევსკის შემოქმედებაზე. ამ უკანასკნელზე საუბარი კი, მეტისმეტად გესლიანად დაასრულა: „პშიბიშევსკის ნაწარმოებს რომ კითხულობთ, ხერხემალი უფრო ადრე გრძნობს, ვიდრე გონება და გული“. მანამდე მდუმარე არწრუნმა აკაკის მიმართა: „მალიან დიდი პოეტი ხარ, ნიჭიერი, ყველაფრად კარგი, მაგრამ მეტად დიდი ნაკლიც გაქვს: შოვინისტი ხარ. მე მგონი, ქართველების გარდა, ყველა სხვა ერი გძულს“.

აკაკიმ ღიმილით უპასუხა: „შენზე უფრო შოვინისტი ვინც იყოს, დემეტრე შერაცხვინოს. დაღისარ და არარატი თან დაგაქვს!“

ბაპო ჯიბლაშვილი



კადატბუხთედი ქადები ბუდშემასტუიჰებს იზიდავენ

ლიტვის ეროვნული საკალათბურთო ნაკრების წევრმა გოგონებმა სპორტული ჟურნალის – „კალათბურთის“ გარეკანზე დაბეჭდილი ამ ფოტოსურათით თავისებური სარეკლამო აქცია წამოიწყეს. მათი მიზანი ნათელია: „გვესურდა, საზოგადოების ყურადღება მოგვეპყრო ქალთა კალათბურთისათვის“, – აღნიშნა ერთ-ერთმა სპორტსმენმა, ლინა ბრაზდეკიტმა რეპორტიორებთან საუბრისას, როცა ჟურნალი სავაჭრო ქსელში გავიდა, და დასძინა, რომ ქალთა კალათბურთი, ბევრად ჩამორჩება პოპულარობით მამაკაცთა კალათბურთს.

ფიანგმა ბიზნესმენმა ჰაიზი „ჩააგდო“

ანდრე გუელფი, რომელიც სანავთობე კომპანია „ელფის“ გარშემო ატეხილი სკანდალის საქმეში ეჭვმიტანილთა შორის მოხვდა, აღიარებს, რომ სწორედ მან ჩააგდო პარიზის, როგორც 2008 წლის ოლიმპიური თამაშების დედაქალაქის კანდიდატურა. ამის მთავარ მოტივად გუელფი პრეზიდენტ ჟაკ შირაკისთვის დარტყმის მიყენების სურვილს ასახელებს. ტელეკომპანია „კანალ პლუსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ კენჭის ყრის წინა დამეს თავის 20 მეგობარს დაურეკა და პარიზის ნაცვლად, პეკინის სასარგებლოდ ხმის მიცემა სთხოვა. 82 წლის მილიონერმა ერთ თვეზე მეტი გაატარა პატიმრობაში, მაღალჩინოსანთა მოსყიდვისთვის კომპანიის სახსრების გამოყენების ბრალდებით. ანდრე გუელფის სახელი არაერთხელ აჟღერებულა სხვადასხვაგვარი ხმაურიანი მხილების გამო. მაგალითად, დედე-სარდინის მეტსახელით ცნობილ ბიზნესმენს, რომელმაც ქონება მაროკოში წარმოებული თევზჭერით დააგროვა, არაერთხელ განუცხადებია ხმამაღლა, რომ სამარანჩი (საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ექსპრეზიდენტი) მან „თავისი ხელით შექმნა“, რისთვისაც საბჭოთა კავშირთან არსებულ თავის კავშირებს იყენებდა...

„სახელმწიფო გადატყობების“ უქანასენედი ჰიტი

დღეს ბევრი ლაპარაკობს იმაზე, რომ ნიუ-იორკში მომხდარი ტრაგიკული მოვლენები კარგა ხანია ნაწინასწარმეტყველები იყო ფილმ-კატასტროფებსა და მწერალ ტომ კლენსის რომანებში. მუსიკალური კომპაქტ-დისკებით მოვაჭრე ერთ-ერთ ინტერნეტ-საიტზე მოთავსებული ეს ფოტოსურათი კი საფუძველს გვაძლევს ვთქვათ: ცათამბავნებზე მომხდარი ტერაქტები ე.წ. მასობრივი კულტურის წარმომადგენლებსაც განუჭვრეტიათ. პოპულარული ოკლენდური რეპ-ჯგუფის – THE COUP („სახელმწიფო გადატრიალება“) ახალი ალბომის გარეკანს (სხვათა შორის, ალბომი სავაჭრო ქსელში შექტემბრის დასაწყისში გავიდა!), სწორედ აფეთქებული ტყუპი ცათამბავნის ამსახველი სურათი წარმოადგენს. ამასთან, საინტერესოა, რომ თვით აფეთქების ადგილებიც ზუსტად ემთხვევა რეალურს.



აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ალბომში PAORTY MUSIC ჩაწერილ ბევრ სიმღერაში, კომუნისტური იდეების მქონე რეპ-ჯგუფის წევრები, აშშ-ის ფერადკანიან მოსახლეობას კაპიტალიზმთან ბრძოლისკენ მოუწოდებენ, რადგან, მათი თქმით, სწორედ ის არის ყოველგვარი ბოროტების ნამდვილი საფუძველი, ამიტომ მასთან საბრძოლველად ნებისმიერი მეთოდი გამოდგება...

ვიხუადუიხი ხანძაიხი ნამდვიდს „აქიზბს“



ვინ იფიქრებდა, რომ ნამდვილი ხანძრის ჩაქრობაში ადამიანს ვირტუალური დაეხმარებოდა?! მას სწორედ ამისთვის იყენებენ მონტანელი (აშშ) მეცნიერები, რომლებიც ხელოვნური თანამგზავრიდან მიღებული გამოსახულების მიხედვით, ქმნიან დიდი ტყის მასივების რუკებს. კომპიუტერი, ამ რუკების დამუშავების შემდეგ, აალების ხელოვნურ კერებს ქმნის და ცეცხლის გავრცელების ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, ცდილობს, იწინასწარმეტყველოს ხანძრის შემდგომი გავრცელების სურათი.

აშშ-ში შარშან მხოლოდ 4,5 ათასი ხანძარი მოხდა, რომლის შედეგადაც მილიონობით კვამლავანი ნარგავი განადგურდა, 2000 წლის მაისში კი, ტყის ხანძრის გამო, ნიუ-მექსიკოს შტატის მთელი ქალაქი – ლოს-ალამოსი დაიწვა. მეცნიერთა მტკიცებით, ხელოვნური აალების მეთოდის გამოყენებით, რეალურად არის შესაძლებელი, ცეცხლის გავრცობის ცალკეული ფაზებით ხანძრის განვითარების წინასწარ განჭვრეტა, რაც დიდი ზარალის თავიდან აცილების საშუალებას მოგვცემს.

კვირის (1 - 7 ოქტომბერი) ასტროლოგიური პროგნოზი

სასწორი - 24/IX-23/X



ეს პერიოდი ახალი, დიდი საქმის წამოწყებისთვის ხელსაყრელი არ არის. უმჯობესია იმაზე იზრუნოთ, რაც დაწყებული გაქვთ. გარდა ამისა, განსაკუთრებული ყურადღება გამართეთ ფინანსური საკითხების გადაწყვეტისას: ამ კვირაში შესაძლოა, მატერიალური ზარალი განიცადოთ.

ღრინაბალი - 24/X-22/XI



საკმაოდ ზანტი კვირა გელით. მართალია, რაღაც უმნიშვნელო შედეგებს კი მიაღწევთ თქვენს საქმიანობაში, მაგრამ საკითხავი ის არის, რამდენად შეძლებთ სერიოზული საკითხებისთვის ხელის მოკიდებას: ვარსკვლავები ამჯერად სულ მეგობრებთან შეხვედრების, რომანტიკული პაემნებისა და მაღაზიებში სიარულისაკენ გიბიძგებენ.

მშვილდოსანი - 23/XI-21/XII



თუ სიმტკიცეს გამოიჩინებთ, გაქვთ შანსი, თქვენს მხარეზე გადაიბიროთ უფროსობა და საქმიანი პარტნიორები, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ სამისოდ, თქვენი პოზიცია ნებისმიერი მოლაპარაკების დროს აბსოლუტურად აწონ-დაწონილი და ურყევი უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყოველგვარი გარიგება მომენტალურად ჩაიშლება.

თხის რქა - 22/XII-20/I



თქვენზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. ვერც საოჯახო საქმეები, ვერც სერიოზული პროექტები სამსახურში, უთქვენოდ ვერ განხორციელდება. როგორც ჩანს, დროებით უნდა დაივიწყოთ პირადი საკითხები. გარდა ამისა, უმჯობესია, ამ კვირაში უარი თქვათ შორს გამიზნულ გეგმებზე: დიდი ალბათობაა, რომ მიუღწევლ მიზნებს დაისახავთ.

მერკულო - 21/I-19/II




კვირის პირველ ნახევარში დიდი შანსი გაქვთ, წარმატებას მიაღწიოთ საქმეებში, თუმცა კი ისეთ განწყობაზე იქნებით, რომ ყოველი ნაბიჯის გადასადგმელად, ძალდატანება დაგჭირდებათ. იზრუნეთ „ზურგის“ გასამაგრებლად: თქვენ ახლა აუცილებლად გჭირდებათ ოჯახის წევრების სითბო და თანადგომა.

თევზები - 20/II-20/III



ამ კვირაში ხშირად დაკარგავთ წონასწორობას და აგრესიულიც კი იქნებით - რაც საერთოდ, არ განასიათებთ და ამით გარშემომყოფებს გააკვირვებთ კიდევ. რატომღაც, ძალიან მტკივნეულად მიიღებთ გვერდით მყოფი ადამიანების ყოველ სიტყვასა და ქმედებას. შეეცადეთ, თავი ხელში აიყვანოთ. სამისოდ, ფეხით სიარულსა და წიგნით ხელში განმარტობას გირჩევთ.

მშვილდი - 21/III-20/IV



მთელი კვირის მანძილზე შესაძლოა, მეტისმეტად ემოციური იყოთ და ადვილად ჩაებათ კონფლიქტებში. კვირის მეორე ნახევარში განსაკუთრებით თავშეუკავებელი იქნებით, რასაც შეიძლება, თქვენთვის ძვირფას ადამიანებთან ურთიერთობის გაფუჭება მოჰყვეს. სამაგიეროდ, ფინანსური თვალსაზრისით, ეს კვირა ალბათ საკმაოდ იღბლიანი იქნება.

კბრ - 21/IV-21/V



კვირის დასაწყისში შეიძლება, უახლოეს ადამიანს წაგვიკლაოთ. ეცადეთ, იმთავითვე ჩაახშოთ კონფლიქტი: ეს კვირა თქვენთვის მიმზიდველი საქმიანი წინადადებათა შეიძლება აღინიშნოს, თუმცა გირჩევთ, გადაწყვეტილების მისაღებად კვირის ბოლოს დაელოდოთ.

მარსიანი - 22/V-21/VI



ამ კვირაში მნიშვნელოვანი შენაძენი შეიძლება გქონდეთ, რომელიც საცხოვრებელ გარემოს უკავშირდება: შეიძლება სახლი იყიდოთ, ან ბინა, ან კიდევ, ავეჯის გარნიტური... საერთოდ, კეთილმოწყობის საკითხებით მთელი კვირის მანძილზე იქნებით დაკავებული.

პირნიანი - 22/VI-22/VII



საკმაოდ აფორიაქებული და უაზრო დღეებიც კი გელით: ხშირად მოგიწევთ გადაადგილება, რომელიც, სამწუხაროდ, ბევრს არაფერს მოგიტანთ. ძალიან რეალურია, რომ ხშირად დაგერღვევთ დასახული გეგმა, გადაყაროთ წვრილმან დაბრკოლებებს. უქმეების მოახლოებისას, შეიძლება თქვენს ცხოვრებაში დიდი ხნის წინ დაკარგული პერსონაჟი გამოჩნდეს...

ლომი - 23/VII-23/VIII



საკმაოდ დიდი, კარგა ხნის წინ დაგვმძლი ხარჯები გელით. ეს შეიძლება იყოს ავტომობილის ან ბინის რემონტი, ან კიდევ სხვა მსგავსი რამ. ძალიან გიმძიმით ამ ხარჯის გაღება, მაგრამ თუ უსიამოვნების თავიდან აცილება გსურთ სხვა გამოსავალი არ არის. კვირის მეორე ნახევარში ბევრი შეხვედრა და მოლაპარაკება გელით.

ქალწული - 24/VIII-23/IX



კვირის დასაწყისში მივლინება ან უბრალოდ, მგზავრობა მოგიწევთ. ისეთ ადგილას მოგიხდებათ წასვლა, სადაც ადრე უკვე ყოფილხართ, მაგრამ გირჩევთ, ნუ მიეცემით მოგონებებსა და სევდიან ფიქრებს და საერთოდ, ეცადეთ თქვენს საზრუნავს მიხედოთ. განსაკუთრებული ყურადღება გარიგების დაღებისას გამართეთ.

როგორია თქვენი ჭაშმარტი შინაგანი ბუნება

ზოგ ადამიანს ხატვა იტაცებს, ზოგს კი შეუძლია, საათობით უსმინოს მუსიკას. ასეთი ხალხი უკეთ შეიგრძნობს ყველაფერს, რაც ირგვლივ ხდება ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, ისინი განსაკუთრებულად აღიქვამენ სილამაზეს, მათთვის ხელოვნება — ცხოვრების მუდმივი თანამგზავრია. არიან ისეთი ადამიანებიც, რომელთათვისაც ყველაფერი სულიერი და ამაღლებული — რაღაც სრულიად უსარგებლო და გაუგებარია.

სცადეთ და ქვემოთ მოყვანილი ტესტის მიხედვით გაარკვეეთ, თავად რომელ კატეგორიას განეკუთვნებით.

1) შინაარსის მიხედვით განასხვავებთ თუ არა სიტყვებს: „ტონალობა“ და „ნიუანსი“.

დიახ — 1; არა — 0.

2) შეგიძლიათ თუ არა იცხოვროთ მოუხერხებელ ბინაში და ამან არ შეგანახუნოთ?

დიახ — 0; არა — 1.

3) გიყვართ თუ არა ხატვა?

დიახ — 1; არა — 0.

4) ჩაცმის დროს, უფრო მეტად, საკუთარ გემოვნებას ენდობით, ვიდრე მოდის მოთხოვნებს.

დიახ — 1; არა — 0.

5) გსმენიათ თუ არა რაიმე დასახელებული პიროვნებების შესახებ: მანე, ვან დეიკი, ფალკონე?

დიახ — 1; არა — 0.

6) უშნო ხელწერა (კალიგრაფია) თუ გაქვთ?

დიახ — 0; არა — 1.

7) გიყვართ თუ არა

ჭრელაჭრულა ტანსაცმელი?

დიახ — 0; არა — 1.

8) გიყვართ თუ არა მუზეუმში სიარული?

დიახ — 1; არა — 0.

9) შეგიძლიათ თუ არა ქუჩაში გაჩერდეთ და ლამაზი პეიზაჟით დატკბეთ?

დიახ — 1; არა — 0.

10) გიყვართ თუ არა ქალაქში გეომეტრიული ფიგურების საზვა?

დიახ — 0; არა — 1.

11) გიყვართ თუ არა ლამაზად გაფორმებულ სუფრასთან ჯდომა?

დიახ — 1; არა — 0.

12) გიყვართ თუ არა ქუჩებში ხეტიალი?

დიახ — 1; არა — 0.

13) გიყვართ თუ არა განმარტოება?

დიახ — 1; არა — 0.

14) გეჩვენებთ თუ არა უადგილოდ, როცა წვეულუბაზე ვინმე ზეპირად წარ-



მოთქვამს ლექსებს?

დიახ — 0; არა — 1.

15) მუსიკას მხოლოდ გართობის მიზნით უსმენთ ხოლმე?

დიახ — 0; არა — 1.

16) დიდი ხნით გამახსოვრდებოთ თუ არა ბუნების ლამაზი პეიზაჟები?

დიახ — 1; არა — 0.

17) შეგიძლიათ თუ არა დაინახოთ სილამაზე ზღვის უბრალო კენჭებში?

დიახ — 1; არა — 0.

18) გიყვართ თუ არა ახალ ადამიანებთან შესვედრა და მათი გაცნობა?

დიახ — 0; არა — 1.

19) გიყვართ თუ არა

პოეზია?

დიახ — 1; არა — 0.

20) გქონიათ თუ არა ოდესმე სურვილი, საკუთარი ხელით მოგესატათოთ თქვენი ოთახის კედლები?

დიახ — 1; არა — 0.

21) ხშირად იცვლით თუ არა ვარცხნილობას?

დიახ — 1; არა — 0.

22) გიყვართ თუ არა სახლში ავეჯის გადაადგილება?

დიახ — 1; არა — 0.

23) ოდესმე თუ გიცდიათ სიმღერის დაწერა?

დიახ — 1; არა — 0.

24) წერთ თუ არა ლექსებს?

დიახ — 1; არა — 0.

დააჯამეთ მიღებული ქულები

16 ქულა და მეტი: ერთი რამ უდავოა: თქვენ გაქვთ სილამაზის აქქის უნარი, მდიდარი შინაგანი ბუნება და ძალიან მჭიდრო კავშირში ხართ ხელოვნებასთან.

8-15 ქულა: ხანდახან გჩვევიათ ღრუბლებში ფრენა, სილამაზე თქვენთვის ძალიან ბევრს ნიშნავს, შინაგანად კი ძალიან რაციონალური ადამიანი ხართ,

ყოველთვის შეგიძლიათ ერთმანეთს შეუთავსოთ სიამოვნება და სარგებელი.

0-7 ქულა: თქვენნიერი ადამიანის მოხიბვლა მზის ჩასვლის პეიზაჟით შეუძლებელია. ძალიან მიწიერი ხართ, ფუჭი ოცნებები არ გხიბლავთ და ხელოვნებას მხოლოდ გართობის საშუალებად აღიქვამთ.



აშშ-ის ადმინისტრაცია უხვე ცუქის აღდგენაზე ზეხნავს

ცხარე დებატებისა და აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, რომელიც ნიუ-იორკში ტერაქტის შედეგად დაზარალებული ტყუპი შენობის აღდგენის საკითხთან დაკავშირებით იმართება, როგორც ჩანს, ქვეყნის ადმინისტრაცია მაინც მის დადებითად გადაწყვეტას ემხრობა. ამას ადასტურებს შეხვედრა, რომელიც 26 სექტემბერს აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა მექსიკელ არქიტექტორს ბენჟამინ ფელიქსს გაუმართა: მათ სწორედ მსოფლიო სავაჭრო ცენტრის შენობათა აღდგენის პერსპექტივა განიხილეს.

ტელეკომპანია „სი-ენ-ენის“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში გადაჭრით არ არის ნათქვამი, სწორედ ფელიქსი ჩაუდგება სათავეში პროექტის შექმნას თუ პრეზიდენტთან შეხვედრა, მხოლოდ წინასწარ კონსულტაციას ისახავდა მიზნად. სამაგიეროდ, იუწყებიან მომავალი კომპლექსის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თავისებურების შესახებ: საუბარია „დიდ ზვრელეზზე“, რომელიც შენობების ზედა ნაწილს ექნება (იხ. ფოტო) და რომლის პარამეტრები საავიაციო ტრანსპორტის სპეციალისტებთან შეთანხმდება. ბენჟამინ ფელიქსისა და სხვა არქიტექტორთა აზრით, ასეთი კონსტრუქცია, შენობის თვითმფრინავის შეჯახებისგან დაზღვევის გარანტია იქნება.



სუნიამო დაპალება

მეცოდნე	სწორი პარიანტი
შემოსავალი ქონდა	- ჰქონდა
ხელის გულზე	- ხელისგულზე
ვზივართ	- ვსხედვართ
პოტოკებ გაჭიმული	- პოტოკებგაჭიმული
სად იმოვენე	- სად იმოვე
როგორ შემოუშვა	- შემოუშვა
აღყა დარცმული	- აღყადარცმული
კითხა	- ჰკითხა
ჯობნია	- ჯობია
რათ	- რად
ოჯახიდან	- ოჯახიდან
გამომცდელათ	- გამომცდელად
ჩემ სახეზე	- ჩემს სახეზე
არყის	- არყის
წარმოსთქვა	- წარმოსთქვა
სხვადასხვა წინაპრები	- სხვადასხვა წინაპარი
მოგი კაცები	- მოგი კაცი
გავს	- ჰგავს
სულ მოუთქმელად	- სულმოუთქმელად
უსმით	- უსმოდ

ჩემპიონთა ღივის ფინანსური ფაქტობები

ყველაზე დიდი შემოსავალი – 40 მლნ დოლარი ჩემპიონთა ღივის შარშანდელ გათამაშებაში, მასში გამარჯვებულმა კლუბმა – მიუნხენის „ბავარიამ“ გამოიმუშავა. საინტერესოა, რომ 22 მლნ აქედან მხოლოდ ტელევიზიის წილად მოდის. მეორე ადგილზეა რომის „ლაციო“ – 25,5 მლნ, მესამეზე – ესპანური „ვალენსია“ – 23,1 მლნ. 20 მილიონიანი ზღუდე გადალახეს აგრეთვე: „მანჩესტერ იუნაიტედმა“, მადრიდის „რეალმა“, ინგლისურმა „ლიდსმა“ და „არსენალმა“.



ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია

ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში შემოთავაზებული რუბრიკის – „ფანტაზიის“ პასუხად მკითხველთა მიერ გამოგზავნილი ქვითრების მიხედვით, გაიმარჯვეს ბატონებმა ელუარდ შევარდნაძემ, ზურაბ ჟვანიამ და ნიკო ლევიშვილმა.

ვულოცავთ ბატონ ელუარდს, ბატონ ზურაბს და ბატონ ნიკოს და ვუსურვებთ წარმატებებს!

...რასა სტეზი — ფანტაზია ჩამოდი, რაღა!

(მკითხველის გვარი, სახელი)

(ცნობილი პიროვნება)

ამ რუბრიკით თქვენი წარმოსახვის გაფარჯიშებას გთავაზობთ. გაითვალისწინეთ ჩვენი კომენტარი და ფოტოზე აღბეჭდილ სახეს ის ცნობილი პიროვნება მოარგეთ, რომელიც ყველაზე მეტად მოუხდება. ჟურნალის შემდეგ ნომერში ფოტო იმ პიროვნების სახით გამოქვეყნდება, რომელიც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს.

გთხოვთ, შეავსოთ ქვითარი და პასუხები გამოგვიგზავნოთ, თბილისში განთავსებული „კვირის პალიგრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ქვითარი ჩააგდეთ სამშაბათის (2 ოქტომბრის) 13 საათამდე.





„ფანტაზია“

...რასა სტეპი — ფხით ჩამოდი, რაღა!



**„ფანტაზიორობს
გკითხვალნი“**

ვა, ერთად ვიყავით?!

რა სთხოვს არქონგამ დიანა ლურჯაიას?

დიანას ტაშით და ცრემლებით ხვდება რუსი მსმენელი და არა მარტო რუსი. ამერიკაში უზბაჩოვასთან, კირკოროვთან და ნიკოლაევთან ერთად ჩასულს, მას ფეხზე წამოუდგა მსმენელი და სიმღერა „თბილისოს“ შემდეგ დიდხანს არ უშვებდა სცენიდან,

